

**№ 4**  
**2020**

ISSN 2587-4551



# **სკოლა და ცხოვრება**

სამართლებლომ სამეცნიერო-პედაგოგიური  
ჟურნალი

**№4**  
**2020**

ISSN 2587-4551

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი



# **სკოლა და ცხოვრება**

ბათუმის 1924 წლიდან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
პედაგოგთა კავშირი

მთავარი რედაქტორი  
ბარი ჩაფიძე

სარედაქციო კოლეგია

ირინე აბულაძე  
ოლეგი ალავიძე  
შალვა ამონაშვილი  
აზა გუბაძე  
ლეილა გეგეშიძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
სერგო ვარდოსანიძე  
აკაკი ზოიძე  
კახა კოპერიძე  
ზვიადი ლაზარაშვილი  
ლია მარტაშვილი  
ვაჟა მიროტაძე  
როლანდ ნიშარაძე  
ბერიკა შუკაძე  
ზურაბ ცუცქერიძე  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)  
მანია ხაჭიშვილი  
მამუკა ხამსაძე

რედაქციის მისამართი: 0182; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;  
3700; ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5;  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: (032)2 27-89-00;  
(0341) 22-25-00; 25-37-00;  
პასუხისმგებელი მდივნის: (0341) 22-45-00; 25-39-00  
განყოფილებათა რედაქტორების: (032)2 27-89-01;  
(0341) 27-94-00; 27-96-00;  
გავრცელების სამსახური: (0341) 22-77-77;

# სარჩევი

<b>ბარი ჩაჭიძე</b> - პედაგოგიური დიალოგები... ..	3
<b>მანია ჯოხაძე</b> - მარცვლის სწავლება პირველ კლასში წინასაანბანო ეტაპზე .. . . . . .	13
<b>ციალა გორდუზიანი</b> - სკოლის ექსტრემალურ სიტუაციათა მოგვარების ზოგიერთი საკითხისათვის... ..	30
<b>ლელა თავდგირიძე</b> - ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის დანიშნულების შესახებ... ..	33
<b>ნონა ლაზარაშვილი</b> - იაკობ გოგებაშვილის შეხედულება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ამოცანებსა და დანიშნულებაზე... ..	41
<b>ნონა ახალაია</b> - „კაი ყმის“ იდეალი და ვაჟა-ფშაველას ეპოსის ზოგიერთი საკითხის სკოლაში სწავლება... ..	57
<b>ნუნუ ანდლულაძე</b> - კლასკომპლექტში მუშაობის გამოცდი- ლებიდან... ..	65
<b>ეთერ აბულაძე</b> - ბრძოლა მამულის დასაცავად... ..	67
<b>მერი სიმონიშვილი</b> - ილია ჭავჭავაძის „განდეგლის“ სწავლება .. . . . . .	72
<b>ნონა ბოლქვაძე</b> - სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან... ..	77

# **კვლევის დიპლომატი**

პედაგოგიკის მეთოდოლოგიის ტექნოლოგიურ დონეს შეადგენს კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკა. ეს დონე განპირობებულია ყველა წინმსწრები დონეებით, რადგან მათზეა დამოკიდებული პედაგოგიური კვლევის ორგანიზაცია და მეთოდოლოგია. პედაგოგიური კვლევა გაიგება, როგორც მეცნიერული საქმიანობის პროცესი და შედეგი, რომელიც მიმართულია ახალი ცოდნის მისაღებად განათლების კანონზომიერებების, მისი სტრუქტურისა და მექანიზმების, შინაარსის, პრინციპებისა და ტექნოლოგიების შესაბამისად. პედაგოგიური კვლევა განმარტავს და წინასწარმეტყველებს ფაქტებსა და მოვლენებს.

პედაგოგიური კვლევები მიმართულებების მიხედვით შეიძლება დაიყოს ფუნდამენტურ, გამოყენებით და დამამუშავებელ კვლევებად. ფუნდამენტური კვლევების შედეგს წარმოადგენენ განმაზოგადებელი კონცეფციები, რომლებიც საბოლოოდ აჯამებენ პედაგოგიკის თეორიულ და პრაქტიკულ მიღწევებს ან გვთავაზობენ პედაგოგიური სისტემების განვითარების მოდელს პროგნოსტიკურ საფუძველზე. გამოყენებითი კვლევები, ეს არის ნაშრომები, მიმართულებები პედაგოგიური პროცესის ცალკეული მხარეების სიღრმისეულ შესწავლაზე, მრავალმხრივი პედაგოგიური პრაქტიკის კანონზომიერებების დანესებაზე. დამამუშავებელი კვლევები კი მიმართულნი არიან კონკრეტული მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციების დასასაბუთებლად, რომელთაც უკვე ითვალისწინებენ ცნობილი თეორიული დებულებები. ნებისმიერი პედაგოგიური კვლევა გულისხმობს მასში საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგიური პარამეტრების არსებობას. მათ მიეკუთვნება: პრობლემა, თემა, კვლევის ობიექტი და საგანი, მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა და დასაცავი დებულებები. პედაგოგიური კვლევის ხარისხის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის პროგრამას, როგორც წესი, აქვს ორი განყოფილება: მეთოდოლოგიური და პროცედურული. პირველი მოიცავს თემის აქტუალობის, პრობლემის ფორმულირების დასაბუთებას, ობიექტისა და საგნის განსაზღვრას, კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, ძირითადი ცნებების (კატეგორიული აპარატის) ფორმულირებას, კვლევის ობიექტის წინასწარ სისტემურ ანალიზსა და სამუშაო ჰიპოთეზის დასახელებას. მეორე განყოფილებაში გახსნილია კვლევის სტრატეგიული გეგმა, აგრეთვე, გეგმა და მოკრების ძირითადი პროცედურები, პირველადი მონაცემების ანალიზი.

აქტუალობის კრიტერიუმები მიუთითებს პრობლემის შესწავლისა და გადანყვეტის დროულობასა და აუცილებლობაზე სწავლებისა და აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის. აქტუალური კვლევები პასუხს სცემენ მოცემულ დროში ყველაზე უფრო საჭირობოროტო საკითხებს, ასახავენ საზოგადოების სოციალურ შეკვეთას პედაგოგიური მეცნიერებისადმი, მიუთითებენ მნიშვნელოვან დაპირისპირებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ პრაქტიკაში. აქტუალობის კრიტერიუმი დინამიურია, მოძრავია, დამოკიდებულია დროზე, კონკრეტული და სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებაზე. საერთოდ, აქტუალობა ხასიათდება უთანხმოების ხარისხით მეცნიერულ იდეებზე, პრაქტიკულ რეკომენდაციებზე მოთხოვნასა და იმ წინადადებებს შორის, რომლებიც განხორციელებადია მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ არსებულ დროში. ყველაზე სარწმუნო საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს კვლევის თემას, წარმოადგენს დაპირისპირება სოციალურ და პედაგოგიურ პრაქტიკას შორის, რომლებიც ასახავენ ყველაზე საჭირობოროტო, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც თავის მხრივ ითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის, აუცილებელია ლოგიკური გადასვლა სოციალური შეკვეთიდან კონკრეტული თემის დასაბუთებაზე, აგრეთვე ახსნა-განმარტება, რატომ არის კვლევისათვის სწორედ ეს ამოცანა აღებული და არა სხვა. ეს არის მეცნიერებაში საკითხის დამუშავების ხარისხის ანალიზი.

თუ სოციალური შეკვეთა გამომდინარეობს პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზიდან, მაშინ პრობლემა დგება სხვა სიბრტყეში. ის გამოხატავს ძირითად დაპირისპირებას, რომელიც უნდა გადაიჭრას მეცნიერების საშუალებით. მეცნიერული პრობლემის დაყენება-შემოქმედებითი აქტია, რომელიც თხოულობს განსაკუთრებულ ხედვას, სპეციალურ ცოდნას, გამოცდილებასა და მეცნიერულ კვალიფიკაციას.

ჩვეულებრივ, სწორედ პრობლემის გადანყვეტა შეადგენს კვლევის მიზანს; მიზანი – პრობლემის ხელახალი ფორმულირებაა. პრობლემის ფორმულირება იწვევს კვლევის ობიექტის არჩევას. ის შეიძლება იყოს პედაგოგიური პროცესი, ან პედაგოგიური რეალობის არე, ან რაიმე სახის პედაგოგიური დამოკიდებულება, რომელიც შეიცავს დაპირისპირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტი შეიძლება იყოს ყველაფერი, რომელიც ამკარად ან დაფარულად მოიცავს დაპირისპირებას თავის თავში და ქმნის პრობლემურ სიტუაციას – რაზეც მიმართულია შემეცნების პროცესი.

კვლევის საგანი – ეს არის ნაწილი, ობიექტის არეკლილი მხარე. პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით, ეს უფრო მნიშვნელოვანი თვისებებია ობიექტის თავისებურებათა, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალო შესწავლას. მიზნის შესაბამისად, კვლევის ობიექტად და საგნად განისაზღვრებიან საკვლევი ამოცანები, რომ-

ლებიც მიმართულნი არიან ჰიპოთეზის შემოწმებაზე. უკანასკნელი კი წარმოადგენს თეორიულად დასაბუთებული წინადადებების ერთობლიობას, რომელთა ნამდვილობა ექვემდებარება შემოწმებას.

მეცნიერული სიახლის კრიტერიუმები გამოიყენება დასრულებული კვლევების ხარისხის შეფასებისათვის. ის ახასიათებს ახალ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებს, განათლების კანონზომიერებებს, მის სტრუქტურასა და მექანიზმს, შინაარსს, პრინციპებს და ტექნოლოგიებს, რომლებიც მოცემული მომენტისათვის არ იყო ცნობილი და დაფიქსირებული პედაგოგიურ ლიტელატურაში. სიახლე პედაგოგიურ კვლევებში არც თუ ისე იშვიათად განიხილება თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის იდენტიურად მითითებულია მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის თემის მნიშვნელობა. პერსპექტივები, რომლებიც გვიჩვენებენ კვლევის შედეგების შეფასება მხოლოდ პრაქტიკაში მისი გამოყენების სტადიაზე, ხშირად ბევრი სიახლის გამოყენება ვერც კი ხერხდება და ისინი რჩებიან დამუშავების ეტაპზე. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა სიახლე უკვე მოძველდა, ხოლო ახალშემოღებული მხოლოდ დაიწყო.

სიახლის შესაფასებლად მოსახერხებელია დონური კლასიფიკაცია. ის მიზნად ისახავს ცნობილების რიგში მიღებული ცოდნის თვითმყოფადობას და თანმიმდევრობას. კონკრეტიზაციის დონე – მიღებული შედეგი, აზუსტებს ცნობილს, აკონკრეტებს ცალკეულ თეორიულ თუ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც ეხება სწავლებას და აღზრდას. სწავლების მეთოდიკას, პედაგოგიკას, მეცნიერებას...

შევსების დონე მიღებული შედეგი აფართოებს ცნობილ თეორიულ და პრაქტიკულ დებულებებს სწავლასა და აღზრდაზე. მიღებული ცოდნა ააშკარავებს პრობლემის ახალ წახნაგებს, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, მთლიანობაში, სიახლე სურათს კი არ ცვლის, არამედ ავსებს მას ასე მაგალითად, დიდაქტიკაში მეცნიერების პრინციპი თავის დროზე ფორმულირებულ იქნა მ. სკატკინის მიერ. ამ პრინციპში მან ჩართო შემდეგი პირობები. მონაწილეებისათვის მიწოდებული ცნობების მეცნიერული უტყუარობა, აღწერილი მოვლენების არსის გახსნა, მოვლენათა ჩვენება მათ ურთიერთკავშირში და განვითარების თეორიებისა და მეცნიერული სწავლების მეთოდების გაცნობა.

ეს პრინციპი შეივსო კიდევ სამი დებულებით, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი: განათლების შინაარსის შესატყვისობა თანამედროვე მეცნიერების დონესთან, მონაწილეებისათვის მეცნიერული სწავლების ზოგად მეთოდებზე სწორი წარმოდგენის შექმნა. ეს მოთხოვნები ემატება ცნობილ დებულებებს, რომლებიც ეხება მეცნიერულ პრინციპებს. აფართოებს წარმოდგენას მოცემულ საკითხებზე.

გარდაქმნის დონე ხასიათდება პრინციპულად ახალი იდეებითა და მიდგომებით სწავლებისა და აღზრდის სფეროში, რომლებიც ადრე არ იყო თეორიაში. ხდება თვალსაზრისთა პრინციპული შეცვლა, წინა ხედზე გამოდის ორიგინალური მიდგომა, რომელიც დიდაქტი-

კაში ძირფესვიანად განსხვავდება მოცემულ სფეროში ცნობილი წარმოდგენებისაგან. ამ დონეს შეიძლება მივაკუთვნოთ განათლები-სადმი ერთიანი მიდგომის დამასაბუთებელი კვლევები, სწავლების პროცესის ეფექტურობისა და მისი მეთოდების კვლევები, შინაარ-სის სრულყოფასთან, სწავლების პროცესებთან და მის მეთოდებთან დაკავშირებული ნაშრომები.

გარდაქმნის დონეზე განასხვავებენ დისკუსიურ – ჰიპოთეზური და საყოველთაოდ აღიარებულ სიახლეს. პირველ შემთხვევაში მიღე-ბული შედეგები ბოლომდე ჯერ კიდევ არაა დამაჯერებელი და მეც-ნიერთა ნაწილში იწვევენ უკუქმედებას. უნდა გავიდეხს გარკვეული დრო, სანამ ახალი იდეები კონკრეტიზირდება და გახდება საყოვე-ლთაოდ მიღებული. ჩნდება ეჭვი მოცემული მეცნიერული იდეების სამართლიანობასთან დაკავშირებით. საყოველთაოდ აღიარებული სიახლის ეტაპზე ეს ეჭვი ქრება. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი წინ წამოწეული იდეა ჯერ კიდევ რჩება დისკუსიურ – ჰიპოთეზურ დონეზე. ახალი მეთოდები, რომელსაც გვთავაზობს მეცნიერება და პრაქტიკა; უნდა უზრუნველყოფდეს მაღალ სასწავლო-აღმზრდელო-ბით ეფექტს და ასტიმულირებდეს მონაწილეთა განვითარებას. კვ-ლევა – ძიების ლოგიკა და დინამიკა შეიცავს რიგ ეტაპებს: ემპირი-ულს, ჰიპოთეზურს, ექსპერიმენტულ-თეორიულს, პროგნოზულს.

ემპირიული ეტაპი იძლევა ფუნქციურ წარმოდგენას კვლევის ობიექტზე. ამ დონეზე აღმოაჩენენ წინააღმდეგობის გარდამქმ-ნელ პრაქტიკას, მეცნიერული ცოდნის დონესა და მოვლენის არსში წვდომის მოთხოვნას შორის, აყალიბებენ მეცნიერულ პრობლემას. ემ-პირიული ანალიზის ძირითად შედეგს წარმოადგენს წამყვანი ვარაუ-დებისა და მათი დაშვების იმ სისტემების კვლევის ჰიპოთეზა, რომელ-თა მართლზომიერება საჭიროებს შემოწმებასა და დამტკიცებას.

ჰიპოთეზური მიდგომა მიმართულია იმ წინააღმდეგობის აღ-მოსაფხვრელად, რომელიც არსებობს კვლევის ობიექტზე ფაქტიურ წარმოდგენებსა და მისი არსის წვდომის აუცილებლობას შორის. ის ქმნის პირობებს კვლევის ემპირიული დონიდან თეორიულზე გადას-ვლისათვის.

თეორიული ეტაპი უკავშირდება კვლევის ობიექტზე ფუნქციო-ნურ და ჰიპოთეზურ წარმოდგენებს შორის წინააღმდეგობათა გადა-ლახვას, მასზე სისტემურ წარმოდგენათა მოთხოვნით.

სასწავლებლიდან დაგვიანებით გადმოსვლა ჩვევად მაქვს, ლექციების დამთავრების შემდეგ პირადი გრძნობით ვაჯამებ განვ-ლილ დღეს. მორიგემ მითხრა: ვილაც ქალბატონი გკითხულობთ და ვინაობის გაუმჟღავნებლობის გამო თქვენთან კაბინეტში არ ამო-ვუშვით... ამ სიტყვებთან ერთად შაოსანი ქალბატონი მომვარდა და ხელებზე მემთხვია... ვიუხერხულე, არ ვიცოდი, ხელები სად დამემა-ლა, შემდეგ ქალბატონს დედაშვილურად მოვეხვიე და ვიზიტის მი-ზეზი ვკითხე, ჩვენი სტუდენტის მშობელი აღმოჩნდა, მეცხრე ბ კლასში, რაღაც, გადამცდარა ბიჭი, მერე სასჯელიც მოუხდია, 5



წელი... მაგრამ უდიდესი საშინელება შემდეგ დაწყებულა, როცა „ნაციხარის“ იარლიყით შელახულს, ყველა კარი: უცნობ-ნაცნობების, მეგობრებისა და ნათესავების, სამსახურისა და სასწავლებლის, „ჩარაზული“ ხვდებოდა და მოვიდა ჩვენთან... მაშინ უმძიმესი დღეები გადავიტანე, არც ერთ პედაგოგს არ სურდა ამ პატარა, ქერა, მეტყველთვალეებიანი ბიჭის მეურვეობა, უფრო მეტიც, სტუდენტთა მშობლებიც კი მისი გარიცხვის მომხრენი იყვნენ, „თავს იზღვევდნენ“... – მე კი, ღრმად მწამდა ჩემი მისია, ვიცოდი, ნიკა ერთხელ გადაცდა, ამ გადაცდომას საშინლად ნანობდა, მჯეროდა – ასეთ ნაბიჯს არასდროს გადადგამდა, მაგრამ აუცილებელი საზოგადოების დახმარება იყო, ამ ბიჭის აუდიტორიიდან ქუჩაში გაგდება დანაშაულზე მეტი იქნებოდა... ამიტომაც მოვიდა მოხუცი, მარტოხელა დედა მადლობის სათქმელად, თუმცა, სამადლობელი რა მქონდა, მე უბრალოდ, მის შვილს სურვილის განხორციელებაში დავეხმარე, რამეთუ, სირთულე, რომელიც დაკავშირებულია გრძნობის აღზრდასთან, არაფერია იმასთან შედარებით, რომელზეც ჩვენ ახლა მოგვიწევს საუბარი...

გონების აღზრდაზე ათასამდე წიგნი დაწერილა, გრძნობის აღზრდას, ჰა და ჰა, ათამდე თუ ეძღვნება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხოლო სურვილის აღზრდაზე – საეჭვოა ერთიც იყოს გამოცემული.

რეალურ ცხოვრებაში სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა, რასაკვირველია, ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენი ბავშვი იყოს გონიერი, უნარიანი და კეთილი, მაგრამ ყველაზე მეტს განვიცდით მის სურვილებთან დაკავშირებით. კარგი, იგრძენ, რაც გნებავს, მაგრამ ისურვე – მხოლოდ ის, რაც საჭიროა, ნუ ისურვებ ზედმეტს!

თითქმის ყველა პედაგოგიკა გონებაზე, ნებაზე, გრძნობასა და სურვილებზეა გამიზნული. არ არის ნაანდერძევი: „იგრძენი“, „არ იგრძნო“, ანდერძი დიდი ხნიდან ჩამოყალიბდა : „არ ისურვო!“

მაგრამ ჩვენ აქ გველის მორიგი იმედგაცრუება და აღმზრდელისათვის ყველაზე დიდი უსიამოვნება. ადამიანის ქცევაში მეცნიერებისათვის მოუხერხებელი ფაქტი ისაა, რომ ბევრი ადამიანის (ნაწილობრივ მათიც, რომლებიც ბევრ ჯაფას აყენებენ მშობლებსა და საზოგადოებას) სურვილი ხშირად არ უკავშირდება მოთხოვნებს, საერთოდ, არაფერს! ისე გაჩნდება ადამიანის სულში სურვილი, რომ მისი ახსნა არამცთუ სხვას, თვითონაც კი არ შეუძლია. ადამიანი ყოველთვის არ ეძებს სარგებლობას ან გამორჩენას თავისთვის, არამედ ხშირად ჭირვეულობს უმოტივოდ. მით უმეტეს, ეს ახირება ისე ძვირფასია ადამიანისათვის, რომ მას არ გაცვლის ძვირფას სახელზეც კი.

შეიძლება აღვივსოთ მორალური უკმაყოფილებით. შეიძლება ასე წელი მედიდურად ვიმეოროთ, რომ არ შეიძლება ამოვშანთოთ აქ, ქალაღზე, ეს – საიდანაც გამომტყვრალი ახირება. რა გაენყობა, ყველაფერი მართალია! არ შეიძლება მხარი დაუჭიროთ ახირებას, ჭირვეულობას! ჩვენ არ მივემხრობით მას. ქალაღზე და კათედრაზე

პედაგოგიკა ყველაზე ადვილი მეცნიერებაა. არ შეიძლება და – მორჩა! ცუდია. საჭიროა... მაგრამ ნებისმიერ მხატვრულ ლიტერატურაში, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება „უცებ“ – უცებ თქვა, უცებ რალაც გააკეთა, თვითონაც არ იცოდა რატომ... ხოლო რა უნდა ვთქვათ ათი წლის ბავშვზე! რატომაა, რომ ათი წლის ბიჭმა, რომელიც სკოლაში მიდიოდა უცებ გადაიფიქრა და გაკვეთილები გააცდინა? მთელი პედაგოგიური აკადემია რომ შევეკრიბოთ – ამის მიზეზს ვერ აგიხსნით, ჩვენ კი ბიჭს ვეკითხებით: „რატომ გააცდინე? აგვიხსენი! ხომ გესმის მშობლიური ენა, გვითხარი! შენ რა – ენა გადაყლაპე?“

როგორ შევისწავლოთ ყველაფერი ეს? როგორ ვმართოთ? დავსვათ კითხვა სწორად: როგორ ხდება, რომ ადამიანთა ნაწილი ამ „უცებს“ არ მიჰყავს არავითარი ცუდისკენ, ხოლო მეორე ნაწილს უკიდურეს საფრთხეში აგდებს? გიპასუხებთ ერთ-ერთი ჰიპოთეზით. თავისი ემოციის ინფორმაციული თეორიის განვითარებისას ის შეჩერდა გამოცანის წინაშე. როგორ იბადება ადამიანის გონებაში ახალი აზრები? სინამდვილეში, შემოქმედებით აზროვნებაზე არსებობს ათასი წიგნი და სტატია, მაგრამ ვერცერთ მათგანში არსებით პასუხს ვერ იპოვი. ახალი აზრი კი ხომ საიდანღაც იბადება, იღებს სათავეს? რა არის ეს საიდუმლო?

ადამიანს აქვს ქვეცნობიერება, რომელიც ავტომატურად მართვადია, არის ცნობიერი და „ზეცნობიერი“. სწორედ „ზეცნობიერში“ წარმოებს აზროვნების „მუტაგენეზი“, ისინი იბადებიან ყოველგვარი გადახრებით, ხოლო შემდეგ შემოდიან ცნობიერში, რომელიც ინუნებს უვარგისებს და ეძებს დამამტკიცებელ საბუთს საქმიანი აზროვნებისათვის. მაგრამ ბუნება იცავს „ზეცნობიერს“, არ უშვებს მასში ცნობიერს. აქ პრინციპული აკრძალვაა. შეუძლებელია შეხვიდე

ახალი აზრების „სამზარეულოში“, ისევე როგორც არ შეიძლება გამოიგონო მარადიული ძრავა. სხვანაირად, ახალი აზრების რაოდენობა კატასტროფიული სახით მცირდება.

სწორედ ამ „სამზარეულოში“ იბადება ბავშვის სურვილებიც.

კრიტიკული მომენტი ალზრდაში: როგორ მოვახდინოთ გავლენა ბავშვის სურვილებზე, თუ არ არსებობს სურვილთა „სამზარეულოში“ შესასვლელი გზა, თუ ისინი არ არიან მკაცრად დამოკიდებულნი გრძნობებსა და მოთხოვნებზე. თუ, ამის გამო, ჩვენ არ გვინდა ჩავკლათ ცუდი სურვილები, რადგან ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გავამაგროთ ისინი, დავთესოთ ბოროტება, გამოვიწვიოთ უფრო საშიში სურვილები და თუ დავუმატებთ, რომ ადამიანი ძალიან ცუდად მართავს თავის და სხვის სურვილებს.

ალზრდის აზრს იმაში ხედავს, რომ ბავშვს ასწავლო თავისი უცხო, ველური სურვილების ალაგმვა, ან ასე წარმოუდგენია ალზრდა. საზოგადოდ, უყენებს ადამიანს მოთხოვნებს, ხოლო ადამიანი სწავლობს – „მიაბას“ თავისი სურვილები ამ მოთხოვნებს, ადაპტაციას. სოციალური ადაპტაციის უამრავი მაგალითი არსებობს, მაგრამ მიმოიხე-

დეთ თქვენს გარშემო, გაიხსენეთ თქვენი ნაცნობები – ადამიანთა უმრავლესობა არ ებრძვის საკუთარ თავს! ადამიანები არ ქურდობენ არა იმიტომ, რომ რცხვენიათ ან ეშინიათ დასჯის, არამედ იმიტომ, რომ ეზიზღებათ ქურდობა. ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს არა იმიტომ, რომ მათ გადანყვიტეს ყოველდღე აკეთონ სიკეთე, ან ერთგულნი არიან მცირე საქმეთა თეორიის, არამედ, უბრალოდ, იმიტომ რომ უყვართ ადამიანები... ჭეშმარიტად ზრდილ ადამიანს არა აქვს ბოროტი ზრახვები, უკეთურობა გულს უკლავს მას. ის თავს კი არ იკავებს სურვილებისაგან, არამედ აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა, არაფერში თავს არ ზღუდავს, მაგრამ მას არასოდეს იზიდავს ცუდი საქციელი, უსინდისობა, ულამაზობა...სინდისი და მოვალეობა ეხმარება მას არა თვითაღზრდაში, არამედ სიკეთისა და ბოროტების გარჩევაში. შეიძლება ითქვას, რომ ასეთმა ადამიანმა იცის მოვალეობის გრძნობა, ის არ აიძულებს თავის თავს, არამედ ყველაფერს მოვალეობის გამო აკეთებს, მან არ იცის სიმართლე, ასე რომ, ყველაფერში მოვალეობით ხელმძღვანელობს. მას არ სჭირდება თვითიძულების მექანიზმი, ის თავს შინაგანად თავისუფლად გრძნობს. არამწვევლი ადამიანი არ ეწევა იმიტომ კი არა, რომ ის თავისი ჯანმრთელობის წინაშე გრძნობს მოვალეობას, ან ფულს ზოგავს, არა! ის, უბრალოდ, არ ეწევა...

ნორმალური, საიმედო აღზრდა ის კი არ არის, რომ ბავშვს შევასწავლოთ ალაგმოს თავისი სურვილები, არამედ ის, რომ არაფერიც არ ალაგმოს: ყველაფერი, რასაც მოისურვებს აღზრდილი ბავშვი – კარგია!

როგორ უნდა ამოვიცნოთ ასეთი აღზრდის საიდუმლო? ჩვენ ამოვხსნით მას, თუ გავიგებთ, რომ ადამიანი საზოგადოებას კი არ ეგუება, არამედ სულ სხვა ურთიერთობა აქვს სამყაროს მიმართ!

აქ გამოდის არენაზე მთავარი მოქმედი გმირი – პედაგოგიკა.

ბატონო გარი! – იცით, მოუთმენლად ველი შაბათი დღის გათენებას, რომ თქვენს ლექციას დავესწრო, მე თქვენ მეორედ დამბადეთ... სიცოცხლის ხალისი დამიბრუნეთ! მე თქვენი აზრების უდიდესი თაყვანისმცემელი და პირდაპირ გეტყვით, ქურდი ვარ! თქვენს აზრებს ვიპარავ, რომლის გარეშეც, ახლა ვხვდები, თუ რა ვინრო ყოფილა სამყარო... – მითხრა ლექციის დამთავრებისთანავე ჩემმა სტუდენტმა, სამოც წელს მიტანებულმა ქალბატონმა და ჩემდამი მოძღვნილი ლექსების მთელი რვეული გადმომცა – ჩვენი ურთიერთობა კი კოლეგიალობით აენყო... ამ ქალბატონს შესაშური განათლება ჰქონდა მიღებული კულტურის სფეროში, მწერალთა კავშირის წევრიც გახლდათ, მაგრამ ადამიანთმცოდნეობის ლექციები უდიდეს შემეცნებას აძლევდა...

ყველაზე განათლებულ ადამიანებშიც კი შემინიშნავს ღრმა რწმენა იმისა, რომ სულიერი ცხოვრება ნიშნავს იარო თეატრში, იკითხო წიგნები, იკამათო ცხოვრების აზრზე.

...აქამდე, სულზე, გრძნობებსა და სურვილებზე ვლაპარაკობდით, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია პედაგოგიკისა და მაინც ჩვენ

ვიმყოფებოდით თითქოს გვირაბის იქითა მხარეს, რომლითაც მიდის სამყაროსკენ ბავშვის გულითადი მოძრაობა. ახლა შევხედოთ, როგორ მიდის ჩვენი გულითადი მოძრაობა ბავშვისკენ.

შინაგანი სამყაროდან გარეგანი სამყაროსკენ მოძრაობის პირველწყარო – ადამიანის მოთხოვნებია. პირველი წყარო შემხვედრი მოძრაობისა სამყაროსი ადამიანისაკენ – მისი, სამყაროს მოთხოვნებია, არა ჩვენი, მშობლების, ოჯახის მოთხოვნები, არამედ კაცობრიობის ძირეული მოთხოვნები – უსაფრთხოების, მატერიალური და სულიერი განვითარების მოთხოვნები. ჩვენ გადავცემთ ბავშვებს კაცობრიულ მოთხოვნებს, ხშირად, შეუმჩნევლად, იმიტომ, რომ ჩვენში ზრდასრულ ადამიანებში, ხშირად ვერ ვამჩნევთ ამას, იმიტომ, რომ ჩვენში ასეთი ზრუნვა ცოცხლობს ყველასთვის საერთო, ზოგად მისწრაფებებში. სიმართლისკენ, სიკეთისკენ, მშვენიერებისკენ ლტოლვაში.

თუ ადამიანს თუნდაც მცირე მისწრაფება აქვს სიკეთისაკენ და უხარია მას, როცა რაღაც კარგს აკეთებს, ის ასეთად კი არ დაიბადა, არამედ მას გადაეცა ზოგადკაცობრიული მისწრაფება. სიკეთისაკენ. თუ ადამიანი, შეძლებისდაგვარად, ამჯობინებს სიმართლეს, თუ აღშფოთდება უსამართლობის ნახვისას, მაშინ ის კი არაა ასეთი ქკვიანი და პატიოსანი – არამედ მასშია ის ნაწილაკი, ზოგადადამიანური მისწრაფებისა სიმართლისაკენ.

სულიერება არაა ქცევის კულტურა ან განათლება. უამრავი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია განათლება, ფლობს სულის უზარმაზარ ძალას ხალხიდან აღებულს. განათლება არაა ინტელიგენტურობა, იგი სულიერებაა – აი, რის გამოა, რომ ხელოვნების უფაქიზესი შემფასებლებიც კი ზოგჯერ ვერაფრით გვმოძღვრავენ. თავისთავად წიგნის კითხვა, თეატრებსა და მუზეუმებში სიარული არ არის სულიერი ცხოვრება. ადამიანის სულიერი ცხოვრება არის მისი სწრაფვა ამაღლებისკენ... თუ იგი საკმაოდ ძლიერია, მაშინ წიგნი და თეატრი აღელვებს ადამიანს, რადგანაც პასუხობს მის მისწრაფებებს. ხელოვნების ნაწარმოებში სულიერი ადამიანი ეძებს თანამოსაუბრეს, მოკავშირეს, ეძებს სიკეთის, სიმართლის, მშვენიერების გასამყარებლად. თუ ადამიანი სულიერად მდაბალია, თეატრშიც და კინოშიც ის მხოლოდ დროს ჰკლავს. ასევე, შეიძლება იყოს უსულო თვით ხელოვნების ყველა ნიმუში, რადგან არა აქვს მისწრაფება სიმართლისაკენ, სიკეთისაკენ და, მაშასადამე, არ არის ხელოვნება.

ერთმა სტუდენტმა ასე უპასუხა კითხვას მის აღზრდაზე: – მამა ჩემით სულ არ იყო დაკავებული, მაგრამ როცა ღამეები მეღვიძებოდა, მე ვხედავდი სინათლის პატარა ზოლს მისი ოთახის კარებიდან გამოსულს, მამა მუშაობდა. აი, ის სინათლის ზოლი მზრდიდა მე.

იქ, სადაც ბავშვს დაბადებიდანვე სიფრთხილით არ უნერგავენ – „ნუ განსჯი!“, მშობლები პირველნი ხვდებიან განსასჯელთა შორის! დღეს ჩვენ ვსჯით მეზობელს, ხოლო ხვალ, ან ხუთი წლის შემდეგ, ეს გაკვეთილი აღიქმება ბოლომდე და შვილი ჩვენ განგესჯის უმოწყალოდ. ჩვენ დავიწყებთ ხელების ქნევას: „უგულო, როგორ ელაპა-

რაკება მამას, მშობელი მამა არ ებრალება!“ მაგრამ ამას ჩვენ მივაჩვიეთ იგი, როცა მეზობელს განვსჯიდით, მთელი მისი ცოდვებითა, ან, უფრო თანამედროვე ენით, ომ ვთქვათ, თავისი ნაკლოვანებებით... ზოგიერთი ჩვენგანი ისეთ იდეალურ ცხოვრებას ენევა, რომ ბავშვებს არაფერი რჩებათ საკრიტიკო, მაგრამ, სულ ერთია, მაინც აღმოგვაჩინენ, გვიპოვნიან! და მხოლოდ ბავშვები, რომლებიც ადამიანთა სიყვარულში გაერკვევიან, სიფრთხილით მოეპყრობიან საკუთარ დედას და მამასაც. ბავშვებს უნდა უყვარდეთ ყველა, კარგად უნდა მოეპყრონ თავიანთ მშობლებს, რომლებიც ზოგჯერ ძალიან ცუდ ადამიანებად ერჩენებათ და აკი, სწორი ლოგიკით, ისინი, ბავშვები, თითქოს მართლები არიან. მათ ხომ მთელი ცხოვრება ასწავლიდნენ – იბრძოლონ ნაკლოვანებების წინააღმდეგ და იბრძვიან კიდეც! და იწყებენ მათთვის ახლობელი ადამიანებისგან – თავიანთი მშობლებისაგან.

ხოლო იმას, რომ მშობლებმა მათ სიცოცხლე აჩუქეს – მხოლოდ 50-60 წლის შემდეგ დააფასებენ.

ხშირად ორ მიზეზს მიჰყავს აღზრდა წარუმატებლობისაკენ; ნაწილობრივ, უპასუხო ცალმხრივ სიყვარულს – ეს მაშინ, როცა დედას უყვარს შვილი, ის კი არ პასუხობს, და ეგრეთწოდებულ ბრმა სიყვარულს – როცა დედას უყვარს მარტო თავისი შვილი და არა ყველა. კარგი აღზრდისთვის საჭიროა დედა, რომელსაც უყვარს ყველა ბავშვი მას უყვარს თავისი ბავშვი არა იმიტომ, რომ ის თავისი შვილია, არამედ იმიტომ, რომ უყვარს ყველა ადამიანი და ებრალება ისინი.

ჯერ არცერთ ადამიანს არ მოუხერხებია სიყვარული საყვედურებით მოეპოვებინოს... საყვედურს ზოგჯერ ცუდი ელფერი დაჰკრავს:

ისმის: „შენ მე არ გიყვარვარ“ – იგრძნობა მოთხოვნა: „შემიყვარე მე, შენ ვალდებული ხარ, მე შემეყვარო!“ ეს კი დაასრულა: არ უნდა ველოდოთ იმავე წამს დაბრუნებას, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს გარეცხილი იატაკი მიუთითებდეს სიყვარულზე, არ უნდა დავნებდეთ ამ კომერციული ტიპის ფრაზებს: „სიკეთე ირგვლივ“, „მივაგოთ ასწილ“ და ასე შემდეგ, თუ ადამიანი ელოდება, რომ მას სიკეთისთვის მიეზღვევა და ისიც ასწილად – მაშინ რაა ასეთი სიკეთე? რა ექნათ, თუ სიკეთე არ გვიბრუნდება, თუ სამაგიეროს არ გვიხდიან? დავწყევლოთ ადამიანები თავისი უმადურობისათვის? არა, ეს ყველაფერი მხოლოდ მას ეხება, ვისაც არასოდეს არავინ ჰყვარებია.

მოსიყვარულე უმაღლესი სიხარულით ასაჩუქრებს სხვებს, ვიდრე თვითონ ღებულობს საჩუქრებს. ის მზად არის მთელი ცხოვრება გაიღოს, ოღონდაც ვინმეს რაიმე შეჰმატოს. აი, სადაა სირთულე, აი, სად არის ტანჯვა – არის, თუ არა ის, ვისაც უნდა აჩუქოს, გასცეს?

პირველი ბავშვის გაჩენისთანავე ჩვენ იძულებულნი ვართ დავიწყოთ გაუთავებელი, ზოგიერთისთვის შეუძლებელი შრომა: შევეცადოთ, შევიყვაროთ ყველა ადამიანი, ვინც ჩვენს ირგვლივაა... ეს არის მთავარი, სიმართლესთან ერთად, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკე-

თოთ ჩვენი ბავშვისთვის, ჩვენი აღმზრდელობითი ძალა პირდაპირ-პროპორციულია ჩვენი სიყვარულისა ადამიანებისადმი, არა ჩვენი შვილისადმი, არამედ, სწორედ, ადამიანისადმი!

გვშველის შედეგი და არა მუშაობა, რადგან ის მოთხოვნილებაა, მიდიხარ სამსახურში, რათა იმუშაო და ცხოვრობ სამსახურით. სალამოს კი, არაფერი გაქვს სანანებელი ფუჭად გატარებული დღის გამო, არ გრძნობ სიცარიელეს, რომელსაც ყველა თავისებურად ავსებს... დიდი ხანია მინდა ამ თემაზე საუბარი ლექციაზე, საბაბი უნდა მოვძებნო, თუმცა მეტი საბაბი რა გვინდა, თუ არა სულმნათი ილია ჭავჭავაძის ბრძნული სიტყვები: – „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველდღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, მე დღეს, ვის რა ვარგე?!“ მაგრამ ასე მშრალი სიტყვებით შეიძლება აიყოლიოთ აუდიტორია? ამიტომაც ვეძებ რაღაც ისეთს, რაც ყველაზე მეტად ჩააფიქრებს სტუდენტს.

– დღეს მსურს – ქართველი ერის სულიერი მამის შესახებ, ილია ჭავჭავაძეზე გესაუბროთ, მინდა, კარგად გადავხედოთ მისი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი, და საერთოდ, ისტორიას, რომ ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე, რატომ არ იცოდა დიდმა ილიამ მეთავე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში?

– როგორ? – განცვიფრებულია აუდიტორია – არ იცოდა?! და ვინცებ თამამად საუბარს ილიაზე, ეს საკითხი კი ბოლოსთვის მაქვს შემონახული...

ერთია, შეაფასო უკვე აღიარებული მწერალი, ადრე ნათქვამს რამე შემატო, მაგრამ სულ სხვაა, სწორად განსაზღვრო ნაკლებად ცნობილი პოეტის ადგილი და მნიშვნელობა არა მარტო თავისი ერის, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიაში, არ დაუკარგო ქვეყანას ისეთი შემოქმედი, როგორიცაა ქართული ხალხისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამგვარი მამულიშვილური მოღვაწეობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იგი ხშირად პირადულზე უარის თქმასაც მოითხოვს და საკუთარი ინტერესების მსხვერპლად მიტანასაც იმ იდეალების განსახორციელებლად, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა დიდი მამულიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ...დიდი ილია, დიახ, ვერ იცნობდა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, თორემ კიდევ მეტად იამაყებდა ჩვენი ერის ლიტერატურული წარსულით, ვერ იცნობდა, რამეთუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, 951 წელს დაინერა, მისი ხელნაწერი 12 საუკუნისაა და იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. აქედან გადმოიღო ტექსტი ნიკო მარმა 1902 წელს, შეისწავლა და 1911 წელს გამოსცა, მაშინ ილია ჭავჭავაძე ოთხი წლის გარდაცვილი იყო.

# მარცვლის სწავლება | კლასში, წინასწანებანო ეტაპზე

სტატიაში გაეცნობით, თუ როგორ შეიძლება ვასწავლოთ მოსწავლეებს სიტყვის დამარცვლა წინასწანებანო ეტაპზე, როცა მან ჯერ კიდევ არ იცის ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები, სიტყვის კომპონენტები და მისი სტრუქტურა.

მარცვლის სწავლების ეს მეთოდი განვითარების ყველა დონეზე მყოფი მოსწავლისთვისაა განკუთვნილი და სახალისო თამაშის ელემენტებითაა გაჯერებული, სადაც თვითონ – მოსწავლეა დამკვირვებელიცა და ცოდნის მაძიებელიც. ასეთი სწავლება ზრდის მოსწავლის მოტივაციას და დიდ გავლენას ახდენს სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო საკითხები ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერთა, ფსიქოლოგთა და პედაგოგთა შეხედულებებსა და გამოცდილებებს, განვითარებისა და სწავლების თანამედროვე თეორიებს.

აქ აღწერილია გაკვეთილებზე გამოყენებული აქტივობები და სასწავლო რესურსები, რომელიც, ვფიქრობ, ბევრ მასწავლებელს დააინტერესებს.

მარცვლის სწავლების შესახებ ვიდეოგაკვეთილი იხილეთ:

<https://www.youtube.com/watch?v=vTaILzU77oc&t=11s>

## შესავალი

„ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება ენობრივი ცნობიერების განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი წერისა და კითხვის უნარების წარმატებით განვითარების საწინდარია“.\*

მოსწავლეთა ფონემატური სმენის განვითარების, სიტყვის სტრუქტურის გაგებისა და გაანალიზებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მარცვლის გააზრებას წინასწანებანო ეტაპზე. სიტყვის შემადგენელ კომპონენტებზე დაკვირვება მოსწავლეს შემდგომში დაეხმარება სიტყვის რაობის, ორთოეპიისა და ორთოგრაფიის, შეგნებული კითხვის უნარების განვითარებაში.

ყოველივე ამის მისაღწევად მარცვლის სწავლება ჰარმონიულად უნდა მიმდინარეობდეს სიტყვის ვიზუალურ და სმენით აღქმა – გააზრებასთან ერთად. მათი დანანეკრებულად და ქოტურად სწავლებას სხვა გართულებები შეიძლება მოჰყვეს. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვის, ბგერებისა და მარცვლების მკაფიოდ და სწორად წარმოთქმას, რომელიც მომავალში მართლწერას, გამართულ მეტყველებას და აზროვნებას შეუწყობს ხელს.

\* ლოიდ დულიტილი, მერლ ჰორვარდი, კეთლინფეჰი – დაბადებულია, რომ ილაპარაკოს! 2012 წ.

მარცვლის სწავლებას წინასაანბანო ეტაპზე გარკვეული სიძნელეებიც ახლავს, კერძოდ: მოსწავლემ ჯერ კიდევ არ იცის ხმოვანი და თანხმოვანი, მითუმეტეს, მარცვალი.

ამ ეტაპზე მარცვლის სწავლება ხდება ტრადიციული ტაქტის მეთოდის გამოყენებით, მაგრამ დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ მთელი პირველი კლასის განმავლობაში დამარცვლაცა და სიტყვის გადატანაც მოსწავლეების უმრავლესობას უჭირს. საკლასო წერის დროს შეკითხვების ნიაღვარი მოდის მოსწავლეებისაგან, რომლებმაც ერთი სტრიქონი შეავსეს, ბოლო სიტყვის რაღაც ნაწილისათვის ადგილი არ ყოფნით და არ იციან, როგორ გადავიდნენ მეორე სტრიქონზე. გადატანის წესები მეორე კლასიდან ისწავლება შედარებით მარტივად, მესამედან – უფრო საფუძვლინად. და პრობლემებიც აქ იწყება...

უნდა აღინიშნოს, რომ წინადადებაში სიტყვების რაოდენობის დათვლაც ტაქტის მეთოდით ისწავლება. ეს მეთოდი სრულიად მისაღებია, რადგან სიტყვის გაგება მოსწავლეს არ უჭირს და ის ადვილად ყოფს წინადადებებს სიტყვებად, მაგრამ მარცვლის ტაქტის მეთოდით წარმოდგენა სხვა მხრივაც აბნევს, ის ველარ იგებს, თუ რატომაა გამობატული ერთი და იგივე სიმბოლური „ნიშნით“ სიტყვაცა და მარცვალიც.

პედაგოგიური კვლევის მიზანი სწორედ ამ პრობლემების დაძლევის გზების ძიება გახდა. მრავალწლიანი დაკვირვების

შედეგად დაგროვილმა გამოცდილებამ, მარცვლის სწავლები-სას არსებულ სიძნელეებთან შეჯახებამ, დაბალმა აკადემიურმა შედეგებმა, მოსწავლეების დიდი ნაწილის გაურკვევლობაში ყოფნამ, მოტივაციის სწავლის დანყების პირველი დღეებიდანვე დაქვეითების, სწავლის შიშის განცდის, სკოლისადმი ინტერესის გაქრობის ტენდენციებისა და სხვა მრავალი პრობლემის აღმოჩენამ განსაზღვრა კვლევის მიზანი – I კლასში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების ანალიზისა და შეგნებული კითხვის უნარების გაუმჯობესების მიზნით მარცვლის სხვა მეთოდით სწავლება და მათ შორის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენა.

საჭირო იყო უფრო გასაგები, უფრო მარტივი გზის პოვნა, რათა მხოლოდ რამდენიმე მოსწავლისათვის კი არა, არამედ ყველასათვის დაძლევადი და თან სახალისოც ყოფილიყო მარცვლის სწავლება და შესაბამისად, სწავლების ყოველი შემდგომი საფეხური.

ძლიერი მოსწავლეები მარცვლის სწავლებას ნებისმიერი გზით ახერხებენ, მაგრამ შედარებით „სუსტები“ – მუდმივად რჩებიან „განწირულები“ წარუმატებლობისათვის. საჭიროდ ჩავთვალე, მეცადა სწავლების განსხვავებული მეთოდები და ამ ტიპის „თამაშებით“ მიმეღწინა ცოდნისათვის. ასევე, პრევენცია მომეხდინა ერთ-ერთი მთავარი ფსიქოლოგიური მდგომარეობისაგან თავის დასაღწევად, რომელსაც მოსწავ-



ლის დაბალი თვითშეფასება ჰქვია. თავდაჯერებულობა, სასკოლო ცხოვრებისაგან დადებითი მოლოდინების ქონა ძალზე მნიშვნელოვანია და ეს სკოლაში მისვლისთანავე უნდა გაუჩინდეს მოსწავლეს. ამ მეთოდის წარმატებას მოსწავლეთა საკუთარი შესაძლებლობების – უნარების აღმოჩენასა და გაცნობიერებაზე უნდა ემოქმედა.

სწორედ ესაა თანამედროვე სწავლების უმნიშვნელოვანესი საკითხი. აქცენტი მინდოდა გაკეთებულიყო მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებაზე და ვფიქრობდი, ეს მეთოდი რამდენიმე მიმართულებით იმუშავებდა, კერძოდ:

1. საკუთარ თავზე დაკვირვების, მეტაკოგნიციის ასაკისათვის შესაფერის დონეზე განვითარება;

2. ბგერებსა და მარცვლებზე ყურადღების გამახვილება სიტყვის წარმოთქმისას;

3. მარცვლის, როგორც სიტყვისა და მეტყველების მთავარი ელემენტის რაობის მოსწავლის „ენაზე“ გაგება – გააზრება;

4. მარცვლების დათვლის შემდეგ საჭირო რაოდენობის მართკუთხედების გაფერადება და სიმბოლური აღქმის განვითარება;

5. სახალისო მიდგომებით სწავლებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების საფუძვლის შექმნა;

6. მრავალფეროვანი რესურსებით გაკვეთილის გამდიდრება;

7. მოსწავლისათვის ახალი გარემოს – სკოლისა და სწავლე-

ბის, ინტელექტუალური შრომის თანმხლები სირთულეების წნეხისაგან გათავისუფლება;

8. სასკოლო ცხოვრების მისთვის საინტერესო და საყვარელ გარემოდ აღქმის მიღწევა.

ვფიქრობ, რომ სასკოლო ცხოვრება მოსწავლეს არ უნდა ეჩვენებოდეს როგორც რალაც სავალდებულო, უინტერესო, იძულებით თავსმოხვეულ საქმიანობად; ხოლო რაიმეს დასწავლა – პირდაპირ „ძალადობად“.

სასწავლო – შემეცნებითი თამაშებით მათში შემოქმედებითი უნარების, ძიებისა და ახლის სწავლისადმი ინტერესის გაჩენის, პოზიტიური მოლოდინის და კიდევ სხვა მრავალი უნარის განვითარებისათვის, ვფიქრობ, ყველა გზა უნდა მოსინჯოს მასწავლებელმა და შედეგებს დააკვირდეს.

მიმაჩნია, რომ დასაწყისიდანვე ყველა შესაძლებლობის მოსწავლემ აუცილებლად უნდა გაიგოს წარმატების გემო. ეს გრძნობა მისთვის ნაცნობი უნდა გახდეს. ეს მდგომარეობა შემდგომში სწავლისადმი მაღალ მოტივაციად იქცევა და უფრო მეტი ენთუზიაზმით განაგრძობს სასკოლო ცხოვრებას, საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობას, დაბოლოს, საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციას. ხოლო თუ პირველივე კლასში დარჩა ბავშვის გონებაში რალაც გაუგებარი, დაუძლეველი, მომავალში სწორედ ასეთი მომენტების სიმრავლის გამო ხდება გულის აცრუება სწავლასა და ზოგადად – სკოლაზე. ჩვენდა სამწუხაროდ, არსებული კვლევები

ადასტურებს, რომ წიგნიერების დონე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სავალალო მდგომარეობაშია.

განვიხილოთ ტაქტის მეთოდით მარცვლის შესწავლა (ნათელა მაღლაკელიძე, „მასწავლებლის წიგნი“). სიტყვის დამარცვლისას ტაქტის ტაშით, ხელის მერხზე დარტყმით ან დაკაკუნებით სწავლება საინტერესო მეთოდია მაშინ, როცა მოსწავლემ უკვე გაიაზრა ხმოვანი და მარცვალი, შეუძლია სიტყვები დამარცვლოს და რიტმის ენაზე, უკვე შეძენილი, გააზრებული ცოდნის დეკოდირება გააკეთოს – მოახდინოს მისი დემონსტრირება.

მაგრამ, სანამ მარცვალს გაიგებს, რა ქნას პატარამ?! მას ჯერ არც სიტყვა გაუაზრებია და არც ასოებს იცნობს. ამ დროს ჩვენ, მასწავლებლები, ვთხოვთ ისეთი რამის გაკეთებას, ამ შემთხვევაში – სიტყვების დამარცვლას, რაც მან არ იცის. ჯერ „აი იაც“ კი არ უსწავლია. პირველ დღეებში მას მხოლოდ სურათების აღწერას და რაიმე სიუჟეტის მოყოლას ავალბენ, რაც მისი ასაკისათვის ძალზე ბუნებრივია. მას არც განცდების გადმოცემა უჭირს, მაგრამ სიტყვის ცნება ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია, მითუმეტეს, მისი შემადგენელი კომპონენტებისა – ბგერებისა და მარცვლისა. მარცვალი მას კიდევ უფრო მეტად აფრთხობს, რადგან მოსწავლეთა უმრავლესობა საანბანო პერიოდშიც კი სიტყვას თითო – თითო ასოს „ჩათვლით“ კითხულობს და მისი საფიქრალი მხოლოდ ისაა, რომ

როგორმე ამოიცნოს, თუ რა სიტყვა წაიკითხა.

ეს სწორედ ის ასაკია, როცა მოსწავლეთა უმრავლესობა შემეცნებითი განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფება. (ჟ. პიაჟე)

ეს სტადია 6-დან 11 წლამდე გრძელდება. უფრო რთულადაა საქმე ისეთ ბავშვებთან, რომელნიც ჯერ კიდევ განვითარების პრეოპერაციულ სტადიაზე არიან. ასეთები კი არც თუ ისე იშვიათად გვხვდებიან. ამ დროს სიტყვის დამარცვლა და მითუმეტეს, მისი ტაქტით, რიტმით გადმოცემა მისთვის შეუძლებელი და გაუგებარია. სასწავლო პროცესი კი მაშინაა ეფექტური, თუ იგი ემყარება და ითვალისწინებს ბავშვის განვითარების აქტუალურ დონეს. სიტყვის დამარცვლის ტაქტში დეკოდირება კი უკვე აზროვნების მაღალი საფეხურის ელემენტებს შეიცავს, ანუ არსებული ცოდნის გაშიფვრას. ეს კი კონკრეტული ოპერაციების დონეზე მყოფ ზოგიერთ მოსწავლესაც უჭირს ხოლმე.

„ენის გაგება უმთავრეს ცნებებს – კოდირებასა და დეკოდირებას უკავშირდება. კოდირების პროცესისას მეხსიერებაში ფორმირდება მენტალური რეპრეზენტაციები. მეხსიერების ნებისმიერი ფორმა მოითხოვს სამი სახის მნემურ (მნემა – მეხსიერება) მოქმედებას: აღბეჭდვას ანუ კოდირებას, შენახვასა და აღდგენას, ხოლო დეკოდირება უკვე აღბეჭდილი ინფორმაციის გაშიფვრას ან გარდაქმნას ნიშნავს.“ მ. გოდუაძე

ამავე პერიოდში მათემატიკაში მოსწავლეები ნივთების გროვების თვლას და შესაბამისი რიცხვითი გამოსახულების შესწავლას იწყებენ, ანუ ხდება ინფორმაციის კოდირება. ეს პირველი ნაბიჯებია მათემატიკურ სამყაროში. საგნების რაოდენობის რიცხვებთან კავშირის, შეკრებისა და გამოკლების მოქმედებების შესწავლა – დამახსოვრების, გააზრების ანუ კოდირების ეტაპია. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ამოცანაში მოცემული სიტყვიერი ტექსტის რიცხვით გამოსახულებად ქცევას. ე. ი. უკვე არსებული ცოდნის დეკოდირებას. ცოდნის მიღების საფეხურები სინქრონულად ხდება როგორც მათემატიკაში, ასევე ქართულ ენაში. დეკოდირება მხოლოდ კოდირების შემდეგაა შესაძლებელი.

სწორედ ამიტომაც ნაადრევი ტაქტის მეთოდით სიტყვის დამარცვლის სწავლება წინასაანბანო ეტაპზე, რადგან მოსწავლეს ჯერ კიდევ არა აქვს მეხსიერებაში შენახული ცოდნა სიტყვის შემადგენელი კომპონენტების შესახებ. კოდირების – ცოდნის მიღების, მეხსიერებაში აღბეჭდვის ფაზა ჯერ არ დამთავრებულა და შესაბამისად, დეკოდირებაც შეუძლებელია.

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების დონე რომ სხვადასხვაა, ეს ყველა მასწავლებელმა კარგად იცის. ბავშვი ამ სტადიებს თავისი ინდივიდუალური ტემპით გადის. ამიტომაც, რომ ხშირად ხდება

ჩამორჩენა და, რაც უფრო საყურადღებო და საგანგაშოა, გარკვეული კომპლექსების გაჩენა, რომელთა გავლენის ქვეშ მოქცევა გარდაუვალია და მათი აღმოფხვრა ძალიან დიდ შრომასა და დროს მოითხოვს.

ჟან პიაჟე ამბობს, რომ თუ ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება მის შემეცნებით სტრუქტურებს – სქემებს, მაშინ ის ამ მიღებულ ინფორმაციას ადვილად იგებს, ანუ ახდენს ასიმილაციას; ხოლო თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სქემებს, მაშინ ვერ ხდება მისი გაგება – ცოდნისმიღება. იმ შემთხვევაში, თუ შემეცნებითი სტრუქტურა მომნიშვნეულია შესაცვლელად, იგი გადაენწყობა ახალი ინფორმაციის შესაბამისად, ანუ განხორციელდება აკომოდაცია. ამგვარად, ხდება ახალი გამოცდილების გააზრება, უკვე არსებული ცოდნის მიღებულ ცოდნასთან შერწყმა და სტრუქტურის გარდაქმნა. ასიმილაციისა და აკომოდაციის ურთიერთქმედება თვალსაჩინოს ხდის შემეცნების კონსტრუქტივისტული მიდგომების მართებულობას. კერძოდ, ერთსა და იმავე ინფორმაციაზე ყოველი ბავშვი სხვადასხვაგვარად მუშაობს, რადგან ინფორმაციას სხვადასხვანაირ შემეცნებით სტრუქტურაში კრავს. ამას პიაჟე უწოდებდა ბავშვის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის აგებას – კონსტრუირებას.

პიაჟეს თეორიის თანახმად, სწავლების ძირითადი პრინციპები ასეთია: შემეცნებითი აზროვნების განვითარების შე-

საბამისად უნდა მივანოდოთ ბავშვებს რეალური სამყაროს აღქმის ადეკვატური საშუალებები; შემეცნებითი აზროვნების გასავითარებელი სავარჯიშოები უნდა შეიცავდეს ისეთ მოტორულ და გონებრივ ოპერაციებს, რომლებიც სჭირდებათ ბავშვებს განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. უშედეგოა ისეთი დავალების მიცემა, რომელიც მის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება.

ჩემი აზრით, სკოლის პირველი დღეებისა და შეიძლება თვეების განმავლობაშიც კი მოსწავლეთა დიდი ნაწილი გარდამავალ ფაზაში – პრეოპერაციულიდან – ოპერაციულ სტადიაზე იმყოფება. ზოგიერთი ამას მარტივად გადალახავს, ზოგისთვის კი ეს ფაზა შედარებით დიდხანს გრძელდება. ამიტომაც, რომ მოსწავლეს უჭირს ნაკითხული ასოებიდან სიტყვის ამოცნობა, ორი და სამი ასოს ერთად ამოკითხვა.

დაკვირვებამ და მრავალწლიანმა პრაქტიკამ, ამასთან ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პირველი კლასის პირველივე თვეებში მოსწავლეთა მხოლოდ 40 ან 50 პროცენტს შეუძლია ადვილად გადალახოს ეს ბარიერი – მარცვლის სწავლების სირთულე.

ამაზე ხშირად წუხდნენ მასწავლებლებიცა და მშობლებიც. სამწუხაროდ, ყოფილა ისეთი ფაქტებიც, როცა მასწავლებელი ამ „დაუძლეველ პრობლემას“ აჩქარებული ტემპით გადის, ასე ვთქვათ, „გაირბენს“ და თითქმის ერთი თვის განმავ-

ლობაში გასავლელ პროგრამას, რომელიც ხმოვნისა და თანხმოვნის, მარცვლის სწავლებასა და მის სიმბოლურ გამოსახვას ეთმობა, შეგნებულად ტოვებს.

ვფიქრობ, პრობლემა არა მარტო მასწავლებელში ან მოსწავლეებში, არამედ ამ საკითხის სწავლების მეთოდულ კაში უნდა ვეძებოთ.

მინდა აღვნიშნო, რომ წინასწანბანო ეტაპზე მოსწავლე არამარტო შემოხსენებულ ცოდნას ვერ იღებს, არამედ მოუმზადებელია შემდეგი უფრო დიდი ნაბიჯისათვის, რომელსაც საანბანო ეტაპი ჰქვია. სწორედ აქ ხდება სწავლების მთავარი ფუნდამენტის შენება, რასაც გააზრებული კითხვა ჰქვია.

ამ დროის მანძილზე მოსწავლე ეჩვევა მასწავლებელს, მის ხმას, ფესტიკულაციას, ახერხებს მისი პიროვნების მეტ-ნაკლებად გაცნობას, მინდობას; ეჩვევა სასკოლო გრაფიკს; სწავლობს და თანდათან ეუფლება ორგანიზებულობას, სასკოლო ნივთების მოვლასა და საჭიროებისამებრ გამოყენებას; იგებს, თუ როდის უნდა დაისვენოს, დაილაპარაკოს, მოუსმინოს მასწავლებელს; ამას ემატება კომუნიკაციები თანატოლებთან; უნდა შეეჩვიოს მერხთან ჯდომას და სხვა მრავალ წვრილმანს, რომელსაც სკოლაში აწყდება და ყოველივე ეს მისთვის საკმაოდ დიდი დატვირთვაა. სწავლების რთულ პროცესთან ადაპტირების დრო კი საერთოდ არ რჩება.

უნდა აღვნიშნოს, რომ ამ ასაკში თითოეული დღე და კვირა მნიშვნელოვანია. ბავშვი

სკოლაში მიღებულ ინფორმაციას, ცოდნას, ემოციებს და გარკვეულ გამოცდილებას გონებაში ამუშავებს და შესაბამისი განწყობები და მოლოდინები უყალიბდება, უფრო ხშირად კი ეს უარყოფითი ემოციებია.

სწორედ, აქ არ შეიძლება აჩქარება, აქ არ უნდა გამოგვრჩეს მთავარი და უმნიშვნელოვანესი საკითხი. ამ პერიოდში იგი აკვირდება ყველაფერს და ექმნება წარმოდგენები საკუთარ თავზე, „კარგია, თუ ცუდი“, მისით კმაყოფილები არიან უფროსები, თუ – არა. ეს კი მის თვით შეფასებაზე ძალზე დიდ გავლენას ახდენს. ასერტული, ლალი, კომუნიკაციებისათვის მზაობაში მყოფი ველარ არის, იკეტება თავის თავში, რადგან მას თავდაჯერებულობა სჭირდება და მისთვის კი ამ სიჩქარის გამო „არავის სცალია“, საკლასო თუ

სასკოლო გარემო მისთვის საკმაოდ დიდი და რთული სოციალურია.

ამავე პერიოდში, მოსწავლეთა უმრავლესობას, რომელნიც ექვსი წლის სულ ახლახან გახდნენ, ჯერ კიდევ არა აქვთ კარგად განვითარებული წვრილი მოტორიკა, უჭირთ კალმისა და ფანქრის გამოყენება, შესაბამისად საკუთარი ფანტაზიის ნახატით გადმოცემა. ამ დროს ისინი თავისი თავით უკმაყოფილონი არიან და შეიძლება პირდაპირ განაცხადოს, რომ მას ხატვა ან წერა, უბრალოდ, „არ შეუძლია“ და თვითონვე იჯერებს თავისივე ნათქვამს, ექცევა არასასურველი შეხედულების გავლენის ქვეშ. სამწუხაროდ, ეს „გადანყვეტილება“ შემდეგ რთულად შესაცვლელია, მასწავლებლის ძალისხმევის მიუხედავად.

### **სიტყვის დამარცვლის სწავლების ექსპერიმენტული მეთოდი და მისი აქტუალობა**

მარცვალი მეტყველების დანაწევრების ბუნებრივი ერთეულია, რომელიც ერთ რიტმულ დარტყმად აღიქმება. ლაპარაკის დროს ადამიანი სიტყვას ბუნებრივად ყოფს მარცვლებად, მარცვალი ჰაერის ერთი ნაკადია, რომელიც ხმოვნის წარმოთქმისას ამოდის. მას შეიძლება ახლდეს ერთი, ორი, ან მეტი თანხმოვანი. ხმოვანი არის მარცვლის ბირთვი, ხოლო თანხმოვნები წარმოითქმის „თანახმიერებით ხმოვანთან“.

სიტყვის უმცირესი ერთეულია ბგერა, თუმცა საწარმოთქმო ენის უმცირესი ერ-

თეული სწორედ მარცვალია და მასზეა დამოკიდებული ენის სპეციფიკისა და სიტყვის შინაარსის გააზრება. სიტყვის აღქმა არა ასო – ბგერების ერთობლიობაზეა დამოკიდებული, არამედ მარცვლის წარმოთქმისა და მის გააზრებაზე. სიტყვის სწორად გამოთქმა კი სწორი მეტყველებისა და სწორად წერის უნარებს ავითარებს. მარცვლებს შორის პაუზა იმდენად შეუმჩნეველია, რომ 5-6 წლის ბავშვი სიტყვებს ერთ მთლიან ბგერით მოვლენად აღიქვამს.

დაკვირვებებმა, ტესტებმა, მარცვლებისაგან სიტყვის შე-

ქმნაზე არსებულმა სხვადასხვა სავარჯიშომ, როგორცაა, მაგალითად, თამაშები: „მარცვლობანა“, „დაასრულეთ სიტყვა“ ან „მიიღეთ ახალი სიტყვა მარცვლის დამატებით“, აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას ეს სავარჯიშოები არ უყვარს, რადგან ეძნელება. ურჩევნია, ტექსტი წაიკითხოს და რაკი ამ ასაკში შესანიშნავი მეხსიერება აქვთ და ტექსტიც პატარაა, გაკვეთილზე მასწავლებლის წინაშე თავდაჯერებულმა ჩამოარაკრავოს. მშობელიც კმაყოფილია და შესაძლებელია – მასწავლებელიც. მაგრამ შედარებით მაღალი დონის სააზროვნო დავალებების შესრულებისას სრულ მარცხს განიცდის და სწორედ აქ იწყება – „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“. ( დ. უზნაძე) ეს დილემა კი თვითონ სიტყვის დამარცვლასა და მარცვალთა რაოდენობის პოვნაშია, როცა ჯერ ასო – ბგერები არ უსწავლია და ვერბალურად უნდა გაიაზროს ყველაფერი.

მარცვლის ტაქტის მეთოდით სწავლება საკმაოდ გრძელი, შორი და რთული გზაა. ამასობაში საშინაო თუ საკლასო დავალებებს ყველა მოსწავლევერ ასრულებს, შინ კი მშობლის დახმარება სჭირდება.

ფაქტია, რომ ცოდნის კონსტრუირება არ ხდება და მოსწავლეთა უმრავლესობა საგონებელში და გაურკვეველობაში ვარდება... არადა, ამ ეტაპის გაუვლელია და მისი თავიდან არიდება ყოვლად მიუღებელია, რადგან სწორედ ამ პერიოდში

ხდება სიტყვის ბგერითი მატერიალიზაცია“. (Эльконин 2007)

ამჟამად მოქმედ „დედაენაში“ მოსწავლეები სწავლობენ ასობგერათა, მარცვლების, სიტყვათა და წინადადებათა აღმნიშვნელ გრაფიკულ ნიშნებს და სირთულეც, სწორედ, ამ პერიოდს ახლავს.

როგორ გავუმარტივოთ მოსწავლეებს სწავლების ეს ეტაპი ისე, რომ არ გაუჩნდეს შიშისა და დაუძლევლობის, სკოლისაგან გაუცხოების, დაბალი თვითშეფასების კომპლექსი, რომელმაც, სამწუხაროდ, შემდგომში შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს?

ამ საკითხზე ფიქრმა, ერთ საინტერესო დასკვნამდე მიმიყვანა. უმჯობესია, ამ ეტაპზე მარცვლის სწავლებას ბუნებრივი, უშუალო სახე მიეცეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარცვალი მეტყველების დანაწევრების ბუნებრივი ერთეულია და უძველესი დროიდან მოყოლებული სიტყვის თქმის სტრუქტურა, ვგულისხმობ პირის აპარატს და ბგერების წარმოთქმას, არ შეცვლილა (განსხვავებით ენობრივი ნორმებისა) და დღესაც ისევე წარმოვთქვამთ სიტყვებს, როგორც უძველესი დროიდან უმეტყველია ჩვენ წინაპარს (ვგულისხმობ – მარცვლებად წარმოთქმას).

ხომ არ აჯობებს, რომ ბავშვისათვის ჩვეულ, გასაგებ და ბუნებით „ქცევაზე“, ანუ სიტყვის თქმისას პირის მოძრაობასა და ფილტვებიდან ამოსული ჰაერის ნაკადზე გავაკეთოთ ფოკუსირება?! მოსწავლემ თვი-

თონ დათვალოს, თუ რამდენჯერ გაალო პირი და რამდენჯერ მოხვდა ჰაერის თბილი ნაკადი მის თითებს. თვლა, თუნდაც ხუთამდე, ამ დროისათვის თითქმის ყველა მოსწავლემ იცის, საკუთარი პირის მოძრაობაზე დაკვირვება კი ძალიან საინტერესო და სახალისოა მისთვის.

„დაკვირვება აქტიური პროცესია; ის რაიმე ისეთის აღმოჩენის მიზნით ჩატარებული კვლევა – ძიებაა, რომელიც ადრე უცნობი და თვალისათვის შეფარული იყო, და რომელიც საჭიროა რაიმე პრაქტიკული თუ თეორიული მიზნის მისაღწევად. (ჯონ დიუი.)

აქ სწავლება ხდება არა გარედან, იმპერატიულად – მასწავლებლის მიერ ცოდნის გადაცემით, თეორიული შეგონებებით, არამედ თვითდაკვირვებით, აღმოჩენით (სწავლება კეთებით, დაკვირვებით – რეფლექსიური აზროვნება. ჯონ დიუი), რომელიც ამ ასაკში მყოფი ბავშვებისათვის ყველაზე ეფექტურია. მოსწავლე თვითონაა დამკვირვებელიცა და აღმომჩენიც. ჩვენ კი, მასწავლებლები, უბრალოდ, მხოლოდ გზას ვუჩვენებთ, ვეხმარებით.

ასეთი მეთოდით ჩატარებული გაკვეთილი მოსწავლეს ერთგვარი თამაში ჰგონია, ხალისით ერთვება და მარცვლის გაგების სირთულეც ქრება, რადგან ერთდროულად ხდება მოტორული და გონებრივიოპერაციები. (ჟან პიაჟე)

მოსწავლე თვითონ წარმოთქვამს სიტყვას მარცვლებად ნელა და ხმამაღლა, თვითონვე

აკეთებს დაკვირვებას საკუთარ თავზე და ითვლის. ამ დროს ცერს ლოყაზე იდებს (პირის მოძრაობის დაკვირვების მიზნით), დანარჩენ ოთხ თითს კი პირთან ახლოს დაიჭერს (ჰაერის ნაკადზე დაკვირვებისათვის), ამ თამაშს ხუმრობით „ტელეფონი“ შევარქვი, რადგან ხელით ტელეფონის იმიტირება ხდება.

მეტაკოგნიციის ამგვარი ფორმა სრულიად მარტივი და ბუნებრივია და თვითდაკვირვების ელემენტებს შეიცავს. იგი თვითონაა ექსპერიმენტატორიც და დამკვირვებელიც, ცოდნის ახალი კონსტრუქციის მშენებელიც.

ახლა, ამ ეტაპის გავლის შემდეგ მოსწავლეს სიამოვნებს კიდევ, თუნდაც რთული სიტყვების დამარცვლა დავავალოთ. იგი თავისი თავით კმაყოფილია, ისევე, როგორც სათამაშო ან სპორტულ მოედანზე და ხალისით ასრულებს დავალებას. სწორედ ეს იყო კვლევის მთავარი მიზანი და შედეგებმა აჩვენა, რომ ეს პრობლემა ძალიან ბუნებრივად და მარტივად დაძლევადი გახდა.

მარცვლის სწავლების შესახებ მოვიხილო არსებული ლიტერატურა. ინგლისურენოვანი ბავშვებისათვის მარცვლის სწავლება დაწყებით საფეხურზე ტაქტის მეთოდით სრულიად ლოგიკური და მართებულია, რადგან ამას თვითონ ინგლისური ენის სპეციფიკა მოითხოვს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ინგლისურ ენაში ხმოვნები – ა, ე, უ, ყ – გამოითქმის როგორც „ეი“, „აი“, და ა. შ. ერთ ხმოვნად აღიქმება და ერთ მარცვალს წარმოქმნის.

მრავალ ენაში არსებობს ხმოვანთა დაჯგუფებები, ე. წ. რთული – შერწყმული ხმოვნები, რომლებიც ერთ მარცვალს ქმნიან. ამ სპეციფიკის გამო ამ ენაზე მეტყველი ბავშვებისათვის მარცვლის ტაქტის მეთოდით სწავლება გარდაუვალია. რაც შეეხება ქართულ ენას, აქ სულ სხვაგვარი სურათი გვაქვს. თანამედროვე ქართულ ენაში რასაც ვნერთ, იმასვე ვკითხულობთ. არ გვაქვს რთული ხმოვნები. ჩვენი ენა, სიტყვაც და ბგერაც სხვა სპეციფიკისაა და მარცვალსაც სხვა პრინციპებზეა აგებული, სამეტყველო აპარატიცა და ბგერის წარმოთქმის ტექნიკაც სხვაგვარია, რაც გენეტიკურად მხოლოდ ქართველისათვის, ან მონათესავე, ამავე წყობისა და სპეციფიკის მქონე ენებისთვისაა ბუნებრივი. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ მარცვლის პირის

აპარატზე დაკვირვების მეთოდით სწავლება მოსწავლისათვის ბევრად უფრო გასაგები, უშუალო და სისხლხორცეულია, ვიდრე ტაქტის მეთოდით.

„ორთოეპიის წესების მოწესრიგებულობა დიდწილად არის განმაპირობებელი ორთოგრაფიული სიძნელების დაძლევისა. ეს მიმართება... განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ბუნებისა და მნიგნობრული ტრადიციის ენაში, როგორც ქართულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზეპირი და წერიტი მეტყველების მაქსიმალური სიახლოვე. სალიტერატურო დარბაისლური ქართული არის ფონემურად სრული მეტყველება, რაც ეფუძნება პრინციპს: როგორც გამოითქმის, ძირითადად ისე იწერება და პირიქით...“ (ნინო ჯაში.)

### ინტერვენციების აღწერა

ახალი მეთოდით მარცვლის სწავლებისას, უმჯობესია, ორმარცვლიანი სიტყვებით დავინწყოთ. ამასთან სიტყვები მარტივი და მოსწავლისათვის ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს. მაგ.: „დედა“, „მამა“, „დაფა“, „ხელი“ და ა. შ. მხოლოდ ამის შემდეგ მოვასმენინოთ, თუ როგორ წარმოითქმება ერთმარცვლიანი სიტყვები. ყურადღებას ვამახვილებინებთ პირის მოძრაობასა და ფილტვებიდან ამოსულ ჰაერის ნაკადზე.

აუცილებელია, რომ მასწავლებელმა გამოიყენოს ისეთი ვიზუალური რესურსები, რომელზეც სურათიც იქნება და დან-

ერილი სიტყვაც, რათა მოხდეს საგნისა, გამოსახულებისა და სიტყვის, როგორც ბგერათა ერთობლიობის ერთდროული აღქმა - ბგერითი მატერიალიზაციის პროცესი. გავითვალისწინოთ, რომ დასაწყისისათვის მარტივი და ღია მარცვლიანი სიტყვების დამარცვლა შევასწავლოთ, შემდეგ კი როცა მოსწავლე გაინაფება, ადვილად შეძლებს რთული სიტყვის დამარცვლასაც.

პირველი სავარჯიშოებიც მარტივი უნდა იყოს და თამაშის ელემენტებს უნდა შეიცავდეს. სავარჯიშო სიტყვა – ნახატების მაგალითები იხ. ქვემოთ. დასამარცვლი სიტყვები, უმჯობესია,



სახელმძღვანელოდან შეირჩეს, რადგან საანბანო ეტაპის საკვანძო სიტყვები თანდათან მოსწავლისათვის ნაცნობი გახდება და ეს მომავალში შეგნებული კითხვის სწრაფად დაუფლებას გაუადვილებს.

ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მინდა, გამოვკვეთო. წინასაანბანო ეტაპზე მარცვლის გააზრებული შესწავლის გარეშე, მოსწავლე საანბანო საფეხურზე აუცილებლად დადგება დიდი პრობლემების წინაშე. სახელმძღვანელოში ყოველი გაკვეთილის საკვანძო სიტყვა – სათაური სამი სახითაა წარმოდგენილი: მთლიანი, დამარცვლული და ცალკეულ ასო – ბგერებად დაშლილი. ტექსტის პირველ სტრიქონშიც მოცემული სიტყვები მარცვლებადაა მოცემული. თუ მოსწავლეს ჯერ კიდევ არ ესმის მარცვლის რაობა, ის ვერ გაიგებს, თუ რატომ წერია სიტყვები ზოგჯერ მთლიანად და ზოგჯერ – ერთმანეთისაგან დეფისით გამოყოფილი ანუ დამარცვლული და იგი მხოლოდ მექანიკურად, გაუაზრებლად კითხულობს მარცვლებს. ხშირად მას ეს მარცვალი კი არა, დამოუკიდებელი, მისთვის გაუგებარი, რაღაც ახალი სიტყვაც კი ჰგონია. ხდება ისეც, რომ პირდაპირ მთლიან სიტყვას იტყვის (რომელიც შინ დაიზეპირა) და არ და ვერ დააკვირდება სიტყვის შემადგენელ კომპონენტებს. საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდეგაც ორი ან მეტი ასოს ერთად წაკითხვა უჭირს. შესაბამისად, მრავალბგერიანი და თანმოვანგროვები-

ანი სიტყვების წაკითხვისას ვერ ხვდება მის შინაარსს. ხშირად სიტყვის ამოცნობას დასაწყისით – ორი, სამი ან ოთხი ბგერით ცდილობს, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, შეცდომები ახლავს. შედეგად კი მივდივართ გაუაზრებელ კითხვასთან, ბოლოს – დაბალ თვითშეფასებასა და მოტივაციის დაქვეითებამდე.

ამას ერთვის შინ, გაკვეთილის მომზადებისას უხალისო განწყობა, სიჯიუტე, ზოგჯერ ტირილით მეცადინეობა და სხვ. მთელი რიგი პრობლემებისა. ასეთ მოსწავლესთან შემდგომში შეუძლებელი ხდება უფრო მაღალ სააზროვნო დონის შეკითხვებზე პასუხის მოთხოვნა ან ტექსტის ანალიზი, სინთეზი და შეფასება, წინადადებებში სწორი მახვილების დასმა, გმირების ხასიათის, მწერლის მთავარი სათქმელის გაგება...

## I აქტივობა

გაკვეთილის დასაწყისში, გამოწვევის ფაზაზე კიდევ ერთხელ ვააქტიურებ წინარე ცოდნას: ვიხსენებთ წინადადებას და მის შემადგენელ წევრებს – სიტყვებს. ვასახელებთ ორსიტყვიან, სამსიტყვიან და ოთხსიტყვიან წინადადებებს.

ამის შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს ვთხოვთ, დაასახელოს რამე სიტყვა და გადმოსცეს, რა მოხდა სიტყვის წარმოთქმისას, უფრო ზუსტად – რა მოძრაობს ლაპარაკის დროს? მიიტანოს ტუჩებთან თითები და თქვას სიტყვა, რა იგრძნო მისმა თითებმა?

სასურველია, მასწავლებელმა ხმოვნის წარმოთქმაზეც გაამახ-

ვილოს ყურადღება და მასთან ერთად მოსწავლეს მიახვედროს, რომ ბგერები (ამჯერად – ხმოვნები, ოღონდ მათი გრაფიკული სიმბოლოს ჩვენება არ არის საჭირო) ჰაერთან ერთად ამოდის ჩვენი ყელიდან. ამასთან, პირის, ნიკაპისა და ტუჩების მდგომარეობაზე გაკეთდეს აქცენტი. „ა“-დან „უ“-მდე თანდათან როგორ ვინროვდება ტუჩები და ამოსული ჰაერის ნაკადიც მცირდება. მოსწავლეთა ფოკუსირება პირის აპარატზე და ხმოვნის წარმოქმნაზე დაკვირვება მას მიეხმარება შემდეგ ეტაპზე მარცვლის აღქმა – გააზრებაში, რადგან აუცილებელია, სიტყვის ანალიზი დაიწყოს მარცვლით, როგორც – უფრო მსხვილი ერთეულით და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მოსწავლე მზად ასო – ბგერების, ანუ სიტყვის შემადგენელი უფრო მცირე ერთეულის გასაცნობად.

## II აქტივობა

ამ აქტივობისას ვაჩვენებთ „დედანიდან“ საკვანძო სიტყვების სურათებს. სიტყვები ერთ ან ორმარცვლიანია. ყოველი ნახატის ჩვენებისას მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს. ეს აქტივობა გრძელდება დაახლოებით 6-7 წუთი. ამის შემდეგ კი ვსვამ კითხვებს, თუ ვინ გამოიცნობდა მარცვალთა რაოდენობას. აუცილებელია, რომ სიტყვის ხმამაღლა, ნელა და მკაფიო გამოთქმას თავიდანვე შევაჩვიოთ.

მოსწავლეებს ვუხსნით, რომ ლაპარაკის დროს, სიტყვებს

მარცვლებად ვამბობთ. მარცვალთა მხოლოდ პირის გაღებისას იქმნება, როცა ფილტვებიდან ამოსული ჰაერის ნაკადთან ერთად ვამბობთ ბგერებს. სწორედ ასე გვესმის სიტყვები. სხვაგვარად სიტყვის თქმა შეუძლებელია. ამის დასამტკიცებლად შეიძლება პატარა, სახალისო ექსპერიმენტი ჩავატაროთ მოსწავლეებთან ერთად. მაგ.: ვთქვათ სიტყვა „კედელი“ ისე, რომ პირი არ გავალოთ. მეტი სიხალისისათვის, შეგვიძლია, ტუჩები თითებით დავიჭიროთ.

რა თქმა უნდა, ისინი მაშინვე ხვდებიან, რომ სიტყვა „კედელს“ ვერაფრით იტყვიან. ამ დროს მხოლოდ გაურკვეველი ხმა გვესმის, მაგრამ არა – სიტყვა. ხოლო თუ სიტყვის მოსმენა გვინდა, საჭიროა პირის გაღება, ენის, კბილებისა და ტუჩების სხვადასხვა მდგომარეობით დაჭერა და რაც მთავარია, ფილტვებიდან ჰაერის ნაკადის ამოშვება.

ვაჩვენებ, როგორ უნდა დავიჭიროთ ხელი, რომ უკეთ დავაკვირდეთ როგორც პირის – ყბის მოძრაობას, ასევე ფილტვებიდან ამოსული ჰაერის ნაკადს. (ნახატი 1)

– თქვით სიტყვა „დედა“, ოღონდ, მკაფიოდ, ხმამაღლა და ნელა, თითქოს ეზოდან ვეძახით შორს მყოფ დედას.

მოსწავლეები ამბობენ სიტყვას და აკვირდებიან.

მართლაც, ცერი თითით ვიგრძენით, თუ რამდენჯერ გავაღეთ პირი და დანარჩენი თითებით კი – ჰაერის თბილი ნაკადი.

ვსვამ შეკითხვას:

– რამდენჯერ გავაღეთ პირი?  
– ორჯერ, – პასუხობენ მოსწავლეები.

– რამდენჯერ მოხვდა ჰაერი ხელს?

– ორჯერ.

ვაჩვენებ შემდეგ ნახატს, რომელზეც გამოსახულია „მამა“ ვსვამ იმავე კითხვებს. მოსწავლეები ხალისით ასრულებენ დავალებას.

ორი ორმარცვლიანი სიტყვის შემდეგ ერთმარცვლიანი სიტყვა – ნახატი „ხე“ ვაჩვენოთ და დავმარცვლოთ. ამას მხოლოდ



სიტყვებში. მაგ.: „თმა“, „კუ“, „მზე“, „დე“, „ზღვა.“

ამის შემდეგ მოსწავლეებს ინდივიდუალურად ვუსვამთ კითხვას და ვაჩვენებთ უკვე სხვა სურათს, მაგ. „რკო“, „ქვა“ და ა. შ.



შედარებისათვის ვაკეთებთ, რათა მოსწავლე მიხვდეს, რომ ყველა სიტყვა როდია ორმარცვლიანი. ამ სიტყვის თქმისას პირიც ერთხელ გავაღეთ და ჰაერიც ერთხელ მოხვდა თითებს. ე. ი. სიტყვა „ხე“ ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმის, რადგან იგი ერთმარცვლიანია. შეიძლება სამმარცვლიანიც სიტყვაც შევთავაზოთ, მაგ.: „ნამალი“.

ხელის ასეთი პოზიციით (ნახატი 1) ვარკვევთ, რამდენი მარცვლია სხვადასხვა

### III აქტივობა

სიტყვებში მარცვლების პოვნისათვის ვთავაზობთ თამაშს, რომელსაც დავარქვით „ტელეფონი“. ხელის ასეთი პოზიციით დაჭერა ძალზე წააგავს ტელეფონზე საუბრის იმიტაციას (ნახატი 2), მაგრამ რადგანაც ნეკით ჰარის ნაკადის აღქმა ამ ასაკის მოსწავლისათვის ძნელია, ამიტომ უმჯობესია ოთხივე თითი დაიჭიროს ტუჩების წინ, ისე როგორც ნახატ 1-ზეა.

მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ვეხმარებით ხელის სწორად დაჭერაში. ვაჩვენებთ, თუ როგორ უნდა დაიდოს ცერი თითი ლოყაზე, ხოლო დანარჩენი თითები – ტუჩებთან ახლოს და ინდივიდუალურად ვამარცვლინებთ სიტყვებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები ხმამაღლა, ნელა და მკაფიოდ უნდა ითქვას. სიტყვის ნელა თქმა ეხმარება მოსწავლეს იმაში, რომ თვითდაკვირვება მოასწროს და პირის მოძრაობისა და ჰაერის ნაკადის თითებზე დარტყმა დათვალოს; სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმისას იგი თანდათან აცნობიერებს მარცვლის წარმოქმნის ბუნებრიობას; სიტყვის მკაფიო გამოთქმა კი ხელს უწყობს ორთოეპიისა და ორთოგრაფიული უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

მასწავლებელმა დასამარცვლი სიტყვების სურათები ხშირად უნდა ცვალოს, რადგან არ მოხდეს გამეორება და გაზეპირება. გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვები საკმაოდ ბევრ სიტყვას დამარცვლავენ.

ახლა ვცადოთ დავმარცვლოთ სიტყვები „ფაფა“, „ძაფი“, „ფეხი“, „ხიდი“ და ა. შ. მოსწავლეები პირის მოძრაობითა და ჰაერის ნაკადზე დაკვირვებით სწრაფად ხვდებიან მარცვლების რაოდენობას.



მარცვლის სწავლებისას ამ ნახატებიდან უფრო მიზანშეწონილია ნახატი 1, რადგან ისეთი მარცვლების წარმოთქმისას, როგორცაა – „მი“, „დი“, „გი“, „კი“ და ა. შ., ნიკაპი თითქმის უძრავია ან მკვეთრი მოძრაობა არ შეინიშნება, ამიტომ სვეტლანა ოროჩკოს მეთოდში მხოლოდ პირის, კერძოდ – ნიკაპის მოძრაობაზე დაკვირვებით, სრულყოფილ შედეგს ვერ ვაღწევთ, რადგან ზოგიერთი ხმოვანი, შესაბამისად მარცვალ-იც პირის, ყბის შეუმჩნეველი მოძრაობით სრულდება და ეს მოსწავლეს დააბნევს (ნახატი 3). უკეთესია, ხელი ისეთ პოზიციაში დავაჭერინოთ მოსწავლეს, როგორც ეს ნახატ 1-ზეა, რადგან პარალელურად ფილტვებიდან ამოსული ჰაერის მცირე ნაკადსაც ადვილად დააკვირდება და თან დაითვლის.

პრობლემა შეიქმნება მაშინაც, თუ ნახატი 4-ის მიხედვით ვასწავლით მოსწავლეს დამარცვლას, რადგან მხოლოდ ჰაერის ნაკადზე დაკვირვებამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვა-

ნოს იგი. მაგ.: ზოგიერთი თანხმონის თქმისას, ასეთია – ფ, თ, შ, ს, ც და ა. შ., მოსწავლემ შეიძლება ისინი მარცვლად აღიქვას, რადგან ამ ბგერების ცალკე თქმის დროსაც წარმოიქმნება ჰაერის საკმაოდ ძლიერი ნაკადი.

ამიტომ ნახატ 1-ზე მოცემული ხელის პოზიცია ორმაგ დაკვირვებას აკეთებინებს მოსწავლეს და შეცდომა, პრაქტიკულად, გამორიცხებულია.

სწორედ ესაა ამ კვლევაზე მუშაობისას გაკეთებული მცირე აღმოჩენა – მარცვლის სწავლების ახლებური მეთოდი, რომელიც ძალზე საინტერესო და ეფექტური აღმოჩნდა, რაც შემდგომ ტესტირებებში აისახა.

#### **IV აქტივობა**

ამ აქტივობისას კლასს ვამზადებთ მარცვლის რაოდენობის სიმბოლოებით გამოსატვისათვის. ყველა მოსწავლეს ვურიგეთ ფერად სტიკერებს და ვაძლევთ დავალებას: ნახატის ჩვენების შემდეგ აწიონ იმდენი სტიკერი, რამდენი მარცვალაცაა სიტყვაში. შეცდომის შემთხვევაში ინდივიდუალურად ვამარცვლინებთ სიტყვას ახალი მეთოდით. მოსწავლეები აკვირდებიან პირის მოძრაობასა და ჰაერის ნაკადს და სწრაფად ხვდებიან სწორ პასუხს.

ვამატებთ სამმარცვლიან (მარტივ – ლიამარცვლიან სიტყვებს), რომელიც უკვე აღარ უჭირთ, პირიქით, მოსწავლეებს ეტყობათ ხალისი და ენთუზიაზმი.

#### **V აქტივობა**

დაფაზე წინასწარ ვაკრავთ ნახატებს – ერთმარცვლიან

და ორმარცვლიან სიტყვებს. ვაჩვენებთ და ვახსენებთ, რომ სახელმძღვანელოშიც და საშინაო დავალებებში მათ უკვე უნახავთ ასეთი სავარჯიშოები – სიტყვის ქვეშ გამოსახული პატარა მართკუთხედები.

ვახსენებთ, თუ რა არის მართკუთხედი და რომ ის ოთხკუთხედიანია, თუმცა თავისებური ფორმა აქვს. ვაჩვენებთ სადემონსტრაციო გეომეტრიულ ფიგურა – მართკუთხედს. ვადარებთ: – ამ სტიკერსაც მსგავსი ფორმა აქვს. ვაძლევთ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მიანებონ სტიკერები ნახატის ქვეშ. მოსწავლეები ადვილად ასრულებენ ამ სავარჯიშოს.

ამ დროს მოსწავლე მოძრაობს კლასში და მისთვის ესეც აუცილებელია – განიტვირთება ერთ ადგილზე ჯდომისაგან. თან მოძრაობს და თან სწავლობს. (შემეცნებითი და მოძრავი აქტივობა)

#### **დასკვნისათვის**

უნდა აღვნიშნო, რომ მარცვლის სწავლების ამ მეთოდს დიდი ხანია ვიყენებდი ჩემს პრაქტიკაში. რა თქმა უნდა, წლებისა და გამოცდილების მიხედვით მეთოდები თანდათან იხვეწებოდა და მეც ვიზრდებოდი, როგორც მასწავლებელი.

თავდაჯერებულობა, სასკოლო ცხოვრებისაგან დადებითი მოლოდინების ქონა ძალზე მნიშვნელოვანია და ეს სკოლაში მისვლისთანავე უნდა გაუჩნდეს მოსწავლეს. კვლევის წარმატებას მოსწავლეთა საკუთარი შესაძლებლობების – უნარების აღმოჩენაზე უნდა ემოქმედა.

ვფიქრობ, თანამედროვე სწავლების უმნიშვნელოვანესი საკითხი სწორედ ისაა, რომ სწავლება ორიენტირებული იყოს ყველა დონისა და შესაძლებლობების მოსწავლეზე. თითოეული გამოტოვებული დღე, რომელიმე თემის არცოდნა ყოველად დაუშვებელია და ყველა მასწავლებელს შეუძლია ამის თავიდან არიდება დაკვირვებების დღიურის წარმოებით, მრავალფეროვანი მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით, ბევრი ფიქრითა და შრომით.

შესრულებულმა სამუშაოებმა, ინტერვენციებმა, დაკვირვებებმა და ანალიზმა აჩვენა:

- საკუთარ თავზე დაკვირვება, მეტაკოგნიცია, კეთებით სწავლება ძალზე ეფექტურია სწავლების ყველა საფეხურზე.

- კვლევის შედეგებმა და გამოკითხვებმა აჩვენა, რომ წინასაანბანო პერიოდში ამ მეთოდით მარცვლის სწავლება შედეგიანი იყო, რაც მოსწავლეებს საანბანო ეტაპზე მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

- მოხდა მოსწავლეებისთვის გადაცემული ცოდნის კოდირება და შემდგომ ეტაპზე ისინი თავისუფლად შეძლებენ მის დეკოდირებას, ანუ სხვადასხვა ხერხით მარცვლის რაოდენობის წარმოდგენას, თუნდაც, ტაქტის მეთოდით.

- მოსწავლეებს პარალელურად განუვითარდათ რამდენიმე უნარი: საკუთარ თავზე დაკვირვება, სიტყვის შემადგენელი კომპონენტების დანახვა, სხვადასხვა სასწავლო საგანთა შორის კავშირების აღმოჩენა, სიმ-

ბოლოებით აზროვნების უნარის ჩამოყალიბება, კლასიფიცირება და გაჩნდა მზაობა შემდეგ ეტაპზე გადასვლისა.

- კვლევამნათელყო, რომ მოსწავლესა დასასკოლო გარემოს შორის დამოკიდებულება უფრო პოზიტიური გახდა და მრავალფეროვანი სწავლებით, ექსპერიმენტებით, ახალი გზების ძიებით გაიზრდა არა მარტო მათი, არამედ მშობელთა მოლოდინებიც.

- მოსწავლეები თავს გრძნობდნენ თავისუფლად და ამავდროულად – ყურადღების ცენტრში. თითოეული მათგანი გაკვეთილის მთავარი ფიგურა გახდა, რაც გამოიკვეთა მათ განწყობებში.

კვლევაზე მუშაობის დროს მოქმედების სტრატეგიები თანდათან გაუმჯობესდა. ზოგიერთ საკითხში მოხდა გადაფასება და უფრო ეფექტური გზის პოვნა. ეს შეეხებოდა სიტყვაში მარცვლების დათვლისას ხელის პოზიციის მიგნებას – ყბისა და ჰაერის ნაკადზე ერთდროულ დაკვირვებას. მიმაჩნია, რომ ეს ერთგვარი ინოვაცია იყო.

მინდა აღვნიშნო, რომ კვლევაზე მუშაობას ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ახლავს. კერძოდ: დაკვირვებამ და ფიქრმა კიდევ უფრო მეტი პრობლემური საკითხი აღმომაჩინა, ვიდრე ამას ადრე ვხედავდი და რაზეც ყველა მასწავლებელმა უნდა იმუშაოს სწავლების მაღალი შედეგის მისაღწევად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მრავალფეროვანი, ინტერაქციული, კონსტრუქტივის-

ტული მეთოდების ჩართვა სასწავლო პროცესში იწვევს:

- მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელოვან ზრდას;
- საკუთარი თავის შესაძლებლობების რწმენაში განმტკიცებას და თვითშეფასების ამაღლებას;
- ცოდნის მიღების ინტერესის ზრდის დადებით ტენდენციას;
- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მაღალჩართულობას;
- მოსწავლეებში სიახლის მიღების სურვილის ზრდას;
- შინაგანი მოტივაციის გაჩენას.
- ძიების, კვლევისა და დაკვირვების უნარების განვითარებას.

### **რეკომენდაციები:**

- ქართული ენის დანყებით საფეხურზე სწავლების გაუმჯობესების მიზნით – სიტყვის დამარცვლის, ფონემატური სმენისა და სიტყვის არსის გააზრებისათვის მასწავლებელმა ყოველთვის უნდა სცადოს სხვადასხვა მეთოდი და სტრატეგია, რათა კლასში ყოველი მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყოს ცოდნა.
- გათვალისწინებული იყოს ყველას ინდივიდუალური შესა-

ძლებლობა (დიფერენცირებული სწავლება).

- ამ საფეხურზე სწავლება ძირითადად უნდა ხდებოდეს პრინციპით – სწავლა დაკვირვებით, აღმოჩენებითა და კითხვებით.
- სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით.
- აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებაზე. მასწავლებელმა სასწავლო აქტივობები უნდა მიმართოს ბავშვის სხვადასხვა შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენისა და განვითარებისაკენ, რადგან მრავალმხრივი ინტელექტის განვითარების თეორიაზე აგებული გაკვეთილები ორიენტირებულია მოსწავლეზე და შედეგი ყოველთვის მიღწევადი იქნება.
- დანყებით კლასებში სწავლება თამაშის ელემენტებით უნდა მიმდინარეობდეს, რათა მოსწავლემ არ იგრძნოს სირთულე და თავისებური წნეხი, რომელიც თან ახლავს სწავლის რთულ პროცესს.

**მაია ჯოხაძე**

**ქ. გურჯაანის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი**



# სკოლის ექსტრემალურ სიტუაციათა მოგვარების ზოგიერთი საკითხისათვის

21-საუკუნეში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით ადამიანზე უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც დადებითი ისე უარყოფითი გავლენით. საზოგადოება განიცდის ეკონომიკურ და სულიერ კრიზისს, რაც აფერხებს ჰუმანიზმისაკენ სწავლას. დემოკრატია გულისხმობს თითოეული პიროვნების, აღსაზრდელის ღირსებისა და უფლების დაცვას. მდგომარეობა სკოლებში იმდენად დამძიმდა, რომ ზოგჯერ კლასებში ექსტრემალური სიტუაციაც კი შეინიშნება. დროა, დაუყოვნებლივ ვიზრუნოთ სასწავლო საგნების მაქსიმალურ გამოყენებაზე;

განსაკუთრებით კი სამოქალაქო განათლებაზე, საუბრები მორალურ კატეგორიებზე, საქართველოს მომავალზე ფიქრი ხომ ახალგაზრდა თაობის აღზრდით უნდა დავიწყოთ.

თითოეულ მოსწავლეში უმცროსი სასკოლო ასაკიდანვე ჩნდება სხვადასხვა სახის მოთხოვნილება, რომელთაგან ძირითადია ვიტალური, ე.წ. თანდაყოლილი მოთხოვნები. რითაც უნდა შეძლოს საკუთარი თავის დაცვა, მაგრამ არის უფრო მნიშვნელოვანი მორალური საკითხები. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგიური მიდგომებით ბავშვს უყალიბდება ესთეტიკური გრძნობები, ემოციები, ინტელექტი, შემო-

ქმედებითი უნარები, ინტერესი და სხვ. საშუალო ასაკის მოსწავლეებში კი საბოლოოდ ყალიბდება მისი ძირითადი მიდრეკილებები.

შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ 12-ე საუკუნეში აღიარებდა ზნეობრივ უპირველესობას: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, დღეს, სამწუხაროდ, პატიოსნების საპირისპიროდ, უზნეობის არაერთ მაგალითს ვხვდებით. მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ ახარებს თანაკლასელის წარმატება, ამაცობს თანაკლასელის შეურაცხყოფით, სიამოვნებას გვრის კლასში არეულობა. მათთვის ზნეობის ცნებაში აღარ განიხილება გულისხმიერება, თავაზიანობა, თავმდაბლობა, უღალატობა, მეგობრობა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, ჰუმანურობა, რაც ითხოვს მასწავლებლისაგან ოპტიმალური ნაბიჯების გადადგმას.

დღევანდელ სკოლას მოზარდი თაობის ფორმირებისათვის ზნეობრივ აღზრდასთან ერთად მოეთხოვება ისეთი სოციალური გარემოს შექმნა, რომელშიც ფასი ყველაზე მეტად დაედება სიმართლეს, პატიოსნებასა და სიყვარულს.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დროს ექსტრემალურ სიტუაციას ზოგჯერ მასწავლებლის მიერ ადრე დაშვებული შეცდომა განსაზღვრავს. კომ-



ფლიქტური სიტუაცია ისევე როგორც ექსტრემალური, თავისი არსით პრობლემურია. ბოლო წლებში სკოლებში საგრძნობლად იმატა დარღვეულ ქცევის პრევენციაზე დახარჯულმა დრომ.

სასწავლო პროცესის დამრღვევი მოზარდები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სოციალურ ურთიერთობებში ზოგი უფრო კომფლიქტურია, სკოლის ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნილი და ამბიციური. გარკვეული ანომალია შეინიშნება მათ ცალკეულ ქმედებაში (ანადგურებს სკოლის ინვენტარს, არ იცავ შინაგანანესს) ამ კატეგორიის მოზარდებს სჭირდებათ განსაკუთრებული ყურადღება სასურველ პედაგოგიურ გარემოში. ამასთან საჭირო ხდება დიფერენციალური დიაგნოსტიკის საკითხების ზუსტი განსაზღვრა. „ძნელი“ ბავშვები, რომლებიც ქმნიან სკოლაში კომფლიქტურ სიტუაციას, არ ითვალისწინებენ აღმზრდელის შენიშვნებსა და რჩევებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არასწორი პედაგოგიური მიდგომით ანუ სოციალური ზემოქმედების შედეგად, მათ უყალიბდებათ მთელი რიგი უარყოფითი თვისებები. მაშინ, როცა შესაძლებელია მიუღებელი ქცევის გამოსწორება პედაგოგიური კულტურით, განსწავლულობით, გამოცდილებით, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დაწერგვის უნარით.

სკოლებში სულიერი განათლება შესუსტებულია. სისტემატურად არ ტარდება საუბრები დარღვეული ქცევის

პრევენციისათვის, არ იმართება დისკუსიები თუნდაც ისეთ საინტერესო თემებზე, როგორიცაა: „ზნეობის კულტურა“, „მაღალი მორალის ღირსეული პიროვნებები“, „არა ყოველგვარ ძალმომრეობას!“ და სხ. მოსწავლეთა უფლებების გაზრდა მასწავლებელს მეტ სირთულეს უქმნის. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისაგან ხშირად მოისმენთ უსამართლოდ და გაუცნობიერებლად წარმოთქმულ ფრაზებს: „უფლებას ნუ მირღვევთ!“ „როგორც მინდა, ისე მოვიქცევი“, და ა.შ.

ილახება როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის ავტორიტეტი და იზრდება სკოლის ექსტრემალური სიტუაციები, რის გამოც პედაგოგს დიდი სირთულეების გადალახვა სჭირდება. ამ კატეგორიის ბავშვების ქცევის გამოსწორება შესაძლებელია ზუსტი პროგნოზირებისა და დიაგნოსტიკის გზით, რაშიც მასწავლებელს ეხმარება გონივრული გადაწყვეტილების მიღება, ალლოიანობა, პედაგოგიური გამოცდილება, ურთიერთთანამშრომლობის უნარი და მშობლებთან ხშირი კონტაქტი.

აღმზრდელის ავტორიტეტი მოსწავლეს გამოუმუშავებს თვითაღზრდის უნარსა და პასუხისმგებლობის გრძნობას. მნიშვნელოვანია „მანძილის ავტორიტეტის“ გაცნობიერება. ამ ტერმინს აღზრდის თეორიაში „პედაგოგიური მანძილთაც“ იცნობენ და გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელი არ უნდა გაემიჯნოს მოსწავლეს, არ დარჩეს შორიდან მაყურებელი და მიუკარებელი. ერთ-ერთ დიდ სირთულეს წარმოადგენს

სწორედ „გაუცხოების“ პრობლემა. მოზარდი ამ დროს „კონსულტაციისათვის“ არა სასურველ გარემოს ირჩევს, მზრუნველობა მოკლებული მიმართავს „ქუჩას“ და უფრო აგრესიული ხდება. ქმნის მის გარშემო კომფლიქტურ სიტუაციებს, რაც შემდეგ ექსტრემალურში გადაიზრდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა ექსტრემალური სიტუაციის მოგვარებისათვის უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- შეინარჩუნოს სიმშვიდე, ტაქტი, ზომიერება, აღზრდის პოზიტიური შედეგებისათვის.
- მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად მიიღოს სამართლიანი გადანყვეტილება.
- კომფლიქტური სიტუაციები არ გადაზარდოს ექსტრემალურში.
- შეისწავლოს მოსწავლის მიერ დაშვებული დანაშაულის გამომწვევი მიზეზი და იზრუნოს მის გამოსწორებაზე.
- გაუფრთხილდეს მოსწავლის გრძნობა-ემოციებსა და მის ავტორიტეტს.
- შექმნას მოზარდებისათვის სასურველი ჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც დამყარებული იქნება ნდობის ფაქტორზე.
- დანერგოს ახალი პედაგოგიური ინოვაციები, ინტერაქტივები და ტექნოლოგიები.
- აღზრდის ძირითად ამოცანებს ის ცალკეული კომპონონტები განსაზღვრავენ, რომლებიც გარკვეულ წილად იცვლებოდნენ და იცვლებიან ეპოქის შესაბამისად.

• ოჯახსა თუ სკოლებში აღმზრდელობითი საგანმანათლებლო მიზნებმა სხვაგვარი შინაარსი შეიძინა და, ამდენად, მასწავლებელი მთლიანად მოსწავლეზეა კონცენტრირებული.

მხოლოდ პედაგოგიური მიდგომებით მიიღწევა ყველა ლევიანტური მოსწავლის აგრესიული ქცევის პოზიტიური გადანყვეტა. პედაგოგს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მომენტზეა გათვლილი და როგორც დიმიტრი უზნაძე და ზიგმუნდ ფროიდი აღნიშნავენ, „წარმოუდგენელია აღსაზრდელთა სრულფასოვანი შესწავლა პერიოდებად უარყოფის გარეშე“.

და ბოლოს, მთელი სერიოზულობით უნდა დაინერგოს ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირო დისციპლინები როგორცაა: სამოქალაქო განათლება, რელიაგია და კანონიერების კულტურა.

კრიმინოლოგთა სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ ახალგაზრდები ზოგჯერ არ იზიარებენ მორალურ-სამართლებრივ შეხედულებებს და არ აღიარებენ მოსწავლეთა ძირითად უფლებებს, რისთვისაც სკოლამ და ოჯახმა საზოგადოებასთან ერთად უნდა იზრუნოს აღნიშნულის მოსაგვარებლად.

სკოლის ექსტრემალური სიტუაცია დღეისათვის არის ერთერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანისაგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

**ციალა გორღუიანი**  
პროფესორი, პედაგოგიური მეცნიერებათა დოქტორი

# ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის ღანიუწულები უსსსს (გლახის ნაამბობის მიხედვით)

„მე ნიკო კეცხოველი იმიტომ კი არ მიყვარს, რომ მან მცენარეთა ფესვთა სის-  
ტემა მასწავლა, მე იგი იმიტომ მიყვარს,  
რომ მან პირველმა მიმიყვანა წინამურში ობელისკთან და ამიხსნა,  
რატომ ვერ მოკლეს წინამურთან ილია ჭავჭავაძე...  
ამიტომ ვთვლი მე მას ჩემს მასწავლებლად“ (2, 205).

მე-19 საუკუნის II ნახევრის ქართული კულტურის ისტორია არ იცნობს რაიმე თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერულ-ლიტერატურულ, თუ სამეურნეო წამოწყებას, რომლის ინიციატორი, ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ილია ჭავჭავაძე არ ყოფილიყო. ასეთივე ამაგი მიუძღვის ილიას ჩვენი ხალხის განათლებისა და მისი მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლის საქმეშიც.

დიდი ილიას პირადი ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1881 წ. დაარსდა პირველი ქართული სკოლა ბათუმში, რომელსაც შემდეგში ის ი. გოგებაშვილთან ერთად დიდი რუდუნებით ეპყრობოდა.

ილიამ პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიული განათლება შეიძინა და, ბუნებრივია, ის არ ყოფილა პედაგოგიკის სპეციალისტი, მაგრამ მისი პედაგოგიკის საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები და სიტყვები იმდენად ღრმა და საყურადღებოა, რომ დღესაც აქტიურად გამოიყენება კვლევით მუშაობაში ამოსავალ დებულებად.

იქ, სადაც ის ეხებოდა აღზრდის მიზნებს, სკოლის როლს, საზოგადოების ზეგავლენას ბავშვის აღზრდაზე და სხვა სასწავლო-პედაგოგიურ საკითხებს, ყველგან აყენებდა მასწავლებლის საკითხს და აშუქებდა მის როლს ბავშვის აღზრდისა და სწავლა-განათლების სფეროში (1, 124). ილიას პედაგოგიური შეხედულებების კვლევა მხატვრული შემოქმედების მიხედვით ჯერ კიდევ არ ატარებს სისტემატურ, თანმიმდევრულ ხასიათს. სინამდვილეში პედაგოგთა საყურადღებოდ იმდენ საინტერესო პრობლემას აღძრავს ილია თავის მოთხრობებსა და პოეტურ ნაწარმოებებში, რომ მისი სრული შესწავლა პედაგოგიკური აზროვნების განვითარების დიდმნიშვნელოვან წყაროდ გვესახება.

ამჯერად, ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ილიას მოსაზრებებს მასწავლებლის მოღვაწეობაზე მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ მიხედვით. მისი ღრმა რწმენით, მასწავლებლობა მეტად საპატიო და რთული პროფესიაა. „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“ –

ამბობს ილია. ყრმის პირველ შემოქმედად ის გულისხმობს მშობელს, რომელიც აძლევს ყრმას ადრეულ ფიზიკურ აღზრდას. პედაგოგი ანუ მზრდელი ბავშვს აქცევს პიროვნებად და ამიტომ მართლაც, მის მეორე შემოქმედად გვევლინება. ახალგაზრდის აღზრდასა და სწავლა-განათლებაში პედაგოგის როლი მას პირველ და უმთავრესად მიაჩნია. ილია განსაკუთრებით ზრუნავდა სოფლის მასწავლებლებზე, მათ მატერიალურად და უფლებრივად დაცვაზე, სოფლის მასწავლებელს სდევნიდა ყოველი ურიადნიკი, მოხელე და პოლიციელი. ილია წერდა: „კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებლისა, დააკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოველივე დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზედ არ დაადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის განწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული“ (3,234). ამასთან, ილია მკაცრად აკრიტიკებდა უვიც, გულქვა და ბიუროკრატ პედაგოგებს, რომლებიც ბევრნი იყო მისდროინდელ საქართველოში და თავიანთი სუსტი შრომით აკნინებდნენ სახალხო მასწავლებლის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

„გლახის ნაამბობში“ ილიამ დახატა ქეშმარიტი მასწავლებლის სახე. წარმოაჩინა მასწავლებლისათვის აუცილებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

ილიასათვის მასწავლებლობა, უპირველესად, მონოდებაა, ღვთით მონიჭებული უნარია. ბავშვის უსაზღვრო სიყვარულთან ერთად მას ამოდრავებს თანდაყოლილი სურვილი და წყურვილი, სხვას ასწავლოს, გაანათლოს, კაცად აქციოს გასამრჯელოსა და საფასურის გარეშე. რა თქმა უნდა, მასწავლებელიც ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებებით ცხოვრობს. მან თავისი მასწავლებლობით უნდა შეინახოს ოჯახი. მაგრამ ილია გვასწავლის, რომ აქ საჭიროა განისაზღვროს, რა არის პირველი და რა არის მეორე რიგის საზრუნავი. ნორმალურ სახელმწიფოში მასწავლებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არსებობისათვის, მაგრამ თუ ეს პირობები დამაკმაყოფილებლად არ არის მონესრიგებული, მასწავლებელი მაინც არ უნდა შრომობდეს ფულისათვის. ეს მოტივი ასეა გადმოცემული ილიას „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟებს შორის გამართულ დიალოგში: „ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მონადინესა, რომ წიგნი ასწავლოს, ვისაც არ უნდა, იმდენს ეჩიჩინება, იმდენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომებს. მეც ასე მნახა ერთხელ აქ ქუჩაში. დაილოცა ის დღე, ჩემთვის კაი დღე იყო... დამინყო დალოცვილმა ლაპარაკი... ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილი სიტყვით, ისე შემეჩვია, რომ ბოლოს წიგნის სწავლებაც დამინყო. ათიოდე პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში მოგროვილები, იმასთან დადიან და

სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან იმათგან გროში არ იცის. (3, 376) ამას „გლახის ნაამბობის” მოძღვარი აკეთებდა გასამრჯელოს გარეშე. თანაც იცოდა რა, რომ ბავშვებს წიგნები არ ჰქონდა, სახელმძღვანელოებსაც თვითონ აძლევდა.

ილიას აზრით, მასწავლებელი მარტო კარგი სპეციალისტი კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრივად სუფთა, პატიოსანი, კეთილი. ცოცხალი მაგალითი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის: „აი, რა მადლიანი კაცია!.. ნეტა თვითონ ჰქონდეს რამე მაინც! ღვთის განაჩენი არა აბადია-რა, დღე-დღეურად ძლივა სცხოვრობს. ერთხელ გლახუნამ მასწავლებელს ჯამაგირი მიუტანა, მაგრამ მასწავლებელმა არ გამოართვა. ურჩია თავისთვის შეენახა, ან ქუჩის ბოლოს მცხოვრები ღარიბი ოჯახისთვის გადაეცა. ეს მაშინ, როცა თავად არაფრის მქონე იყო მასწავლებელი ოპტიმისტი უნდა იყოს და ყველა პატარაში, როგორი გამოუსწორებელი და უიმედო არ იყოს, მომავალ დიდ ადამიანს უნდა ხედავდეს. „მე თუ კაცი ვარ, ეგ იმისი უნარია, ღმერთმა გადაუხადოს“ – ათქმევინებს გლახუნას ილია მისი მასწავლებლის მისამართით. მასწავლებელს სხვისი ტკივილი უნდა ტკიოდეს. „გლახის ნაამბობის” გმირი ცდილობდა ყველა გაჭირვებულს დახმარებოდა. ერთხელაც მდინარეში ჩავარდნილი გადაარჩინა და ამის გამო თავად გარკვეული ხნის განმავლობაში საწოლს იყო მიჯაჭვული. „ირჩობოდა ჩვენისთანა ადამიანი

და არავინა შველის? შემდეგ სწრაფად გადისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში (3, 398). „ხომ უნდა მოვკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და კაცის სამსახურში ამომივიდეს სული!.. აქ სახელი მაინც დამრჩება და იქ სიკეთე წამოძლვება. „სახელის მოხვეჭა კიდევ, ცხონებაა სულისა, სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს. (3, 401)“. ასე ხსნის თავის ქცევას მასწავლებელი. ერთი მომაკვდავის მეუღლეს ასე თანაუგრძნობს მოძღვარი: „რა ვქნა, დედი! ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევიებო.“ (3, 391). ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გაარღვევს და აბრეშუმის ხელსახოცივით ლბილად მოსწმენდს თვალიდან ცრემლსა, – ამბობს მოთხრობის პერსონაჟი – გაბრიელი თავის მასწავლებლის შესახებ.

ილია ჭაჭაჭავაძე მასწავლებელს საზოგადო მოღვაწის ღირსებებით ხატავს. მასწავლებელი პასუხისმგებელია სამშობლოს წინაშე: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკლავები მაშინ არა სჩანან...“ (402).

მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის ცოცხალი მეტყველების მაღალ კულტურას. მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს საინტერესო თხრობის უნარი, მისანვდომად უნდა უხსნიდეს

და ხატოვნად გადასცემდეს სასწავლო მასალას. მოსწავლეებში უნდა განავითაროს გაგების უნარი, შესძლოს მოსწავლეებში ცოდნისადმი, სწავლისადმი ინტერესის აღძვრა. ასეთია „გლახის ნაამბობის“ გმირი – მოძღვარიც. „ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო, ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაეხუმრებოდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა. ...ზოგი სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდან ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდან არ წამივიდესო... სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება... თვითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდაო“ – ამბობს გაბრიელი.

იყოს კარგი მასწავლებელი – არ ნიშნავს ესმოდეს, ასწავლიდეს და უყვარდეს მხოლოდ მოსწავლეები, მას აუცილებლად უნდა შეეძლოს მშობლებთან, კოლეგებთან, საზოგადოებრიობასთან საჭირო კონტაქტის დამყარება, განვითარებული ჰქონდეს კომუნიკაციური უნარი. ამის შესანიშნავი მაგალითია მოძღვრის საუბარი მოსწავლის მამასთან, მოხუც პეტრესთან. მასწავლებელი მოთმინებით, თანმიმდევრულად, მჭევრმეტყველებით არწმუნებს მოხუც პეტრეს, რომ წიგნი მიზანია, რომ წიგნი მთელი ქვეყნის ოსტატობაა, ჭკვიანი კაცების ნაცადი ცოდნაა, რომელიც საჭიროების შემთხ-

ვევაში სულ თანა აქვს ადამიანს. „მისი მონათხრობის შემდეგ თავიდან ფეხებამდინ ჟრჟოლამ გამიარა. არ ვიცი კი რად. ეს კი ვიცი, რომ ჩემ-გარდა სხვასაც ეგ დაემართა. ხალხს თითქოს მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა“. სახტად თვალედაჭყეტილი პეტრე ასე მიმართავს მასწავლებელს: „დაილოცა შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მალედიან გიყურებს, შე ღვთისგან კურთხეულ ადამიანო, რომ მე სულის ნაწყმედისაგან დამიხსენ. ნელან გელაპარაკებოდი ბრმად, შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა, შენის მადლიანის ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამლუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწურთვინელად და არ გააწურთვინებს, ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!...“ (3, 383).

ილიას შეხედულებით, მასწავლებელს აკისრია არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქცია. სადაც კი გამოჩნდებოდა მასწავლებელი, მის მიმართ დიდი ყურადღებით, ნდომითა და პატივისცემით იმსჯვლებოდნენ ადამიანები. ამას მწერალი ხსნის იმით, რომ მოძღვარი და მასწავლებელი, პირველ რიგში, ზნეობრივი გმირი უნდა იყოს ხალხისათვის. „ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! დედამინის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა“ – ამბობს გაბრიელი.

ილია ჭავჭავაძე ჩვენს ყურადღებას მიაქცევს მოსწავლისადმი მასწავლებლის ადამიანური დამოკიდებულების საკითხს. „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი თავისი მოსწავლისათვის უფრო მეგობარი და კეთილი მრჩეველი იყო, ვიდრე აღმზრდელი-მზრდნებელი, როგორც ეს ყოველთვის ბატონობდა ავტორიტარულ პედაგოგიკაში. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, მასწავლებელი ჰუმანური უნდა იყოს და არა ავტორიტარული. გაბრიელს, როგორც თანატოლს, ისე ექცეოდა. მამა-შვილს არ მოექცევა, როგორც მასწავლებელი ექცეოდა გაბრიელს. „ცალი არ ჰყავდა ქვეყანაზედა. მე მალე მიმახვედრა წიგნმა. სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზებირე დღევანდლამდინ მახსოვან“ (3, 391). მადლობის გამოსახატავად არც გაბრიელს და არც პეტრეს მუხლზე მთხვევა მასწავლებელმა არ დაანება, რამაც გააოცა გაბრიელი. „ამან ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც როცა კი ბატონი მოინადინებს, ქოფაკს ძალზედაც გაცვლის. მოდი და ნუ მოიდრეკ იმის წინ მუხლსა“.

მოძღვარი ასე მიმართავს თავის შეგირდს: „შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული. რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც“. გლახუნას, როგორც ტოლს, ისე გადახვევს ხელს და ეუბნება, რომ ისინი ერთ დროს ხომ მეგობრები იყვნენ. ყოველთვის

ცდილობს პასუხისმგებლობის გრძნობა გააღვიძოს და აღზარდოს მოზარდებში. „რასაც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნნი.... არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება“.(3, 384)

ილია თვლის, რომ მასწავლებელს, ყველა სხვა თვისებასთან ერთად, უნდა ამშვენებდეს კარგი გარეგნობაც. მისი მოთხრობის გმირი ხატივით დამშვენებული პიროვნებაა გარეგნულადაც. მასწავლებლის ფიზიკური სიჯანსაღისა და სრულქმნილობის პრობლემას ქართულ პედაგოგიკაში პირველად სულხან-საბა ორბელიანმა მიაქცია ყურადღება და ჯუმბერის აღმზრდელი ლეონი ასე წარმოსახა თავის თხზულებაში „სიბრძნე-სიცრუისა“: „ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმწყაზარი, ტანსართი, ახლად სუმბული ამოსვლოდა და მცირედ ჭუფრი მოჰფენოდა საყვარლად სახილველი“. ილია იცავს და შემოქმედებითად ანვითარებს ამ მოტივს თავის მოთხრობაში: – „ხატებს რომ ჰხატავენ, ის იყო! მადლით, იყვნენ სავსენი იმის ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ისე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა. წარმოსადეგი კაცი იყო, გამხდარი სახე, ცოტა ფერმკრთალი ჰქონ-

და, ნალველს ცოტა ოდნავ ხელი გაეკრა, როგორც ემჩნევა ხოლმე მუდამ ზრუნვას ნაჩვენესა და სხვის გულის შემატკივარსა. შავი წვერი ჯერ არ წამოზრდოდა, ისე ახალგაზრდულად მეჩვენა. თავიდან ფეხებამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ როგორც მზეუჭვრიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისაკენ მოიბრუნებდა“. (3, 385)

მასწავლებელი მოსწავლეებს სწავლის შესაფერისს გარემოს უნდა უქმნიდეს. მოძღვარი ცდილობს სახელმძღვანელობითაც უზრუნველყოს თავისი მოსწავლეები, ამიტომ ეუბნება გაბრიელს, რომ მან არც წიგნზე და არც სწავლის საფასურზე იფიქროს, მთავარია სწავლის სურვილი. რადგან ჭეშმარიტი მასწავლებლისათვის გაბრიელის მსგავსი შეგირდი ოსტატის სიხარულია. ასეთი მოსწავლისათვის ჯილდოდ „ვეფხისტყაოსანიც“ არ ენანება.

ჭეშმარიტი მასწავლებელი შეგირდისათვის ღმერთის ტოლფასია – „ჩემი ღმერთი შენა ხარ“. „მგონია ციდამ იყო ჩამოსული, რომ კაცის ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა“ (3, 387).

მასწავლებელი სისადავით და უბრალოებით უნდა გამოირჩეოდეს. გაბრიელის შექება – შენისთანა კაცს რა დაღვეს ქვეყანაზედ ქვრივ-ობრის და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ იმას ცრემლი მოსწმინდაო – თითქოს არც კი გაუგონია მოძღვარს. „ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის-თავის დან-

ახვა ეთაკილება, ეზარება. რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ“ – ამბობს გაბრიელი.

კლასიკური ტრადიციებით, სკოლა სიხარულის სახლად იყო მიჩნეული. ასე უწოდებდნენ იტალიელი ვიტორინო და ფელტრეს სკოლას თანამედროვენი. მოსწავლისათვის სკოლას სიხარულის სახლად მასწავლებელი აქცევს. მასწავლებელი მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების მთავარი გარანტია. ეს პიროვნება უნდა იყოს ფართო განათლებით აღჭურვილი. ის უნდა ფლობდეს როგორც საერო, ისე სასულიერო ცოდნას. ამიტომ, ილიას აზრით, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საერო და სასულიერო განათლება. ის უნდა ზრუნავდეს მოსწავლის გონებრივ, სულიერ, ფიზიკურ აღზრდაზე და ამასთან მოამზადოს ახალგაზრდა იმპერეციური ცხოვრებისათვის. “იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი (392).

მასწავლებელი ილიას აზრით, ყოველთვის უნდა გრძნობდეს დროის მოთხოვნას, იყოს თანამედროვე. სკოლის ამჟამინდელი შინაარსეული რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი უნარჩვევათა განვითარებაზე აგებული აქტიური სწავლებაა. ამის შესახებ საინტერესოდ მსჯელობდა ილია, თუმცა მაშინ ჯერ არ არსებობდა თვით ტერმინები „აქტიური სწავლება“ და „უნარ-ჩვევა“ (4, 10). აქტიური სწავლების ამოსავალი პრინციპია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურ



რად გათვალისწინება. ცნობილია, რომ ნიჭიერება, მეხსიერება, აზროვნება ბავშვის ინდივიდუალური ხასიათის უნარებია. ყველა ბავშვი ერთნაირად არ არის ამ უნარებით დაჯილდოებული. ეს იცის ილიამ და მასწავლებლისაგანაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობას მოითხოვს. კერძოდ, მოთხოვნი მისხედვით, მასწავლებელმა – მოძღვარმა როგორც კი შენიშნა, რომ გაბრიელი ნიჭიერი, ბეჯითი და გამორჩეული მოსწავლე იყო, გაკვეთილები ცალკე დაუნიშნა. „შენ, ჩემო გაბრიელ, შავარდენი ყოფილხარ. მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ: სხვა შეგირდები ტაატიტ მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მივუჯდეთ ნიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ“. (3, 390).

ილიას პედაგოგიურ შეხედულებებში ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი დაინტერესება სწავლების მისაწვდომობის პრინციპით. სასწავლო მასალა მოსწავლისათვის აუცილებლად უნდა იყოს მისაწვდომი მთლიანად. „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება თავიდან არ დაუწყია. გაბრიელს გადააშლევინა თავი „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“. გაკვირვებული მოსწავლის კითხვაზე – რატომ თავიდან არ ვინყებთ სწავლასო, მასწავლებელი ასე პასუხობს – ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა, პირველი თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც ასე სჯობია;

თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვას“ (3, 392). ილიას აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაანახოს მთავარი, მნიშვნელოვანი, და ინტერესი გაუღვიძოს, ჩამოუყალიბოს მოსწავლეს დამოუკიდებელი მუშაობის უნარჩვევები, ასწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენება. მასწავლებელი გაბრიელს ასწავლის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, „გული მივცეთ გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად’ და სხვა, ცხოვრებაში რეალურად განხორციელების გზებს და ამით შესანიშნავად ახორციელებს სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპს.

მასწავლებელი, ილიას მიხედვით, განმანათლებელიც უნდა იყოს. განმანათლებელი მასწავლებელი მოსწავლეს არა მხოლოდ ცოდნას გადასცემს, არამედ შექმნილი ცოდნის სახალხოდ გამოყენებასაც უნდა ასწავლიდეს. ამიტომ „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი ასე შთააგონებს თავის შეგირდებს ცოდნა-განათლების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. შენ რომ ნიგნს ისწავლი, შენც მონახე შენისთნა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგით მოიშორებ, ვითომ იმისთვისაც მე მისწავლებელია და მე მიქნია სიკეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოვახსენებო შენი-

სთანა კაი კაცსა... შეგირდი შენ რომ დაგლოცავს, მეც მომიგონებს: „ღმერთმა აცხონოს შენი მასწავლებელიო“. ეს ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამდინ აქედამვე გზას გამინათებს... ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება-გზას გაგინათლებს, გულს-გაგითბობს, ღმერთი ძლიერია“. მასწავლებელმა ყველას გულში ღვთისგან ანთებული ცეცხლი არ უნდა გააქროს... „ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაც ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს.. რაც შეგვიძლია, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს“ და – ანდერძით დაუბარა ყველა მასწავლებელს. ჩვენ კი, უნდა ვეცადოთ, შევასრულოთ მისი ანდერძი.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ილიას შეხედულებებმა მასწავლებლის შესახებ თავისებური განვითარება ჰპოვა XX საუკუნის ქართულ მწერალთა შეხედულებებში. ამის ნათელ მაგალითად გვესახება მწერალ

ნოდარ დუმბაძის გამოსვლა მასწავლებელთა V ყრილობაზე.

ნოდარ დუმბაძე ამბობდა, რომ იყო კარგი მასწავლებელი, ჭეშმარიტი მოძღვარი ნიშნავს: „მასწავლებელს უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები, უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის; ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეაყაროს, როგორც სენი უკურნებელი, იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა-მადლის ანუ სამართლის გარჩევისა და მოთმინების დიდი უნარი, იყო მოსწავლის მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. სხვანაირად, ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო“ (2, 204). როცა ამ მოსაზრებებს ვეცნობით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რატომ ვერ მოკლეს ილია საქართველოს მტრებმა და რომ არ ძველდება ბრძენკაცთა ნააზრევი.

**ლელა თავდგირიძე**

**პროფესორი,**

**ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი**



# იაკობ გოგებაშვილის შეხედულება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ამოცანებსა და დანიშნულებაზე

ვიდრე ი. გოგებაშვილის შეხედულებებზე დავინწყებდეთ მსჯელობას, მოკლედ შევეხებით იმ ეპოქას, რომელ დროსაც მოუხდა იაკობს აქტიური მოღვაწეობა.

ქართველ ერს თავისი არსებობის ისტორიის მთელ გზაზე არ მოჰკვლია ჭირი და უბედურება. უამრავი მტერი ეხვეოდა მუდმივად ამ ერთ მუჭა ხალხს, ამ პატარა ქვეყანას და ყველა მის შთანთქმავანადგურებას ცდილობდა. XIX ს-ის დასაწყისს ახალი უბედურება დაატყდა ჩვენს ერს და სამშობლოს. რუსეთმა პრაქტიკულად განახორციელა საქართველოს ანექსია, ამასთან ისე მზაკვრულად, რომ მას არ დაუტოვა არავითარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა უფლებები. ეს უძველესი გმირი და მებრძოლი ხალხი უცებ მოდუნდა, ინდიფერენტული გახდა და დანებდა უცხოტომელს. ყველაფერი უკუღმართად წავიდა. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ერმა დიდი უბედურების დასაწყისად არ მიიჩნია. რუსეთის იმპერიის მიერ მოტანილმა მშვიდობამ ფიზიკური განადგურებისაგან კი იხსნა ხალხი, მაგრამ მისივე ხელით დაიწყო მიზანმიმართული სულიერი გახრწნის პროცესი ერისა. პოლიტიკურად უფლებებაყრილ ქვეყანას, ძალით ართმევდნენ ეკლესიას ავტოკეფალიას, კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად ზემოდან ინიშნება ეგზარხოზი, ისიც რუსი, რომელსაც არაფერი გაეგება ქართული ენის, რომელიც თავისი სიტყვით ვერ მივა მრევლთან, ვერ აღამაღლებს მის სულს, ვერ გაუსპეტაკებს ზნეობას და ვერ ეტყვის სანუგეშო, გამამხნეველ სიტყვას. ეს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მუხტის მქონე პოლუსები ვერასდროს დაემთხვეოდა ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს აერთიანებდა ერთი და იგივე სარწმუნოება-ორთოდოქსული, მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

„შეუჩვეველი ჭირი“, რუსეთის იმპერიულ-შოვინისტური პოლიტიკა ძალზე მძიმე ტვირთად დაანვა ხალხთა ამ საპყრობილეში ძალით დამორჩილებულ ყველა ხალხს და განსაკუთრებით ქართველებს.

ახალი დროის მიერ მოტანილ უბედურებებს ხმლითა და თოფ-იარაღით ვერ შევებრძოლებით, რადგან მახვილი ვერასდროს ვერ იხსნის სულსა და ზნეობას. ხსნა ზნეობრივი გმირის მოვლენაში ეგულებოდა ქართველ ხალხს, ერსა თუ ბერს. სწორედ ასეთი გმირები გამოჩნდნენ XIX ს-ის 60-იან წლებში: ი.ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი...

იაკობ გოგებაშვილის, ქართული პედაგოგიკის მამის, გონების განსჯის, რკვევისა და ღრმა ანალიზის საგანი ძალზე ფართოა, ის მოიცავს: კაცობრიობის განვითარების ისტორიის, ერის, ეროვნების,

ხალხის, სარწმუნოებისა და სამღვდლოების საკითხებს. (საქართველოს, ქართველების, ლიტერატურის, ფოლკლორის, ზნეობის, რწმენის, ეთიკის და ა. შ.) რომ აღარაფერი ვთქვათ მისი შეხედულებებზე: პედაგოგიკის, ბავშვთა აღზრდის, აზროვნების, მეტყველების, მსჯელობის, მასწავლებლის დანიშნულების, მშობლიური ენისა და უამრავ სხვა თემაზე.

ვეცნობით დიდი წინაპრის შემოქმედებას და გვანცვიფრებს მისი უდიდესი განსწავლულობა, ერუდიცია, პრობლემათა წარმოსახვის სიღრმე, მსჯელობის უტყუარობა და სისადავე, დიდი ცოდნის საქმედ გარდასახვის უნარი და მრავალი სხვა, რომელიც მიუწვდომელია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის და ხვედრია მხოლოდ რჩეულთა.

ვფიქრობ დიდ იაკობზე და უნებლიედ მახსენდება ერთი ამბავი. მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ეროვნულ გმირს, მწერალს, გამომგონებელს... სენტ ეკზიუპერს ერთმა, მისი მრავალმხრივი ნიჭით აღფრთოვანებულმა თაყვანისმცემელმა ჰკითხა: ო „სენტ, საიდან ხარ ასეთი?“ პასუხი იყო: „ჩემი ბავშვობიდან.“ დიას, დიდი იაკობიც თავისი ბავშვობიდანაა წამოსული. იაკობი დიდ ნიჭთან ერთად დაჯილდოებული იყო უდიდესი შრომისმოყვარეობით, და სიბეჯითით. ამ თვისებათა შერწყმამ აქცია იაკობი ერის სათაყვანებელ პიროვნებად. ნიჭი კი მას ზენაარსისგან ჰქონდა მომადლებული.

იაკობი მორწმუნეთა ოჯახში აღიზარდა. მამამისი – სიმონი მღვდელი იყო. დედა – მარიამ/მაგდანა/ კალმახელიძე ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი. შვიდი წლის იაკობმა ზეპირად იცოდა ქვეყნის გაჩენის ამბავი, ბიბლიური იგავ-თქმები, ახალი აღთქმა, ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. რვა წლისა, მამამ გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის სრულ კურსს ამთავრებს **1861წ.** იგი, როგორც სწავლაში დიდი წარმატებისა და სამაგალითო ყოფაცქვევის ახალგაზრდა, მივლინებული იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად. მალე იგი აკადემიის პირველ მონაფედ იქცა. ის დადიოდა უნივერსიტეტშიც. ისმენდა მისთვის საინტერესო ლექციებს. მისი ყურადღება მთლიანად მიიპყრო ღვთისმეტყველებისა და ბუნებისმეტყველების მსოფლმხედველობებზე. იაკობის წყურვილს განათლების გაღრმავებისა ფრთები შეაკვეცა იმდროისათვის საშინელმა სენმა – **ჭლექმა. 1863წ.** მესამე კურსიდან გამოვიდა და დაბრუნდა საქართველოში. ამ დღიდან იწყება დაუცხრომელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

გოგებაშვილი ყველაზე დიდ მეცნიერებად ღვთისმეტყველებას მიიჩნევდა: **1/არაბული ი. გოგებაშვილის სახსოვრად./** მან ზედმიწევნით შეისწავლა ღვთისმეტყველება, თეოლოგია. თავისი აზრების ბალავრად ის ყოველთვის ამ მეცნიერებებს აყენებდა. ასეთნაირად აღზრდილმა ადამიანმა, ბუნებრივია, ზედმიწევნით იცის ქართული ეკლესიის ისტორია. იაკობმა კარგად იცის, რომ ქრისტეს სიტყვა ქართველებს პირველი საუკუნის დასაწყისშივე ახარა მოციქულმა

ანდრია პირველწოდებულმა და მან დაარსა ქართული ეკლესია. მას მოჰყვნენ მოციქულები: სვიმონ კანანელი, ბერთლომე და მატათია. სწორედ ამის გამო იწოდება ჩვენი ეკლესია სამოციქულო ეკლესიად.

მათ მოჰყვა ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით. სწორედ ღვთისმშობელმა გადასცა მას ჯვარი ვაზისა. **326წ.** მართლმადიდებლური ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და დღემდე მოიტანა ქართველმა ერმა ოროდოქსული, პირველყოფილი ჭეშმარიტი სახით.

ისტორიული რეგალიების ღრმა ანალიზით იაკობი მიიჩნევს, რომ ქართულმა ეკლესიამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე განვლო სამი მთავარი პერიოდი: ანტიოქიური, ნაციონალური და რუსული.

ვახტანგ გორგასლის დროს ქართული ეკლესია იღებს ავტონომიას, მისი ეპისკოპოსი კი კათოლიკობას, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია, რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება – თვითონ შეერჩია და დაენიშნა კათოლიკოსი. **VI** საუკუნეში მეფე ადარნასეს დროს ქართულმა ეკლესიამ შესძლო მოეპოვებინა უფლება, რომ სათავეში ჰყოლოდა არჩეული კათალიკოსი, ნამდვილი ქართველი.

ნაციონალურ-არჩევითი პერიოდიც იყოფა ორ ქვეპერიოდად: ავტონომიური ანუ კათოლიკური პერიოდი და ავტოკეფალური ანუ პატრიარქის პერიოდი. პირველ პერიოდში ეკლესიას უფლება არ ჰქონდა თვითონ მოემზადებინა მირონი, ვალდებული იყო მიეღო იგი ანტიოქიიდან, რისთვისაც საკმაო თანხა იხარჯებოდა ყოველწლიურად.

**VII** საუკუნიდან წყდება ნორმალური დამოკიდებულება ქართული ეკლესიისა ანტიოქიაზე და ავტონომიურად კათოლიკოსი ხდება თვითმეთაური, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელი ავტოკეფალიური პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სამღვდელოება ერისკაცებთან ერთად. პატრიარქის რეზიდენცია ხდება მცხეთა, რის გამოც იგი ატარებს ტიტულს მცხეთის პატრიარქისა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დადასტურებული იქნა ჯერ ადგილობრივი ანტიოქიით, მერე მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ. ქართული ეკლესიის ერთმმართველობა შეწყდა **XV** საუკუნეში, როცა საქართველო დაიშალა ცალკე სამეფოებად და სამთავროებად. იმერეთის მიტროპოლიტი ავტონომიური მეთვალყურედან გადაიქცა ავტოკეფალურ მეთაურად და მრევლის სრულიად დამოუკიდებელ მმართველად, მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდეგ. **1875 წ.** დასავლეთ საქართველოს ეკლესია კვლავ ექვემდებარება აღმოსავლეთ საქართველოსა და კვლავ მკვიდრდება ერთმმართველობა ეკლესიაში.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ღვაწლს, რომლის დიდი ძალისხმევითაც **488 წელს** საქართველოს ეკლესიას მიენიჭა ავტოკეფალია, **549 წლი-**

დან საქართველოს კათოლიკოსებად ინიშნებოდნენ ქართველები და აღარ მოჰყავდათ ანტიოქიის მღვდელმთავრის ხელდასხმული ბერძენი კონსტანტინეპოლიდან. დღესაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე დიდი მეფის ანდერძი-ვედრება:“ გამცნობთ თქვენ ქართველებს, რაითა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ“...1

არაერთჯერ შეხებია იაკობი 13 კაბადოკიელი წმიდა მამის შემოსვლას საქართველოში, მათ დიდ ღვაწლზე ქრისტიანობის განმტკიცების საქმისათვის. დიდი მოწინებით იხსენებს ი. გოგებაშვილი ჩვენს უდიდეს წმიდა მამებს იოანე და ექვთიმე ათონელებს, პეტრე იბერს, იოანე პეტრინს, მრავალ სხვათა მოღვაწეობას ქართულ სავანეებში. მან ზედმინევნით იცის ქართული ეკლესიის ისტორია, ბიბლია, ახალი აღთქმა, იუდაიზმი, ისლამი და სხვა სარწმუნოებები.

მისი უნთავრესი ყურადღება კი მიქცეული იყო ქართული ეკლესიის ბედისკენ, მისი მიზნებისა და ამოცანებისაკენ. იაკობი გვასწავლის, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, იდგა ქვეყნისა და ერის სამსახურში.

იაკობს ეროვნულ ტრაგედიად მიაჩნდა ივერიის უძველესი /რუსულ ეკლესიაზე 5 საუკუნით და უფრო ადრე დაფუძნებული/ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 1811წ. ამით სინოდმა მოუსპო ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა, იგი დაუმორჩილდა რუსეთის იმპერიის დიდმპყრობელურ ინტერესებს და კოლონიურ პოლიტიკას, თუ პარალელს გავავლებთ ამ მკრეხელურ აქტის განხორციელებასა და დღევანდელ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, საოცარ დამთხვევას დავინახავთ, ამის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ გასულ წელს რუსეთის პატრიარქმა ალექსი II, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II მიმართა თხოვნით, რათა რუსეთის მიერ ანექსირებულ უძველეს ქართულ მინა-წყალზე – აფხაზეთში, წირვა-ლოცვა ეკლესიებში რუსულ ენაზე აღსრულებულიყო. აი, კიდევ ერთი მაგალითი, თუ რა გააფთრებით იბრძვის დიდმპყრობელური სენით უკურნებელი ერი, მისი მთავრობა და თვით რუსული ეკლესია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

იაკობი გვაჩვენებს საშინელ სურათს ქართული ეკლესიების გაუგონარი ძარცვისა და იავარყოფისა. ქართული ეკლესიის მოქმედი 26 ეპარქიიდან /15-ქართლში, კახეთში და სამცხეში, 7-იმერეთში, 2-სამეგრელოში./ გააუქმეს 21 /დატოვეს 2 ქართლში, 1 იმერეთში, 1 გურიასა და 1 აფხაზეთში. სულ 5/. 1818წ. რუსეთის სინოდმა გააუქმა საქართველოს საპატრიარქო და კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად ეკლესიის მმართველად დაადგინა ეგზარხოსი. 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის მოთხოვნის მიუხედავად, რომ ივერიის კათოლიკოსი უნდა ყოფილიყო რუსეთის სინოდის წევრი, ამის შემდგომ დაიწყო სერიები უბედურებათა ჯაჭვისა. ყველა საეკლესიო კანონები და დადგენილებები ქართული ეკლესიისა, ზოგი დაწვეს, ზოგი მტკვარში გადაყარეს, დანარჩენი კი პეტერბურგში წაიღეს.

სახელმწიფო ხაზინამ ქართულ ეკლესიას ჩამოართვა: 11 სახლი, 28 სავაჭრო, 13 ბალი, ქარვასლა, 9 სამღებრო, 2 საგაფე, 11 საკირე,

აგურის ქარხანა, 3 თევზის დუქანი, სათევზაო ადგილი, 437719 სა-  
ჟენი 282600 დესეტინა მინა, სულ, მიახლოებით, 248 მილიონისა ვერ-  
ცხლით.

რუსეთის მიერ მოვლინებული ეგზარხოსები, ეს უვიცი, გაუნათ-  
ლებელი და ბოროტი ვნებებით აღვსილი სატანის მსახურნი, გაუგონ-  
რად ძარცვავენ ქართულ ეკლესიებს.

გარყვნილმა, ავხორცმა, ლოთმა ეგზარხოსმა, /თუმცა ამ სენით  
ყველა მათგანი იყო დაავადებული, როგორც მთელი ერი/, ევსევი  
ილინსკიმ გაყიდა ყოველი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს  
მთელი განძეულობა, შესამოსლები, ხატები, ძვირფასეულობა, ხელი  
შეუწყო გელათის მდიდარ საეკლესიო სალაროს გაფლანგვას,  
გელათიდან გაიტაცა მაცხოვრის ხატის ოქროს მოჭედილობა, მთე-  
ლი მსოფლიოს მეცნიერებისათვის ცნობილი თავისი საუცხოო ტიხ-  
რული მინანქრით, დაიტაცა 2 მილიონი მანეთი.

ეგზარხოსმა ფოფილაქტემ არ იკმარა ჩვენი ბევრი წმინდა მამების  
საფლავების შერყვნა და ხელი შეახო თვით წმიდა ნინოს საფლავსაც.  
გარყვნილს, ზედ, წმიდა ნინოს საფლავზე დამბლა დაეცა და ჭიებმა  
შეჭამეს.

ეგზარხოსმა ისიდორემ მიიტაცა ქართული ეკლესიის კუთვნილი  
მინები, ევსევმა 200 000 მან. ნაძარცვი დაიტოვა.

პავლემ, – ამ ეშმაკის მოციქულმა, – კვერთხშემართულმა დას-  
წყველა ივერიის ეკლესია და თვითონ, ხალხისაგან შეჩვენებული,  
საქართველოდან გაიქცა<sup>1</sup>. ყოველივე ამის გამო და მრავალი სხვა  
ბოროტებისათვის აღიმაღლა ხმა დიდმა იაკობმა და დაუნდობლად  
ამხილა რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელური ვერაგული პოლი-  
ტიკა, რომლის განხორციელებაც ხდებოდა „წმიდა სინოდის დასტუ-  
რითა და დახმარებით“.

გოგებაშვილის შეხედულებით მართლმადიდებლობის არსი, მიზა-  
ნი და ამოცანა ერში ზნეობის დამკვიდრებაა. ქრისტეს ამ მოძღვრე-  
ბის გარეშე შეუძლებელია ადამიანის სულიერი აღზრდა, მორალურ-  
ეთიკური ნორმების დაცვა და საუკუნო, მარადიული სიცოცხლის  
დამკვიდრება. იაკობი ხედავს, როგორ ცდილობს რუსული ეკლე-  
სია დათრგუნოს ქართველი ერი, აბუჩად აიგდოს მისი ეროვნული  
სინმინდეები, წაართვას და გადაუგვაროს ზნეობა, რის ძალითაც  
განხორციელდება დამპყრობელი ერის კოლონიური ინტერესები.  
სინოდი თვითონ იქცა რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის გამტა-  
რებლად.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის ეკლესია აქტიურად  
მონაწილეობდა (და დღესაც აგრძელებს) ქართველთა უფლებების  
დათრგუნვას, ელემენტარული ზნეობრივი ნორმების უგულვებელყო-  
ფას.

გოგებაშვილი აღშფოთებულია იმით, რომ 1885წ. რუსეთის სინოდ-  
მა მთავრობის მითითებით აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოყო. აი ამ  
თარიღიდან იწყება ქართველებსა და აფხაზებს შორის გაღვივების

შორს გამიზნული ბოროტი ზრახვები. ეს პროცესი ამ დღიდან მოყოლებული ერთი წამითაც არ შეჩერებულა და პიკს მიაღწია კომუნისტური მმართველობის პერიოდში, როდესაც მთელი ინსტიტუტები მუშაობდნენ აფხაზთა ფსიქოლოგიის შეცვლაზე, ქართველები-სადმი სიძულვილის ჩანერგვაზე, დამპყრობლებად გამოცხადებაზე, აფხაზთა უდიდეს მტრად მონათვლაზე და სხვა.

რუსეთის შოვინისტურ-იმპერიულმა პოლიტიკამ და წმიდა სინოდის ძალადობამ ალაშფოთა დიდი რუსი თავადი და სწავლული ნ. დურნოვო. იგი წერს: „სოხუმის საეპისკოპოსო დაუმორჩილოს ამიერკავკასიის რუს მიტროპოლიტს და გამოჰყო, იგი ქართული საკათალიკოსოდან, არაკანონიკური და ისტორიის საწინააღმდეგო ქმედებაა. ქართველები არასოდეს დასთმობენ ბაგრატიოვანთა აფხაზეთს და არც აფხაზეთ-იმერეთის ეპისკოპოსების ტახტს ბიჭვინთაში და არც აქვთ ამის უფლება. არ შეიძლება ისტორიიდან ამოიგლიჯოს ის, რომ ბიჭვინთა დასახელებული ეპისკოპოსების კათედრა და ბაგრატიოვან მეფეების სატახტო იყო“.

დიახ, გავიგოთ, ქართველებო, რომ არ შეიძლება სამართლიანობის ისტორიიდან ამოგლეჯა და, რაც მთავარია, არასოდეს დავთმოთ ბაგრატიოვანთა აფხაზეთი და აფხაზეთ-იმერეთის ეპისკოპოსების ტახტი ბიჭვინთაში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში ქართულმა მართმადიდებელმა ეკლესიამ მოითხოვა დასახელებული საეპისკოპოსოების აღდგენა, რასაც მხარი დაუჭირა აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ და პარლამენტს წარუდგინა წინადადება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

ავტოკეფალიის დაკარგვით ქართველმა ხალხმა დაკარგა სულიერი და ზნეობრივი ამაღლების დედაბოძი, იდეოლოგიური საყრდენი. ი. გოგებაშვილი, როგორც ერის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი მესაჭე და მოძღვარი, ააშკარავებს და სამზეოზე გამოჰყავს ის სულმდაბალი, მერკანტილური ინტერესებით შეპყრობილი თანამემამულენიც, რომლებიც თავიანთი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით არად დაგიდევდნენ ერისა და ეკლესიის ინტერესებს. ქება-დიდებით იხსენიებს იმ პიროვნებებს, რომლებიც დღედაღამ ზრუნავდნენ ერის ზნეობის ამაღლებაზე ეკლესიებსა, თუ საერო სასწავლებლებში ქართული ენის დამკვიდრებისათვის. ასეთ მამულიშვილად მიიჩნევს იგი დეკანოზ დავით ლამბაშიძეს, რომელმაც კატეგორიულად უარი განაცხადა შეესრულებინა რუს მოხელეთა ბრძანება, სოფელ ყვირილაში რუსულ ენაზე ესწავლებინა ბავშვებისათვის საღმრთო რჯული, რის გამოც ის სამსახურიდან დაითხოვეს და სხვა მიიწვიეს. „...რა მოხდებოდა, – წერდა გოგებაშვილი, – თუ მამა დავითის უნარი გამოეჩინა მის მაგივრად მიწვეულ მღვდელსაც და ამ ორთა მაგალითისათვის ყველა ქართველ მღვდელს მიებაძა და უარი ეთქვა საღმრთო რჯულის სწავლებაზე მუნჯური ენით? ამ ენაზე სწავლება საღმრთო რჯულისა ყველა სკოლაში... და ეს ცვლილება. აი რა გვარ სიკეთეს შესძღვნიდა ჩვენს სამშობლოს“.



აი, ასეთია იაკობის ხელშესახები პრაქტიკულად განსახორციელებელი ლოგიკა და მისი სამომავლო შედეგი. ძალზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ ისეთი მღვდელმთავარნი, როგორც იყვნენ: იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი /გერონტი ქიქოძე/ ან დეკანოზი დავით ლამბაშიძე. მამა გაბრიელი, ეს უაღრესად განსწავლული ადამიანი, რომელიც, იაკობის გამოთქმით, „სარწმუნოებას ამცნინებდა და მეცნინებდას ასარწმუნოება“<sup>2</sup>. ექვემდებარებოდა სრულიად უვიც, გაუნათლებელ, ლოთ და ანგარ ეგზარხოს ევსევს. იაკობი ყოველთვის გამოდიოდა თავისი დიდი მასწავლებლის, ეპისკოპოს გაბრიელის დამცველად ეგზარხოსების, ლევიტების, იანოვსკებისა და სხვა ნაძირლებისაგან, რომლებიც მთავრობის შოვინისტური პოლიტიკის გააფთრებულ დამცველებად ევლინებოდნენ საზოგადოებას.

დიდი მოღვაწის გონება სწვდებოდა ყველა საჭირობოროტო საკითხს, რომელიც ხელს უშლიდა და აფერხებდა ქვეყნის წინსვლას და განვითარებას, ხალხში მამულიშვილური ცეცხლის გაღვივებას, ერის სულიერი და ზნეობრივი მრწამსის განმტკიცებას და უამრავ სხვა საკითხებს, მაგრამ, მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი მშობლიური ქართული ენა გახლდათ, მარტო „დედაენის“ გამოცემაც საკმარისი იქნებოდა ამისთვის, მხედველობაში რომ არ მიგველო „ბუნების კარის, русское слово“ უამრავი საკითხავი მასალა და პუბლიცისტური წერილები და სხვა, რომლებიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი.

გოგებაშვილი, ქართული ეკლესია და საზოგადოება, განსაკუთრებულად ალაშფოთა სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის აკრძალვამ, პედაგოგების გაუგონარმა დევნა-დამცირებამ. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, მასწავლებლებს საკმაოზე მეტი ნამსახურები წლების მიუხედავად, ქართული ენის სწავლება პედაგოგიურ სტაჟში არ ეთვლებოდათ. „ხალხთა საპყრობელეში“ შემავალი არცერთი სარწმუნოების წარმომადგენელი არ განიცდიდა ისეთ ჩაგვრას, დამონებას, როგორც ქართველი ერი და ქართული ენა. ამ სამარცხვინო აქტების განმახორციელებლად ყოველთვის გვევლინებოდა რუსეთის სინოდი.

სინოდის ხელდასხმითა და მითითებით, /იგულისხმება 1873 წ. სინოდის განკარგულება/ საქართველოს ეკლესიებში აიკრძალა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა, რასაც შედეგად მოჰყვა მართლმორწმუნე მრევლის შემცირება, რწმენის შესუსტება, დაკნინდა ან ნაწილობრივ მაინც განყდა ერი-სა და ეკლესიის კავშირი, მომრავლდა „უზნეო სასულიერო მამები.“

ი.გოგებაშვილმა კარგად იცოდა მშობლიური ენის ფასი, იცოდა, რომ ენის უგულებელყოფა სწავლა-აღზრდის საქმეში, ეკლესიებში ლიტურგიისას და სხვა სფეროებში გამოიწვევდა მის სიკვდილს და ენის სიკვდილი ხომ ერის სიკვდილს ნიშნავს როგორც უშინსკი ამბობდა „умер язык, умер и народ“/როდესაც ქრება ენა, ერი აღარ არსებობს.

დიდი იაკობი იბრძვის რა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, პარალელურად მოითხოვს საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას.

ავტონომიის მოთხოვნას ქართველთათვის ყველა საფუძველი აქვს (ტომი III გვ. 98) საქართველოს ავტონომიას საფუძვლად უდევს უდავო ისტორიული უფლება /იგულისხმება 1783წ. გეორგიევსკის ტრაქტატი/ „მხოლოდ ფართო თვითმმართველობის პირობებში შეიძლება იქცეს საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ჯანსაღ და სასარგებლო ორგანულ ნაწილად“.

ამავე დროს, იაკობი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული ავტონომია სასარგებლო იქნება მასში შემავალი მცირე ერებისათვის. ქართველთა „ეროვნული და რელიგიური მოთმინება, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად ქართულ ხასიათს უძველესი დროიდან და მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა./ტომი III გვ. 99/

უძველესი დროიდან ცხოვრობენ საქართველოში ებრაელები, ისინი სარგებლობენ ქართველებთან სრული თანასწორუფლებიანობით და არ განიცდიდნენ არავითარ შევიწროებას არც რელიგიის, ენის, სკოლის, არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით. მათ ჩვენთან არასდროს არავინ სდევნიდა, მაშინ, როცა ევროპაში და რუსეთში ახლაც არც თუ იშვიათად მეორდება მათი არაადამიანური დარბევა.

ყოველივე ამის საფუძველს იაკობი ხედავს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მას მიაჩნია ადამიანური სიყვარული, ჰუმანურობის და მიმტევებლობის ციტადელად ამ მისიის აღსრულებაში ყოველთვის პირნათელი იყო ჩვენი ეკლესია და ქართველი ხალხი.

ი.გოგებაშვილი გაოცებასა და გულისწყრომას ვერ მალავს იმის გამო, რომ ჩვენს მეზობლად მცხოვრებ სომხეთში სამწყსოს თვითონ აქვს უფლება აირჩიოს თავისი ნებით და სურვილით ეპოსკოპოსები, მღვდლები და სხვა სასულიერო პირნიც. საქართველო კი ამ უფლებას მოკლებულია, რადგან ქართულ ეკლესიას „ბატონად და მბრძანებლად ჰყავს უცხო მამინაცვალი, სატახტო ბიუროკრატიის მიერ დანიშნული და მისი ერთგული მოსამსახურე“.

იაკობი ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალს მხოლოდ ერთ რამეში ხედავს: „არა, ბედი ჩვენი ეკლესიისა, მისი ასავალ-დასავალი უსათუოდ ჩვენი ხალხის ხელში უნდა იყოს და აქ ბიუროკრაციას არაფერი არ უნდა ეკითხებოდეს-ო.“

ეკლესიისა და ქვეყნების ინტერესები მას განუყოფლად მიაჩნია. ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და აძლიერებდნენ. „...საარჩევნო უფლების გამეფება ეკლესიის სფეროში ძლიერ დაეხმარება ამავე პრინციპის გამეფებას პოლიტიკურ სფეროშიც.“ იაკობის მართებულ მსჯელობით ერი, რომელიც თავისი ნებით აირჩევს სამღვდელობას, დიაკვნიდან კათოლიკოსამდე, დღეს თუ ხვალ, მოითხოვს სახელმწიფოს მოსამსახურეთა არჩევას „მამასახლისიდან დაწყებული სამეფოს მეთაურამდე“.

იაკობს წარმოუდგენლად მიაჩნია ქართულ ეკლესიაში მოძღვრად რუსის დანიშვნა, როცა სულიერ მამასა და სამწყსოს ერთმანეთისა არ ესმით, მაშინ მღვდელმსახურება უნაყოფო და ფუჭ საქმედ იქცევა. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ზარალდებიან მორწმუნენი. ენის უცოდინრობის გამო ცივდება მათი რწმენა, ეკარგებათ სურვილი ლიტურგიაში მონაწილეობისა და თითქმის განწირულნი არიან. ისინი ემსგავსებიან ფარას, რომელსაც მწყემსი არ ჰყავს, რის გამოც ან კლდეზე გადაიჩეხებიან ან წყალში ჩაიხრჩვებიან.

იაკობი მოითხოვს, რომ ეკლესიაში მოძღვარი იყოს ქართველი, რადგან მრევლი ქართველია. თვით ქართველმა მღვდელმა ზედმინევნით უნდა იცოდეს ქართული ენა. დახელოვნებული უნდა იყოს მის მარჯვე ხმარებაში, მისი მეტყველება უნდა იყოს მკაფიო და ზემოქმედების მომხდენი.

„მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან მას ჭეშმარიტი მქადაგებელი... გასპეტაკებული თავისი სამწყსოს სულისა და გულისა, მთესველი მაცხოვრის მალალი სწავლისა“ /ტომი III გვ. 305/

მსოფლიოში მხოლოდ ერთგან, თბილისის სემინარიაში, რომლის დანიშნულებაცაა მოუშზადო ერს სულიერი მწყემსნი, – არამც თუ არცერთი საგანი არ ისწავლება ქართულ ენაზე, არამედ თითქმის არც კი იხსენიება, გულისტკივილით და სინანულით აღნიშნავს გოგებაშვილი. „საუბარი მასწავლებლებსა და მონაფეებს შორის სწარმოებს არა ქართულ ენაზედ, არამედ რუსულად“ /ტომი II გვ. 312/ ამ გაუგონარი უსამართლობის შედეგსაც ნათლად ხედავს დიდი მამულიშვილი. სემინარიელები სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ უმეცარნი არიან ქართულ მეტყველებაში და კითხვაც კი არ იციან ქართული ტექსტებისა.

შესაბამისად, ქართველი ერი ველარ ისმენს ქრისტიანულ ქადაგებას, წირვა-ლოცვას, საეკლესიო გალობას და კითხვას. ასეთ მდგომარეობას ერი მიჰყავს უღმრთოებისაკენ, ფაქტიურად, ხდება წარმართი და იხრწნება ზნეობრივად.

ყოველივე აღნიშნულის დასაძლევად და გამოსასწორებლად იაკობს მიაჩნია, რომ უნდა დაარსდეს თბილისში სასულიერო აკადემია, სწავლება აკადემიაში, სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში უნდა ხდებოდეს მხოლოდ მშობლიურ ენაზე. სწავლების ამ საფეხურებგავლილი ადამიანები მოეველინებიან ერს ჭეშმარიტ სულიერ მოძღვრებად და აღასრულებენ ნებას ღმრთისა სამშობლოსა და ერის წინაშე.

ქართველების დაქუცმაცებისა და დაშლის ველური მიზანი უმთავრეს მოთხოვნილებად იქცა იმპერიის პოლიტიკისა, რასაც უხეშად, უსამართლოდ ეწვევიან ვოსტორგოვები და მისტანანი.

იაკობი დაუნდობლად ებრძვის ყველას, ვინც მოინდომებს ქართველი ერის, ჩვენი ეკლესიის, ენისა და მამულის ინტერესების ხელყოფას. იგი კრიტიკის მთელ სიმძაფრეს თავს ატეხს იმ რუს სამღვდელო თუ საერო მოხელეებს, რომლებმაც მალალი თანამდებობები

არა აკადემიური განათლების, მაღალი ჭკუა-გონებისა და ზნეობის გამო მიიღეს, არამედ იმის გამო, რომ ისინი რუსებია. ეს „II რანგის სემინარიელები“, როგორც მათ დიდი იაკობი უწოდებს, სინამდვილეში აბსოლუტურად გაუნათლებელი, უვიცი და ბოროტი ინტრიგების მქსოველი ბელზებელებია. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ საქართველოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი ვოსტორგოვი. ამ ქართველთა დაუძინებელ მტერს, რომელსაც პედაგოგიკისა არაფერი გაეგებოდა, ქალთა გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ, უვიცობისა და ბილნი ხასიათის გამო შუა აზიაში უპირებდნენ გამწესებას, მაგრამ მან ინტრიგების საშუალებით სკოლების მეთვალყურის თანამდებობა იგდო ხელთ. ამ დღიდან დაიწყო მისი გაუგონარი თავხედობით გამორჩეული მტრობა ქართველებისა და ყველაფერი ქართულისადმი. მისი დაჟინებული მოთხოვნით საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომ ქართულ სასწავლებლებში, სადაც თუნდაც ერთი ან ორი სხვა ეროვნების / ებრაელი, სომეხი, ოსი/ მოსწავლე იქნებოდა, თუნდაც ისინი კარგად ფლობდნენ ქართულ ენას, სწავლება უნდა ყოფილიყო რუსულ ენაზე და ქართული ენა თვით ქართველებისთვისაც არ უნდა ყოფილიყო სავალდებულო საგანი. ამ ბოროტმა ადამიანმა ქართლ-კახეთში არსებული 150-მდე სკოლა შეამცირა 39-მდე. 50 000 ბერძნებს ჰქონდათ 32 სკოლა, მაშინ როცა ქართველები ამ რეგიონში ნახევარ მილიონს აჭარბებდნენ. ვოსტორგოვმა სიონის ტაძარში შერეული ქართულ-სლავური გალობა შემოაღებინა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის. ქართველებს ასეთნაირად „ახარისხებს:“ ქართველები, მეგრელები, გურულები, ფშაველები, ხევსურები, ინგილოები... ეს უვიცი და გაუნათლებელი ადამიანი არ ერიდება ქართველთა აშკარა მტრობას, მან სიონის ტაძრის მუზეუმის ძველი ქართული ხელნაწერებისა და სხვა ისტორიული განძეულობის შესახებ თქვა: „საჭიროა, ეს დამპალი ნაგავი დაწვანო.“

ვოსტორგოვმა ააღელვა და აღაშფოთა მთელი ქართველი საზოგადოება და ეს ხდება რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავზე, რომელთან დაკავშირებითაც უგანათლებულესი რუსი თავადი დურნოვო წერდა: „დიდი და ძლევამოსილი რუსეთის იმპერიის არცერთ ხალხს არ გამოუჩენია მისდამი იმდენი თავდადება და ერთგულება, რამდენიც ქართველმა ხალხმა გამოიჩინაო.“

ქართველების აღშფოთებისა და სამართლიანი საჩივრების გამო ცოფმორეული გაჰკვივის: „ქართველები მე სიტყვით დამინყებენ ლანძღვას, მე კი მათ საქმით მოვუღებ ბოლოს,“ „...ტყუილუბრალოდ კი არ გამოვითხოვე მე უფლება, რომ ყოველწლიურად წავიდე ხოლმე პეტერბურგში.“ /ტომი II გვ.280/ დიახ, სწორედ პეტერბურგში მარხნია ძაღლის თავი: ქართველების გაუგონარი ჩაგვრა, ადამიანური უფლებების აყრა, მათი დემოკრატიული მოთხოვნების უარყოფა, სარწმუნოებისა და ენის ძალადობით აღკვეთა და სხვა ბოროტი საქ-

მეები, სწორედაც, რომ იმპერიის დედაქალაქში იგეგმებოდა. რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგია გახლდათ თავი და თავი იმ უბედურებისა, რაც საქართველოს თავს დაატყდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. რუსეთის დაუფარავმა აგრესიამ საქართველოს ფაქტიურად ჩამოაცილა აფხაზეთი და სამაჩაბლო, სწორედ რუსებმა უკვე მერამდენედ შეიღებეს ხელები ქართველთა სისხლით/ აფხაზეთში ხომ მიახლოებით 30 000 ქართველი დაიღუპა./ გახსნეს სოჭი-სოხუმის რკინიგზა, აფხაზებს და ოსებს რუსულ პასპორტებს ურიგებენ და რუსეთის მოქალაქეებად ნათლავენ, ისე რომ საქართველოს არც დაეკითხეს, რატომ, ვითომ იმისთვის, რომ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი გაბრიყვებული აფხაზებისა და ოსების სიყვარული? არა! მათი მიზანია ყოფილ სსრკ-ში მცხოვრები ერები კვლავ დაიმორჩილონ, მართონ და ძარცვონ ისევე, როგორც აკეთებდნენ საუკუნეების მანძილზე.

„სარწმუნოებრივი გრძნობა“ გოგებაშვილს მიაჩნდა ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად. მართლმადიდებლური რელიგიის მოძღვრებისა, ღრმა შინაგანი რწმენისა და სინდისის თავისუფლების გარეშე არ არსებობს მისთვის მაღალი ზნეობა. ამის მისაღწევად კი უმთავრეს როლს ის ანიჭებს მშობლიურ ენას.

„სამღვდელოება სამუდამოდ ხალხშია მოქცეული, არის მონმე მისი ჭირისა და ლხინისა... თუ მოძღვარი შეკავშირებულია ერთან მისის წარსულისა და აწმყოს ცოდნით, მისი ენისა და ლიტერატურის შეთვისებით და აღზრდილი აქვს გულში სიყვარული და პატივისცემა თავისი ხალხისა, ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ ის სიკეთე, ნუგეში, ის შვება და ლხენა, რომელსაც იგი ხალხში მოჰფენს“ /ტომი II გვ.226/, მაგრამ თუ ხალხში აღმოიფხვრა ერის პატივისცემა, დაუმახინჯებიათ და მოუსპიათ ეკლესიასა და ერს შორის კავშირი, მაშინ „მტერსაც აშოროს ის ვნება, ის ზარალი და ის გარყვნილება, რომელსაც იგი შესძღვნის თავის სამწყსოს“.

ენა „ეროვნული იარაღია“. სასულიერო მოღვაწე თუ ამ იარაღს ვერ ფლობს, ვერ ფლობს დედაენას, ის გაირიყება ერისაგან, გახსნევეტს მასთან სულიერ კავსირს, ვერ აღიქვამს ქრისტიანულ დოგმებს და ვერც სამწყსოს გააგებინებს, ვერ უპასუხებს ეკლესიის მოძღვართა უზენაეს მონოდებას, ზნეობრივად დაამახინჯებს მრევლს, ვერ დაიცავს ერის ინტერესებს.

ქრისტიანობა იაკობს მიაჩნდა ქვეყნის ერთიანობის მტკიცე გარანტიად, ერის გამაერთიანებლად, მაღალზნეობრივ იდეოლოგიად. რელიგიის, ზნეობის, დედაენის, და მამულის აღქმა ცალ-ცალკე, დანაწევრებულად, გოგებაშვილს მიაჩნდა წარმოუდგენლად. მისი მიდგომა ამ საკითხებისადმი ზუსტად იდენტურია ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული ლაკონური და გენიალური ფრაზისა: „ენა, მამული, სარწმუნოება.“

სარწმუნოებისა და განათლების ურთიერთ კავშირზე თავის აზრს იაკობი ასე გადმოგვცემს: „სარწმუნოება, მოკლებული განათლებას,

ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფირმებს ეკლესიისას და ივინყებს შინაგან მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივ პრინციპებს, დედა აზრებს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტ სარწმუნოებას, როდის უშლის თავის მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენადვე დიდი არამზადა, რამდენადაც დიდი მეცნიერია“. /ტომი III გვ.144/ ამ შეხედულების დამადასტურებლად მას მოჰყავს ბეკონის მაგალითი, საპირისპიროდ კი მორწმუნე და მაღალი ზნეობის ნიუტონს ასახელებს. ყველაზე მეტად კი მისი სიმპათიები იხრება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისადმი. „...თავისი უმნიშვნელო ცხოვრებით იძლეოდა სახარების ნამდვილი ზნეობის მაღალ მაგალითს. მისი სამწყსო ამალდა ზნეობრივ-რელიგიური, გონებრივი და ეკონომიკური მხრივ /ტომი II გვ.164/

უაღრესად საინტერესო და საგულისხმოა იაკობის შეხედულება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობის შესახებ. „...ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროს რომი ბევრით სჯობდა ცოდნით ძველ რომს, მაგრამ I მუდამ იმარჯვებდა უძლიერეს მტერზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა, II კი, უვიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაიგდეს, გათელეს და შემუხვრეს იმიტომ, რომ ზნეობრივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი. ჩვენს ერსაც იმისთანავე ბოლო მოეღის, თუ სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავის კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მაღლის დანიშნულებისა“ /ტომი II გვ.317/ ეს გახლავთ ჩვენი დიდი წინაპრის წინასწარმეტყველება. საბჭოთა წყობილებამ ათეიზმი აქცია ხალხის იდეოლოგიად, თითქმის მთლიანად მოსპო ქართული ეკლესია, რამაც შედეგად დაგვიტოვა ჩვენი ხალხის სულიერი და ზნეობრივი გაპარტახება, მოუსპო რწმენა, ააყვავა ბოროტება და უზნეობა. მოსპო კანონ-სამართალი, სინდისი და მორალი ბანალურ სიტყვებად იქცნენ. სწორედ ჩვენმა სულიერმა და ზნეობრივმა გაპარტახებამ დაგვაკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო. როცა გაგრა დაეცა და სოხუმიც ხელიდან გვეცლებოდა, თბილისში, რესტორნებსა, კაზინოებსა და სასტუმროებში ორგეები იმართებოდა, ბაკქანალიებს დასასრული არ უჩანდა, წრეგადასული ღრეობისა და გახრწნილობის ჭაობში იჯდა ქვეყნის ელიტარული ნაწილი, ის ხალხი,ვისაც ევალებოდა სამშობლოს დაცვა, II მხარე ხალხისა კი შიმშილით სულს ღაფავდა. ამ ხალხში უკვე ჩაკლული იყო გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვისა.

იაკობი პირდაპირ მიუთითებს, რომ ზნეობრივ აღზრდასა და მის ფორმირებაში უდიდესი, შეუცვლელი როლი ენიჭება ბიბლიას /ძველი და ახალი აღთქმის წიგნები./ „დედაენის“ სპეციალურ განყოფილებაში – „საღმრთო ნაწილი“ – უამრავი მოთხრობაა წარმოდგე-

ნილი ქრისტიანულ რელიგიაზე, მის არსზე, წარმოშობასა და დოგმებზე, საეკლესიო რიტუალებზე და სხვა. „საღმრთო ნაწილი“-ის აზრი და იდეა მიმართულია იქითკენ, რომ მოზარდს გამოუმუშაოს სიყვარული, მონინება და ლტოლვა ღმრთისადმი, მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი, ამით კი უცილობლად მიიღწევა ბავშვის აღზრდა მაღალი ზნეობრივი პრინციპებით, გაუღვივებს სამშობლოს სიყვარულს და განუმტკიცებს რწმენას ზენაარისადმი.

იაკობი დაჟინებით და კატეგორიულად მოითხოვდა ეკლესიაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, რაც მას მიაჩნდა ერის გამოღვიძების, გონების განვითარების და ადამიანის პირადი ღირსებების წარმოჩენის აუცილებელ საშუალებად. მისი აზრით, მღვდელმსახურთა მთელი იერარქია, დიაკვნიდან-პატრიარქამდე კი არ უნდა ინიშნებოდეს, არამედ უნდა ხდებოდეს მათი არჩევა. მათ არჩევაში სამღვდელოებასთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ გამოჩენილი და ღირსეული საერო პირნიც.

იაკობის ამ ნააზრევს გაგრძელებას პოლიტიკურ მოთხოვნებამდეც მივყავართ: „...არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საარჩევნო უფლებების გამეფება ეკლესიის სფეროში, ძლიერ დაეხმარება ამავე პრინციპების გამეფებას პოლიტიკურ სფეროშიც. ერი, რომელიც ირჩევს მთელს სამღვდელოების კრებულს, დიაკვნიდან კათოლიკოსამდე, დღეს თუ ხვალ, მოითხოვს, რომ მის ხელშეუხებელს უფლებას შეადგენს სახელმწიფო მოსამსახურეთა არჩევანი მამასახლისიდან დაწყებული სამეფო მეთაურამდე.“<sup>1</sup>

აი, რამდენად მაღლა დგას და რამდენად პროგრესულია დიდი იაკობი, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რუსეთის მონობაში მყოფი ქვეყნისათვის მოითხოვს დემოკრატიული არჩევნების განხორციელებას საეკლესიო, თუ პოლიტიკურ/ქვეყნის მმართველობის/ სფეროში. დავფიქრდეთ, რამდენად დაბალი აზროვნება და რამდენად ჩამორჩენილია ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების მიდგომა საქართველოსთვის ამ უაღრესად საჭირობოროტო პრობლემის გადასაწყვეტად. ჩვენთან, საკვირველია, მაგრამ სამწუხარო რეალობაა XIX საუკუნის, რომ პრეზიდენტის რწმუნებულების /ეს არაკონსტიტუციური თანამდებობის პირები/ ქალაქის მერების და მრავალთა არჩევნები კი არ ხდება, არამედ ინიშნებიან „ზემოდან“. ნუთუ ესაა დემოკრატია?!

გოგებაშვილი მთელი სიმკაცრით ებრძვის ანგარებიან, ხარბ, მექრთამე და უზნეო ადამიანებს, რომლებიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებენ პირადულ, საკუთარი მატერიალური კეთილდრეობის მერკანტილურ მოთხოვნებს. სტატიაში „პატარა საიდუმლო“ ამ საკითხზე ძალზედ საინტერესო მასალებს გვანვდის და გვისახავს გზას ჩიხიდან გამოსვლისა.

ექვსი დღე იშრომე – ამ ეკლესიურ შეგონებას, იაკობი ასე ეხმაურება: „სამოქალაქო მოვალეობის“ კეთილსინდისიერად შესრულება არის საფუძველი ქვეყნის ხსნის. აუცილებელია ხალხის შრომაში ჩაბმა, მაღალი პროფესიონალიზმის დამკვიდრება ყველა სფერო-

ში, ერის ზნეობისა და სულის ამაღლება. მოვალეობის „ხატად და კერპად ქცევა“ – ასეთია დიდი იაკობის მორალური და პოლიტიკური შეგონება და პროგნოზის შინაარსი. ჩვენი აზრით, იაკობის ეს პროგრამა და პროგნოზი სახელმძღვანელოდ უნდა დაიდონ ჩვენმა მთავრობამ და ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენლებმა, თუ მათ სურთ საქართველოს ხსნა მექრთამეობისა და კორუფციის დამანგრეველი ზემოქმედებისაგან.

დიდი პედაგოგი უპირველესად ღმერთს აცნობდა ბავშვებს: „ღმერთი არის ყოვლის შემოქმედი, ყველაფრის დამბადებელი. მან გააჩინა ცა, შექმნა დედამიწა და მან დაბადა ყოველი სულიერი და უსულო არსება, რასაც კი ქვეყნიერებაზე ვხედავთ“. 2 აქვე იგი ბავშვებისათვის უაღრესად გასაგები ენით მოგვითხრობს „...მზის, მთვარის, ვარსკვლავების, წყლის, ადამიანის შექმნას.

აცნობს ბავშვებს კაენისა და აბელის ცხოვრებას, კაენის შეცოდებას, ადამიანთა გარყვნას, ნოესა და მის კიდობანს, წარღვნას, ბაბილონის გოდოლს, ენის, როგორც უფლისაგან მინიჭებულ საუნჯის გაჩენაზე“<sup>1</sup> და სხვა.

გოგებაშვილი ძალიან მარტივად, მიმზიდველად და ძალზე დამაჯერებლად გადმოგვცემს თვით ყველაზე ურთულეს ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, დაუჯერებელ და გაუგონარ საკითხებს.

ეს წიგნი გონებას უხსნის დიდს თუ პატარას, ძალდაუტანებლად ახდენს მათ შემობრუნებას ღმრთისაკენ, ზნეობრივად ასპეტაკებს და წმენდს ადამიანთა სულებს, აღგვიძრავს სურვილს ბიბლიის სიბრძნის ღრმად შესწავლისა.

როგორც ეკლესია, იაკობიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვებისა თუ ზრდასრული ადამიანებისათვის სახარების სწავლების აუცილებლობას. „...სახარების სწავლით ღრმად გამსჭვალული მორწმუნე ყოველთვის წარმოადგენს უმწიკვლო ადამიანის მეტად სიმპატიურ ტიპს, რომელიც თავის გარშემო დაუღალავად ჰფენს სიკეთესა და მადლს.“<sup>2</sup> სახარების მცოდნე არასდროს იქნება კაცის მკვლელი, ქურდი ზნედაცემული, არ გახდება ბოროტმოქმედი და არ დაარღვევს ღმრთის მცნებებს – ასე სწამს იაკობს.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია ეკლესიის მეშვეობით, მხოლოდ მორწმუნეთა ეკლესიურობა არის გზა ხსნისა. გზა, რომელსაც მივყევართ ტაძრამდე, ადამიანთა სულიერ და ხორციელ ამაღლებაზე, სამარადისო სიცოცხლის დამკვიდრებამდე და სასუფეველამდე.

დასკვნა: ვეცნობით რა ი. გოგებაშვილის შემოქმედებას, მასში აშკარად ვხედავთ, რომ სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური თუ სხვა საკითხების განხილვისას, მის საყრდენს, ლიბოს, თვალთხედვას და ლოგიკას საფუძვლად უდევს ეგზოტერული ქრისტიანობის არსი, თეოლოგიისა და თეოსოფიის დებულებები.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, ამ ღმრთის სახლის ამოცანები და დანიშნულება გოგებაშვილის შეხედულებით შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1. ქართული მართლმადიდებლური ეკლესი-



ის უპირველესი ამოცანა და დანიშნულებაა სამწყსოს, მრევლის მიმართვა, მიდრეკა ღმრთისადმი, რამეთუ ეს არის ერთადერთი გზა ადამიანის სულის ხსნისა და საუკუნო სასუფეველის დამკვიდრებისა.

ჭეშმარიტი ქრისტიანი მხოლოდ ეკლესიის მეშვეობით მიდის მისტიურ ღვთის მეტყველებასთან ანუ ანტონ კათოლიკოსის სიტყვებით „ბრძენებსა და მალაღმრთისმეტყველებასთან“.

ეკლესია უნდა იცავდეს ქრისტიანულ მართლმადიდებლურ დოგმატებს, მაგრამ დოგმატური მარტივია, მალალი ღვთისმეტყველება კი ზესთასოფლისაა, ინიციაციურია და ის აძლევს კაცს საზეო სიბრძნეს.

2. ეკლესია მსახურია ერის, დამცველი და წარმმართველია მისი მიზნებისა და ინტერესების. ეკლესია სავანეა ქრისტესი და ტაძარი – სავანე სულიწმინდისა მუდმივად იდგა ქართველი ერის სამსახურში მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. ეკლესია იყო ხალხისათვის სიმხნევისა და სულიერი სიმტკიცის ციტადელი ათასი ჯურის დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ეკლესია ყოველთვის იდგა ქართული სახელმწიფოს ძლიერების სამსახურში და ჩვენი მამულის სიძლიერეც მხოლოდ მაშინ ადიოდა ზენიტში, როცა ეკლესიიდან გამომავალი ნათელი, ღმრთის სიტყვის სახით, ეფინებოდა მეფესაც და მის მსახურთაც, დიდებულთაც და მდაბიოთაც, ერსაც და ბერსაც, აერთიანებდა მათ ერთი მიზნის, ღმრთისა და სამშობლოს სამსახურისათვის. სწორედ ერთიანობა იყო გარანტია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, კულტურული მდგომარეობის აყვავებისა.

3. განუზომელია მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და ამოცანები ერის მთლიანად და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ზნეობრივი და გონებრივი აღზრდის საქმეში. უმთავრეს და პრიორიტეტულ მიმართულებად გოგებაშვილი მიიჩნევს ხალხის ზნეობრივ აღზრდას, რამეთუ ზნეობრიობის ნაყოფი და შედეგი გახლავთ ყოველგვარი სიკეთე, სამართლიანობა, სიყვარული, /ღმრთისა და მოყვასისა/, შრომისმოყვარეობა და სხვა მრავალი მადლი, რომელთა ძალითაც კაცი მიემსგავსება ყოვლის შემოქმედს.

გონებრივი აღზრდის ნაყოფი კი გახლავთ მალაღმრთელთა ბული პიროვნებების ჩამოყალიბება, რომლებიც „ესათნოებიან ღმერთს და ევლინებიან მამულს, ერს მკურნალად, განმანათლებლად, სულიერ და ფიზიკურ ძალთა განმამტკიცებლად, რეფორმატორებად და პროგრესის დამამკვიდრებლად“.

4. ეკლესია არის მშობლიური ენის, დედაენის პატრონი და მფარველი. უმდიდრესი ქართული სასულიერო ლიტერატურა იყო საძირკველი ქართული საერო ლიტერატურის შექმნისა. ქართული ეკლესიიდან საუკუნეთა მანძილზე ისმოდა ღმრთის სიტყვა, აღესრულებოდა წირვა-ლოცვა, საიდუმლოებები, ქადაგებები, გაჭირვებისა და მტრის შემოსევების დროს კი, ეკლესიიდან ისმოდა მონოდეხა მამულის დასაცავად და ყველაფერი ეს აღესრულებოდა „ქართუ-

ლითა ენითა“, ამიტომ იყო ხელიხელ საგოგმანები და მუდმივი მოვლა-პატრონობის საგანი ქართული ენა ჩვენი ეკლესიისათვის.

5. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თვალი მუდმივად მიმართული იყო სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისაკენ. ის იბრძოდა ერის ამ ფუნდამენტური საუნჯის ნებისმიერი ხელყოფის წინააღმდეგ იმპერიულ-რუსული შოვინისტური მმართველობის დროსაც კი. ეკლესია იბრძოდა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებისათვის. ამ აქტის განხორციელებით მიიღწვოდა ქვეყნის მართვის დემოკრატიული პრინციპების განხორციელება, რაც ძირფესვიანად შეცვლიდა საქართველოს განვითარების მიმართულებას და გაიყვანდა მას ყოველმხრივი განვითარების გზაზე.

6. უდიდესია მნიშვნელობა და წვლილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა ჩვენთან მცხოვრები მცირე ერების წარმომადგენელთა მიმართ. ქართველთა ტოლერანტობას, ჰუმანურობას, თანასწორუფლებიანობასა და სამართლიან თანაცხოვრებას მაგალითი არ მოეძებნება მსოფლიო ისტორიაში, რისი ნათელი დასტურიც ჩვენთან ებრაელთა ოცდაექვს საუკუნოვანი უშფოთველი ცხოვრების ისტორიაა.

**ნონა ლაზარაშვილი**

**ქ. რუსთავი, № 15 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი**

„ჭკვიანი ადამიანი ირგვლივ ხედავს განუზომელ შესაძლებლობებს, სულელი კი შესაძლებლობად თვლის იმას, რაც აქვს.“

**დენი დიდრო**

## **„ჩაი ჟიის“ ილიაძე და შაჟა-ფაჟაღაძე ეპოსის ზოგიერთი საკითხის სკოლაში სწავლება**

ვაჟა-ფშაველას ეპოსის სწავლებისას ყველა პედაგოგი შეამჩნევდა, რომ ჩვენს აღსაზრდელებს გარკვეულწილად უჭირთ პოემის გმირთა ხასიათში ფსიქოლოგიური წვდომა. მათ მიერ სათანადო დონეზე ვერ ხერხდება გააზრება, თუ რატომ არიან გოგოთური, მინდია, ალუდა, ჯოყოლა, ალაზა, ზვიადაური... სწორედ მასეთები და არა სხვანაირები; რატომ აღიქვამენ ისინი ირგვლივ მყოფ სამყაროს სხვანაირად და ანუხებთ ის, რაც სხვებისათვის მიღებული და გათავისებულია; რატომ მიდიან კომფლიქტამდე და ბოლოს, რატომ იღუპებიან ან ტოვებენ თვისტომთ? ამის გამო დგება საკითხი – ან მოხდა გაუცხოება და XX საუკუნის ქართველი ველარ უგებს თავის წინაპარს, ან ბოლომდე ვერ ვიყენებთ მწერლის შემოქმედების აღმზრდელობით უნარს.

საქმე ის გახლავთ, რომ თვით ლიტერატურულ კრიტიკაში საკითხის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ათეული წლების მანძილზე „ალუდა ქეთულაურისა“ და „სტუმარ-მასპინძელის“ გმირების ცხოვრება განიხილებოდა, როგორც თემისა და პიროვნების დაპირისპირების საკითხი. ბატონ გრიგოლ კიკნაძეს დიდხანს დასჭირდა მტკიცება იმისა, რომ „ვაჟას შემოქმედებაში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემის“ საკითხებია განსახილველი [9;69]. და, მიუხედავად

ამისა, ჩემს კოლეგებს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებაში თუნანერებში დღესაც არა ერთხელ უხდებათ „თემისა და პიროვნების დაპირისპირება“, მზამზარეულ ფრაზასთან ბრძოლა.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის განვითარების მანძილზე თითქმის ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, მხოლოდ ყველა ეპოქა მას თავისებურად განიხილავდა, საკუთარი მორალურ-ეთიკური ჩარჩოებიდან გამომდინარე. ასეთივე გახლდათ XIX საუკუნეც და თუ არ ეს პრობლემა, სხვა რა უნდა დავინახოთ ქართველ სამოციანელთა თუ მათი შემდგომი თაობების შემოქმედებაში?

ჩვენის აზრით, ვაჟაში ისევე, როგორც ყველა მთიელში, მთის იმ მკაცრმა და ზვიადმა ბუნებამ, რომელშიც მას ცხოვრება უწევდა, სამყაროს აღქმისა და მასში ადამიანის როლის შესახებ გარკვეული ფილოსოფიური მრწამსი ჩამოაყალიბებინა – ვინც ძლიერი, მარდი, უშიშარი, შეუპოვარი და ქედუდრეკელია, მხოლოდ მას შეუძლია იარსებოს, „სამზეოს“ იაროს და „უფსკრულს მოარული დევი“ უწოდოს. ეს პრინციპი ზოგიერთ მოკვდავს ტაცება-ყაჩაღობისაკენაც კი უბიძგებს (ბლოელი აფშინა), მაგრამ აქვე არსებობს საკმაოდ ძლიერი კოდექსი პიროვნების, როგორც საზოგა-

დოებრივი არსების ამ ქვენა ინსტიქტის მოთოკვისა – ეს „კაი ყმის“ ინსტიტუტი გახლავთ, რომელიც ყველა მთიელს თუ არა, ქრისტიანულ სამყაროსთან წილნაყართ მაინც კაცობრიობის საუკეთესო იდიალებს აზიარებს. ვფიქრობთ, დღეს ისე, როგორც არასდროს, ქართველებს ყველაზე მეტად გვჭირდება ამ ინსტიტუტის აღდგენა – დამკვიდრება, რომ მამა-პაპათა ტრადიციების გზიდან გადახვევით საბოლოოდ არ გავითქვიფოთ რჯულიანთა თუ ურჯულოთა მოძმეებში.

ხოლო თვით ის ნანარმოებები, რასაც უნდა გაადვილება, საკითხის გაგება და შესწავლა – ლექსი „კაი ყმა“ და ეთნოგრაფიული წერილი, „გმირთა იდეალი ფშავური პოეზიის გამოხატულებით“, მხოლოდ 1991 წლის ალტერნატიულ პროგრამაში აღმოჩნდა ჩართული. ამათ გარდა ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთი ეთნოგრაფიული წერილის („ხევსურები“) მიმატება ჩვენი სასწავლო პროგრამისათვის, რამეთუ სწორედ მასშია გადმოცემული ის ადათ-წესები, რაც ასე გვჭირდება ეპოსის სწავლებისას. ამჟამად ჩვენ ზუსტად ამ წერილიდან მოვიყვანთ ნაწყვეტს: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდაც ძმაც იყოს, არ შეუძლია სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება,

ოლონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“.

თუ ამ სიტყვებს კარგად დავაკვირდებით, მასში ჯარეგელი ალხასტაისძის მთელი საქციელის ახსნას ვიპოვით... მაგრამ ჯოყოლა ხევსური როდია, იგი ქისტი გახლავთ, მასპინძელი თავისი მოსისხლე მტრის – ძმისმკვლელი ხევსური ზვიადაურისა. თავის მხრივ, ეს საკითხი კითხვას წარმოშობს – ტომობრივი წესების ეს აღრევა შემთხვევითი ხომ არ არის, თუ სხვა რამ მიზანი ჰქონდა ავტორს?

ჩვენი აზრით, ნანარმოებების გმირთა წარმომავლობა და მათი რჯულის განსხვავება მხოლოდ მასალაა ვაჟა-ფშაველასათვის მთავარი იდეის – ქრისტიანული მორალის წარმოსაჩენად. დიახ, ქრისტიანული მორალის, რამეთუ სწორად იგი გახლავთ უფლისა და მოყვასის ისეთი სიყვარულის დამკვიდრებელი, რომელიც მტერ-მოყვრისადმი თანაბარ საზომს მოითხოვს, რამეთუ ყოველი მათგანი, „სახედ და ხატად ღვთისა“ არის შექმნილი. ახლობელი, შენი მოძმე და თვისტომი რომ გიყვარს, ეს საქმე არ არის, ასე წარმართებიც იქცევინ; ჭეშმარიტ ქრისტიანს ყველა ადამიანი უნდა უყვარდეს. სწორედ მაცხოვარი მოგვიწოდებს: „გიყუარდედ მტერნი თქვენნი და კეთილისა უყოფდე თ მოძულეთა თქუნათა და აკურთხევდით მანყევართა თქუნთა და ილოცვდით მათთვის, რომელნი გმძლავრობენ თქუნ“ (ლუკა 6.27).

სწორედ ასეთი სიყვარულის გამოვლინებაა ჯოყოლას ქმე-

დება. თავიდან იგი იცავს ზვიადაურს, როგორც სტუმარს, მაგრამ თვითონაც კარგად იცის, რომ ეს სტუმარი ხევსურია – პოტენციური მტერი, რომელსაც მისი ნათესავი და თვისტომი თუ არ ეყოლება მოკლული, საქონელს მაინც მოსტაცებდა უცხო რჯულთ. ქისტისთვის, როგორც მუსულმანისათვის, ხევსურული სამყარო მტრული გარემოა და, ამის მიუხედავად, თავიდანვე შინ მიჰყავს, როგორც „ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან ნათლია“. არადა, ორტომს შორის სისხლის ზღვაა ჩამონოლილი და ალხასტაიძე უგულვებელყოფს ამ სისხლს...

უგულვებელყოფს თუ სხვა პრინციპით მოქმედებს?!

თავისი თემის რჯული მტერთან მტრულ მოპყრობას სთხოვს, რადგან: „მტერს მტრულად მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანაო“ და რაც მალე ჩასცემს გულში დანას, მით უკეთესია... „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“. მაგრამ ეს ხმლით მოსული მტერზე სჭრის, როცა შინ გივარდება, გინიოკებს ცოლ-შვილსა და სახლ-კარს, შენ კი რჯულსა და მამულს იცავ – ეს საღვთო ომია, თვით ქრისტიანული მორალით გამართლებული. ჯოყოლას წინაშე კი ხელმოცარული მონადირე იდგა, ნისლისაგან გზა დაკარგული, ჭიუხში გადაჩეხვა რომ ეწერა და ადამიანურმა სინდისმა ნება არ მისცა, დახმარების ხელი არ გაეწოდებინა. მასში გული ალაპარაკდა, ის გული, ღვთის სიყვარულის სადგური რომ არის და მერე თანასოფლელებ-

საც მოუწოდა სწორედ ასეთი გულის გახსნისაკენ:

„უიარაღოს აწვალეთ, გული რასა გრძნობს თავადა?“

ჯოყოლა გულის ხედვით მოქმედებს, ამიტომ მის მიერ ზვიადაურის დაცვა არ არის მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის ადათისადმი დამორჩილება, გულის ხედვით გამონვეული თავისდაუნებური მოქმედება. თანდათანობით ჯოყოლას აზროვნებაში იჭრება და იქ ეძებს საყრდენს. ქისტი ვაჟკაცი ხვდება, რომ თუნდაც „თავის მტანჯველის შემუსვრა“ დიდი ცოდვაა, რომელსაც „კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა“. ჯოყოლას გულში ზვიადაურის ვაჟკაცობით აღძრული სიმპატია თანდათანობით სიყვარულში გადადის, რასაც პოემის ბოლოს ძმური სიყვარულის სიძლიერე ენიჭება. ასეთი გრძნობით მტრის შეყვარების მაგალითს მხოლოდ ქრისტიანობა იძლევა [14;9]

ღვთიური სიყვარულით გასხივოსნებული გული აღაზასაც უდგას და ამიტომ სტირის დაღუპულ ვაჟკაცს, მაგრამ ეს ტირილიც არ იყო, რადგან ეხათრებოდა:

„ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა, მეორით – ღმერთი აშინებს; ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს. ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა, კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“.

თვალთახედვა და გულის კარნახით გამონვეული ორიენტაცია სრულიად სხვადასხვა მოძმეებისა და ბუნებისათვის, საიქიოში

მყოფთა და თვით მისი გიშრის თმებისათვისაც კი გაუგებარი, მაგრამ გასაგები და მისაღება მეუღლისათვის, რომელსაც მისი დაღვრილი ცრემლები მოყვასისათვის განუღმად მადლად ესახება:

„იტირე?! მადლი გიქნია,  
მე რა გამგე ვარ მაგისა?  
დიაცს მუდამაც უხდება  
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

ერთი შეხედვით, ამ მხრივ, ზვიადაური ცოტა სქემატურადაც კი გამოიყურება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, მასაც ნამდვილი ქრისტიანის გული უცემს მკერდში – იცის სხვისი ამაგის დაფასება და ვაჟკაცობის ფასი, რამეთუ, პირველ რიგში, თვითონაა უებრო ვაჟკაცი და ...

„გული ვერ მოკლა  
მტრის ხელმა,  
გული გულადვე რჩებოდა“...

ეს ის გულია, რომელიც მარად თან „დააქვს ბუნებას“ და არასოდეს დაჰკარგავს, როგორც ვაჟკაცობისა და უზენაესის რწმენა – უდიდეს სიყვარულის, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული არ იკარგება და უბრალო მოკვდავებმა კი მხოლოდ ნაწილობრივი სიყვარული ვიცით: „და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება“ (I კორინთელთა, 14510), მაშინ შევიცნობთ სიყვარულს, როგორც სრულყოფილებასა და საკუთარი ზრახვებით თავს. ამ სრულყოფილების შეცნობა კი ჩვენთვის, ამქვეყნიური ზრახვებით დამძიმებულთათვის, შეუცნობელია, და ამიტომ ჩვენი თვალსაწიერი-

სათვის მას შავი ჯანლი ფარავს, რის გამოც ვერ ვხედავთ მთაზე ანთებულ ცეცხლს, ძმობილებსა და ალაზას, „ერთურთის დანდობისას“ რომ ამბობენ. ასეთი სურათი და სიყვარული მხოლოდ გულის ხედვის მქონემ უნდა დაინახოს, ბალღვით სუფთამ და უცოდველმა, რადგან თვითონ ავტორი ამბობს:

„ბალღი რასაცა ვხედავდი,  
იმასვე ვხედავ დღესაცა;  
რაც ადამის დროს ჰქონია,  
ის გულივე აქვს დედასა“.

ეს, რა თქმა უნდა „კაი ყმა“, ის „კაი ყმა“, რომლის გულიც მოყვასის სიყვარულის დამტევია, ცოდვისათვის კარჩაკეტილი და თუ ცხოვრება სიკეთისა და ბედნიერების ნაცვლად ზიზლსა და მტრობას მიაგებს, ჯიხვის რქას მიმართავს, რომ „ნალმა იხილოს ქვეყნის უკუღმა ტრიალი“ („ქეფიფი“). და თანაც, მის სიკეთესა და სიყვარულს მხოლოდ გულის ხედვა უნდა აფასებდეს, რადგან, რუსთაველისა არ იყოს: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზე და ჰკიდი“...

ჩვენი აზრით, შატილელი ხევსური ალუდა ქეთელაური ამ თვალსაზრისით ყველაზე გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული სახეა. მართალია, ვაჟა არც ამ გმირს მოიხსენიებს პირდაპირ „კაი ყმის“ სახელით, მაგრამ პოემის დასაწყისშივე მიგვითითებს მის მიერ ამ თვისებათა უხვად ფლობაზე:

„ალუდა ქეთელაური  
კაცია დავლათიანი,  
საფიხნოს თავში დაჯდების,  
სიტყვა მაუდის გზიანი;  
ბევრს ქისტს მათქრა მარჯვენა,

სცადა ფრანგული ფხიანი.  
ცუდას რად უნდა მტერობა,  
კარგია მუდამ მტრიანი”.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, საზოგადოდ, ავტორისათვის უცხოა თავისი გმირისათვის მსგავსი ეპითეტის ამკარად ბოძება. გამონაკლისს ამ მხრივ გველის ხორცის მჭამელი მინდია წარმოადგენს და ისიც „საკარგემო“ თასს იღებს ხევისბერისაგან. ვაჟა მკითხველს უტოვებს საბოლოო დასკვნის გამოტანას და ერთი რეფრენითოვებს მკითხვის უფლებას: „ვინა, ვინ არის კაი ყმა?“ თან ამავე დროს ისიც იცის, რომ:

„ვერ მანაონებთ კარგ ყმასა,  
რაც არ უჯდება ჭკვაშია“  
(„ქეიფი“)

რამეთუ მის მიერ გამორჩეულნი საკუთარი ტომის რჩეულთაგანი და, საზოგადოდ, ადამის მოდგმის რჩეულნიც არიან თავისი პიროვნული თვისებებით. სწორედ ასეთია ალუდაც და, რა გასაკვირია, თუ პირველი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც მლკლავი არ მოსჭრა მოკლულ მონინაალმდეგეს, როგორც ნამდვილ გმირსა და ვაჟკაცს. მან თვითონვე აღნიშნა:

„ვერ გავიმეტე მუცალი  
მარჯვენის მოსაჭრელადა,  
გული გამიქრა, არა ჰქნა,  
რაც საქნელია ძნელადა:  
დაე დააკლდეს სახელსა  
მე მირჩევნია მრჩევლადა“

დიახ, ქეთელაური პირველია, ვინც ეს დოგმა უარყო, მაგრამ არა ერთადერთი. და ამის ჩვენება ავტორს არ დავინწყებია. პოემაში „ივანე კოტორაშვილის

ამბავი“ ვაჟა ასე ახასიათებინებს ხალხს მთავარ გმირს:

„მას არა ჰქონდა წესადა  
მტრისად მოეჭრა მარჯვენა  
მტერს რო მოკლავდის, იტყო-  
დის:

„ველარა ვჯოჯგინი: მცხვენია,  
მკვდარს რო მარჯვენა მოვაჭრა,  
რა ჭკვაში მოსახდენია!

რა ბიჭობაა, უსულოს  
ლემს კიდევ სისხლი ვადინო...“

მაგრამ ეს ივანე კოტორაშვილია, რომლის „წესი“ ყველამ იცის, ალუდამ კი თავის სიცოცხლეში პირველად უარყო ეს ტრადიცია – მუცალის ძმის მკლავი კი თან მოიტანა! ამიტომ არის გაუგებარი მისი მოძმე „ახალ-უხლებისათვის“. ეს ყოველი. ნუთუ მათ გული, უტყუარი და მართლადმხედი, არ უდევთ საგულეში?

გული კი უდევთ, მაგრამ „ენითა ქარიანითა“ აქარწყლებენ ღვთის სიტყვასა და სიყვარულს, უფროს-უმცროსობის პატივს ივინწყებენ და ლაჩრობაში სდებენ ბრალს ქეთელაურს.

ვაჟკაცს, სხვისთვის რომ მუდამ „გზიანი“ სიტყვა ჰქონდა, სიტყვას არ უჯერებენ და მთელი სოფლის თვალნი ლაფში სვრიან. ამიტომ მიდის მინდია ბრძოლის ველისაკენ და მტრის მოჭრილი მარჯვენით დაბრუნებული მათ ამათრახებს:

„ახლებო, სისხლი გიფუისთ,  
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,  
გულს ათრევიანებთ გონებას,  
თავს აჭრევიანებთ ცულითა...“

თურმე მარტო ღვთიური გულის ქონა არ ყოფილა საქმე, მარტო ის ვერას უშველის კაცს, თუ გონებით გამჭრიახით არ არის

და უფლისაგან ბოძებულ ნიჭს გონების თვალთ არ განსჯის. აი, ეს გონების თვალი ჯერ არა აქვთ სხვებს ახელილი. ალუდა კი საყვედურით ავსებს მეგობარს:

„თუ ხელის მოჭრა მდომიყო, გან ვერ მოვსჭრიდი თავადა? ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ, საქმე მოგირთავ ავადა“.

და აქვე, სულ სხვა რამეს ათქმევინებს მწარე სიზმარგამოვლილი გონება: რა საჭიროა მკლავის მოჭრა? რაში გამოიყენებს მას?

„რაად მინდარის, ვერ მიხმლობს, არ გამოდგება ფარადა; მთაში წავალო, არ მითიბს, არც მარგებს თივის კავადა“.

და სთხოვს, თუ უფალი სწამს, შორს წაიღოს „კაი ყმის“ მარჯვენა, გული ბრალით რომ არ აევსოს.

აქ მე მინდა, ერთ ფრიად მთარულ აზრზე გავამახვილო თქვენი ყურადღება – ეს მკლავის მოკვეთის ტრადიციაა.

„უძველეს ეპოქებში ჩვენ წინაპრებს სჯეროდათ, რომ მათი სააქაო მოწინააღმდეგე, საიქიო ცხოვრებაშიც მოწინააღმდეგედ რჩებოდა. ამავე დროს მათ სწამდათ, რომ სუბი-ექტურად ადამიანი იმავე სახით გადადის საიქიო ცხოვრებაში, რომელიც მას სააქაო ცხოვრებაში ჰქონდა, მოწინააღმდეგე რომ ძალაშესუსტებული, „ნაკლებად ძლიერი“ გადასულიყო საიქიოში, ადამიანები თავიანთ მოწინააღმდეგეს ფიზიკური განადგურების შემდეგ კვეთდნენ

მარჯვენა მკლავს, რათა გაადვილებოდათ მასთან ბრძოლა სამარადჟამო ცხოვრებაში გადასვლის შემდეგ... ალუდამ კი „მუცალს არ აკადრია ზნეობრივი შეურაცხყოფა და მკლავი არ მოჰკვეთა; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მუცალი შეიყვარა მისი ვაჟკაცური დაღუპვის შემდეგ, არამედ ქეთელაურს სურს, რომ სააქაო ბრძოლა – საიქიოშიც გაგრძელდეს და თანასწორ უფლებითა და საშუალებებით“ [5; 109].

მაშინ მე თქვენს წინაშე ვსვამ კითხვას: საიქიოში სად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს „ქურდ-კანტალა ღილღველი“ და ქრისტიანი ხევსური?

ქრისტიანული რელიგიის თანახმად ხომ, ყოველი არაქრისტიანი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ხვდება... ჩვენც იგივე მოგველის საიქიოში სხვა სჯულის ხალხის რწმენით... ვაჟკაცის, ანუ „კაი ყმის“ ადგილი კი ყოველთვის სასუფეველშია... ხოლო თუ ალუდა და მუცალი საიქიოში ერთმანეთს მაინც შეხვდებიან, გამოდის, ქრისტიანული სამოთხე მაჰმადიანურ ჯოჯოხეთს უთანასწოროდება და პირუკუ... ეს ხომ ცხოვრებისეული ლაფსუსია და, უფრო მეტიც, მკრეხელობა! ამას გარდა, დღემდე არსებულ ყველა რელიგიაში სასუფეველი ის „აღთქმული ქვეყანაა“, სადაც მხოლოდ მადლსა აქვს გასაქანი – იქ არავითარ დაპირისპირებას და მით უმეტეს, ბრძოლას არა აქვს ადგილი. მაშ, გამოდის, ლიტერატურულ კრიტიკაში ათეული წლებით დამკვიდრებული აზრი მცდარია და უკუსაგდები!



მაშინ რა როდენობასთან გვაქვს საქმე?

მკლავის მოკვეთის ტრადიცია წარმართობის დროინდელია, ქისტეთი და მთელი ჩრდილოკავკასია (ჩვენთვის ცნობილი „ხაზარეთი“) 1312 წლამდე, სანამ მონგოლთა ურდოში მუსულმანიზმი ცეცხლითა და მახვილით ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდებოდა, ისეთივე აღმსარებლობისა იყო, როგორც საქართველო – ჯერ წარმართობის, მერე ქრისტიანობის... გამოდის, ალუდა წინ აღუდგა ქრისტიანულ თემში მოქმედ წარმართულ გადმონაშთს და ისევ უფლის მცნებით შთაგონებული: „შეიყვარე მტერი შენი, ვითარცა თავი შენი!”

მაგრამ იქნებ ალუდა არ არის ქრისტიანი?!

არც ეს არის მართალი, რადგან მის ყოველ ქმედებაში კარგად ჩანს ქეთელაურის კონფესიური კუთვნილების საკითხი. თვით ხევისბერი ხომ პირდაპირ ეუბნება:

„გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა“.

მას სწორედ ქრისტიანული მორალი არ აძლევს უფლებას, მკლავი მოჰკვეთოს მონინაალმდეგეს; „იტყოდა, ცოდვა არიო“. სწორედ ეს მორალია, კაციჭამიობად რომ აღაქმევინებს ამ ტრადიციას და სიზმარში ადამის ძის თმა-წვერით შეზავებულ წვნიანს სთავაზობს. აქაც დავაკვირდეთ!

ალუდა თვითონ არ ჭამს კაცის ხორცს, მისი მოძმეები მიერთმევენ, თვითონ მხოლოდ წვნიანი უდგა ჯამით, რადგან უკვე სამუდამოდ უარყო მკლავ-

ის მოკვეთის ტრადიცია: „მტერს მოკვლავ, კიდეც არ მოვჭრი მარჯვენას“, თუმცა, ჯერ მხოლოდ „მაგათ ჯაბრითაა“ ეს გადანყვეტილება... მაგრამ ქვეშეცნულად მას უკვე გააზრებული აქვს, რომ მარტო ჩვენ არა „ცცხონდებით“ და მარტო ჩვენ არა „გვზრდიან დედანი“, მტერიც ჩვეულებრივი ადამიანია და ამქვეყნიური ცოდვა-მადლი კი „ღვთის შვილთ უკეთესი იციან“, ამიტომ დაიტირა ძმასავით, თუმცა „ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“.

რჩებაკიდეც ერთი საკითხი – ალუდას მიერ „მოუნალავი“ გმირისადმი საკლავის შეწირვა. იყო თუ არა ამის ტრადიცია? ბატონ დიმიტრი ბენაშვილს თავის წიგნში „ვაჟა-ფშაველა“ ჩართული აქვს დიმიტრი ლუდუშაურისაგან ჩაწერილი თქმულება მთაში განთქმულ ბენიკაზე, რომელიც თურმე ყველა მოკლულ მტერს უკლავდა საკლავს – კურატს. „ერთხელ დიდ ბრძოლაში იმდენი მტერი მოჰკლა, რომ სათვალავი აერია და ერთი მოკლულის საღმრთო დავინწყებოდა. როცა ბენიკა ბრძოლაში მოჰკლეს, შავეთში თურმე ის მოკლული შემოეყარა, რომელიც სათვალავში გამორჩა. როცა მათ შორის ბრძოლა გაიმართა შავეთში, მონინაალმდეგემ წამოაყვედრა: ღმერთი გამწყრალია შენზე, ბენიკა, საღმრთო-საკლავი არ შესწირე ჩემს სულს და ღვთით დადგენილი მეომრის წესი დაარღვიე. თანახმად პირობისა, ღმერთის კანონის დამრღვევი ფარს ველარ ატარებს ბრძოლაში“. უფარო ბენიკა დამარცხდა და ყმად

გაუხდა მანამ, სანამ თვისტომე-ბმა საკლავი არ დაუკლეს მტრის სულს. მერე მათ შორის ხელახალი ბრძოლა მომხდარა და ბენიკას გაუმარჯვია. [5; 116]

მინდა, კიდევ ერთ რამეზე გავამახვილო თქვენი ყურადღება: ბრძოლა „შავეთში“ ხდება და არა „სულეთში“, ანუ სამოთხეში. რა არის ეს? დანტეს მიერ აღწერილ 9 სკენელთან ხომ არ გვაქვს საქმე? – ამის ახსნა ეთნოგრაფებისათვის მიგვიჩნია, ხოლო ჩვენ ვაჟას მიერ ალუდას საქციელის ახსნას დავუბრუნდეთ.

ვფიქრობთ, ალუდას სწორედ ქრისტიანული მორალი აიძულელებ შეიყვაროს თავისი მტერი და საკლავი დაუკლას და არა ეს ძველი ტრადიცია, რამეთუ ვაჟა-ფშაველას, როგორც ქრისტიან ავტორს, მხოლოდ ასეთი თვალთახედვით შეეძლო დაენახა თავისი გმირი, ვაჟკაცი, უტეხი და არა შესაბრალისი. ხოლო თუ ქეთელაურისა და ჯოყოლას მოძმეები ჯერ ამას ვერ აღიქვამენ (თუმცა, თვალთახედავენ და, გარკვეულწილად, აფასებენ კიდევ „კარგი ვაჟკაცი ყოფილა“...), ეს ჯერ კიდევ იმის ბრალია, რომ სიყვარულის დამტევ გულთან ერთად გონების თვალი არ გახსნიათ!

და მეც ვაჟას სიტყვებით დავამთავრებ მისი ერთი ბოლოდროინდელი წერილიდან: „ღმერთმა ჰქნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს; მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს; დღევანდელ დღეს კი ისევ სიბრალული გვასულმდგმულელებს, რადგან შესაბრალებსა და შესაწყალებს ბევრსა ვხედავთ“.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II ტფ. 1912;
2. კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თსუ 1962;
3. გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, მერანი, თბ. 1988;
4. აკ. ბაქრაძე, მითოლოგიური ენგადი, განათლება, თბ. 1989;
5. დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, საბჭოთა საქართველო, თბ. 1989;
6. ივ. გომართელი, კრებულში ვაჟა-ფშაველა ქართული ლიტერატურის კრიტიკაში, თბ. 1955;
7. ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, ნაკადული, თბილისი 1982;
8. მის. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი 1953;
9. გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ. 1984;
10. მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, III, თბ. 1961;
11. ა. ჟორდანიას, როცა პოეზიაზე ფიქრობ, მერანი, თბ. 1977;
12. გერ. ქიქოძე, შესავალი წერილი ვაჟა-ფშაველას რჩეული ნაწერების, ტფილისი 1936;
13. გერ. ქიქოძე, წერილები ხელოვნებაზე, ტფ. 1936წ;
14. თ. შარაბიძე, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ქრისტიანული არსის გაგებისათვის, გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ №5 1995;
15. თ. ჩხენკელი, პოეზია სიბრძნის დარგი, თბ. 1978.

**ნონა ახალაია**

**ქ. მარნეული,**

**№6 საჯარო სკოლის**

**ქართული ენისა და**

**ლიტერატურის პედაგოგი**

# კლასკომპლექსური მუშაოს გაეოსდილაიდან

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მცირე კონტიგენტის სკოლებში დასაშვებია კლასკომპლექტების შექმნა. კლასკომპლექტი არის ერთ კლასში გაერთიანებული სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები. უფრო ხშირად კლასკომპლექტებს ქმნიან I-III და II-IV კლასის მოსწავლეთა კომბინაციით. კლასკომპლექტში სწავლება ბევრ პროფესიონალ მასწავლებელსაც კი ვერ წარმოუდგენია, მაგრამ ამ ფენომენს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მართლაც სპეციფიურია, რთულია, ახლავს ბევრი უარყოფითი, მაგრამ დადებითი მხარეებიც გააჩნია. აშშ-სა და კანადაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ბავშვებს, რომლებიც კლასკომპლექტში სწავლობენ, უკეთ აქვთ განვითარებული სოციალური, საკომუნიკაციო, ურთიერთდახმარებისა და თანაშრომლობის, მიმბაძველობის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარები. იგი მეტად იძლევა ინდივიდუალური მიდგომების, თბილი და უშუალო ურთიერთობების შესაძლებლობებს. მიუხედავად ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკისა და გამოცდილებისა, ვთვლი, რომ კლასკომპლექტის სპეციფიკას, საგაკვეთილო პროცესს ხშირად გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი სირთულეები ახლავს, არ არსებობს რაიმე რეკომენდაციები, ტრენინგები, ძალიან ზოგადი და მწირია თეორიული მასალაც. ამიტომ ყველაფერი მასწავლებლის პროფესიონალიზმზე, მის ფანტაზიის უნარზეა დამოკიდებული და დიდი ძალისხმევას საჭირო სასურველი შედეგის მისაღწევად. მთავარი და მნიშვნელოვანია მორგებული და მოხერხებული წლიური სასწავლო გეგმის შექმნა, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, თითოეული საკვეთილის ისე დაგეგმვა, რომ ყოველი აქტივობა საინტერესო და სახალისო იყოს მოსწავლეთათვის, ინვესტეს მათ მოტივაციას და ყურადღების მობილიზებას, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული საკვეთილის ორგანიზაციული მხარე, არ დაირღვეს სწავლა-სწავლების პროცესი. რადგან ამგვარი კლასის მართვის, ორგანიზებისა და მეთოდების შერჩევის უნივერსალური ფორმა არ არსებობს, ამიტომაც ვთვლი, რომ შედეგი სწორედ ჩემს პასუხისმგებლობაზე და შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული. ხშირად ვცდილობ საკვეთილისთვის მსგავსი თემები შევარჩიო, როცა უმცროსები ახალ ინფორმაციას იღებენ, უფროსები ნასწავლს იხსენებენ, პატარებს ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში. ამდროს ისინი სოციალურ უნარებსაც ივითარებენ და ცოდნასაც განიმტკიცებენ. ყველაზე ხშირად დამოუკიდებელი სავარჯიშოების მეთოდს ვიყენებ. მკაფიო, ზუსტი, ადვილად გასაგები, შესაბამისი ნიმუშებით მიცემული ინსტრუქცია ინვესტეს მათ, ყურადღების კონცენტრაციას და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარებას. ყოველთვის მჭირდება და მაქვს დამატებითი, სარეზერ-

ვო სავარჯიშოები. გაკვეთილის შესავალი და დასკვნითი ნაწილი აუცილებელია გამთლიანებული იყოს.

გთავაზობთ ერთი გაკვეთილის ნიმუშს

კლასკომპლექტში ორი კლასია გაერთიანებული II -(3 გოგონა)და IV -(2 ვაჟი)

	II კლასი	IVკლასი
გაკვეთილის თემა	ილ. ჭავჭავაძის „ჩიტი“	შ. ნიშნიანიძის „ბალახი“
გაკვეთილის მიზანი	ექსკურსიის შთაბეჭდილებები დაუკავშირონ ახალი მასალის შინაარსს და იმსჯელონ და დაახასიათონ გაზაფხული	
აქტივობა 1.	ნახავენ ექსკურსიის“გაზაფხულის ერთი დღე ბუნებაში“ ვიდეო და ფოტო მასალას და გადმოსცემენ შთაბეჭდილებებს	
აქტივობა 2.	კითხულობენ ტექსტს და აკეთებენ ანალიზს <b>მასწავლებელთან ერთად</b>	ტექსტისა და სათაურის მიხედვით მსჯელობენ სავარაუდო შინაარსის შესახებ- <b>წყვილებში</b>
აქტივობა 3.	მსჯელობენ ტექსტის შინაარსი გადმოსცენ მოთხრობის სახით- <b>ჯგუფურად</b>	კითხულობენ ტექსტს და აანალიზებენ <b>მასწავლებელთან ერთად</b>
აქტივობა 4.	ტექსტების შინაარს უკავშირებენ ექსკურსიის შთაბეჭდილებებს, ასახელებენ გაზაფხულის მახასიათებელ ნიშნებს, მსჯელობენ და ახასიათებენ გაზაფხულს	
აქტივობა 5.	ნანახს, მოსმენილსა და ნააზრევს გადმოსცემენ ნახატით	
აქტივობა 6.	კითხვა-პასუხითა და ნახატების დათვალიერებით აჯამებენ გაკვეთილს აფასებენ ერთმანეთს.	
აქტივობა 7.	დავალეზა: დაწერონ თხზულება „მშვენიერი გაზაფხული“	

მინდა მოვუწოდო კლასკომპლექტის ყველა მასწავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიძნელეების გადალახვა, ასეთი რთული გზების გავლა გვიხდება, მუდამ უნდა ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას მოსწავლის წინაშე, რომლის გარეშე არ იქნება სკოლა, პასუხისმგებლობა სკოლის წინაშე, რომლის გარეშე ვერ იქნება სოფელი და პასუხისმგებლობა სოფლის წინაშე, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს ჩვენი ქვეყანა. პირადად ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დევიზიც ეს იყო: „სოფელი არსებობს მანამ, სანამ არსებობს სკოლა“

**ნუნუ ანდლულაძე**  
ქ. ჩოხატაური,  
წიფნარის საჯარო სკოლის პედაგოგი

# პქოლზ მამულის დანსაჟაღ

ირემს რად უყვარს მთის წყარო,  
ვაჟკაცს ნალესი ხმალია  
რად მიყვარს ჩემი სამშობლო  
განა ეს საკითხავია?

სამშობლოს, ერის პატრიტე-  
ბი, მათი სახელი და ბედნიერება  
სკოლაში იჭედება.

იმისათვის რომ სწორად წარ-  
ვმართო ბაშვის სიკეთე და უძ-  
ლეველობა, მწამს, გაცილებით  
ადვილია, ბავშვი მივაჩვიოთ სი-  
კეთეს, ჩავუნეგო ადამიანური  
გრძნობები, მშობლიური კუთ-  
ხის, ქვეყნისა და ხალხისა და  
სიყვარული. განუვითარო გამ-  
ბედაობისა და სიამაყის  
გრძნობა. არა აქვს მნიშვნელო-  
ბა იმას, რა დარგის სპეცია-  
ლისტს გამოვზრდი. მთავარია,  
იგი იყოს სხელოვანი მოქალ-  
ლაქე. სამშობლოსა და ხალხის  
კეთილდღეობისათვის მებრძო-  
ლი. მოსწავლეებს რომ გაულ-  
ვივო სამშობლოს სიყვარულის  
გრძნობა, ამისათვის მოხერხ-  
ებულად გამოვიყენე როგორც  
სკოლის, ასევე კლასგარეშე  
ლიტერატურა, პირადი განც-  
და სამშობლოსადმი. ვასწავლე  
ლექსი:

მუდამ სახემცინარე შენით  
მომიღხენია,

1) „ეს მთა, ეს ცა, მდინარე,  
ვისია?!

– ვისია და ჩემია!..

აგრემც გეთაყვანები,  
ბიჭო წამწამთფრენია,  
ეს ბიბინა ყანები, ვისია?

– ვისია და ჩემია!..

შენი გული ღირსია,  
არ შეგვხედო ცრემლიანს,  
მტრებს რომ გადარჩენია

ეს ცხოვრება ვისია?!

– ვისია და ჩემია!..

ბიჭო ბიჭო სისხლიანს  
მტრებს რომ გადარჩენია,

საქართველო ვისია

– ვისია და ჩვენია!..“

„ხარს ვგეგვარ ნაიალალარს,  
რქით მიწასა

ვჩხვერ, ვბუბუნებ,  
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

საწყალს საწყლობა

რომ მესმის

იმათ ვარამზე ვწუნუნებ“.

ჩვენი სამშობლო ის ადგი-  
ლია, სადაც დავიბადეთ და  
გავიზარდეთ, სადაც ცხოვრო-  
ბენ ბებიები და ბაბუები, ჩვენი  
ნათესავები, იმათი მამა-პაპანი,  
სამშობლოს მიწა-წყალი წინა-  
პართა სისხლით არის გაჟღენ-  
თილი, მათ ძვლებს სამშობლო  
უძველესი დროიდან ინახავს.  
ადამიანს სამშობლო ერთი აქვს  
როგორც ერთი ჰყავს დედა-  
ამბობს რაფიელ ერისთავი.

„სამშობლო დედის ძუძუი

არ გაიცვლების სხვაზედა,

ორივ ტკბილია ძმობილო

მირჩვენის ორთავ თვალზედა.

როგორც უფალი, სამშობლოც

ერთია ქვეყანაზედა.“

სამშობლოს მოსიყვარულე  
ადამიანი ყოველთვის ძლიერია,  
სულითაც და ხორცილთაც ასეთ  
ადამიანს პატრიოტი ჰქვია.

პატრიოტიზმის გრძნობა, სათავეს იღებს ოჯახიდან, დედის სიყვარულიდან, დედა, დედაენა, დედაქალაქი, დედაბოძი, დედასამშობლო, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული, სადაც დაიბადა და გაიზარდა. სამშობლო დედით იწყება. ამ მიზნით მოვანყობ ექვსკურსიებს. ბუნებაზე დაკვირვების მიზნით ვიყენებ საგანგებოდ შერჩეულ თვალწარმტაც ადგილებს, მაგალითად: წყალსაქაჩი სოფლის ბოლოში, საბაგირო ხულოში, ზღვისპირა პარკი ბათუმში, ბავშვებს ბუნებაში მაშინ წავიყვან, როცა ყვავილები იფეთქებს, როცა ბავშვი ერთ ყვავილს მონყევტს, მეორეს მონყევტს, მინდორი გაშიშვლდება, მაშინ დავაკვირვებ და ვეუბნები: ჩვენი საქართველო აქ არის. აბა, ნახეთ ახლა, თუ მოგნონთ? რა თქმა უნდა, არა. ამიტომ ასი უნდა დარგო და გაზარდო. ერთი მოსწყვიტო. დავაკვირვებ ფრინველების გადაფრენას, რა მოაქვთ მათ ბუნებაში და რატომ ბრუნდებიან ისინი თბილი ქვეყნებიდან ჩვენთან? იმიტომ, რომ მათ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ამოძრავებთ. ვაკვირდები ფუტკრის შრომას და მისი მომვლელის გარჯას, რითაც ვასწავლი მამა-პაპათა ნაამაგარის დაფასებას, რომლებმაც სამშობლოს კეთილდღეობის ბრძოლას შეაღიეს სიცოცხლე. ვსვამ კითხვებს: ვინ არის ყველაზე საუკეთესო, ლამაზი და ჭკვიანი? ყველაზე საუკეთესო, ლამაზი და ჭკვიანი არის ის, ვისაც მეგობრები, სამშობლო უყვარს და დედიკოს დაუფერებს.

„ამას გევედრები, მაცხოვარო ლოცვა შეისმინე ჩემი, ისე ამიყვავე საქართველო, ნუ მომიმძლავრდება მტერი.“

ჩემი მიზანია გავუღვივო სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მზადყოფნა მამულის დასაცავად. გამოამუღვენოს მისი განცდა სამშობლოს სიყვარულზე სად, როდის ხდება მოქმედება. და დაამტკიცოს სამშობლოს სიყვარული.

„დედა სამშობლო რა კარგი, და რა საოცრად ტკბილია, მტკვარია, ალაზანია,

ალავერდია, გელათი, ჩემი ბაღჩა და ზვარია, ნისქვილი სარეკელათი. ოქრომკერდულით ნაქარგი ეს ქალა, ის მთა ქოჩორა, ჩუხჩუხა წყაროს რაკრაკი, ჩემი ბროლა და ბოჩოლა. მამაა უსაყვარლესი,

დედა ენა და თვით დედა ტოლ მეგობრების ალერსი, და-ძმა, პაპა და დიდედა შოთაა, ვაჟაა, აკაკი, სულხან-საბა და ილია,

დედა-სამშობლო რა კარგი და რა საოცრად ტკბილია!.“

სამშობლოს სიყვარულს, მშრომელი ერის სიყვარულს იავნანასთან ერთად უღვივებს და უმღერის ქართველი დედა თავის შვილს. სამშობლოს სიყვარულს გვიღრმავებს და გვიძლიერებს ყოველი ქართული სიტყვა, აფერადებული მთები და ველები. ჩვენი სამშობლოს სიყვარულის გამოხატვა ისაა, კარგად იცოდე მშობლიური ენა და ლიტერატურა. ისტორია, გეოგრაფია, ხელს უწყობდე ერის აყვავებას.

ჩვენი სამშობლო სამასი წელი თურქთა ბატონობის უღელქვეშ

იყო, მაგრამ ჩვენი წინაპრები არ თრთოდნენ, ქედს არ იხრიდნენ და მოელოდნენ ისეთი შუქის ამობრწყინებას, რომელიც გულში ჩასწვდებოდა, კერას გაათბობდა, შვებას მისცემდა, აქაური მთებივით შეუდრეკელი მამულიშვილებით. აჭარელი კაცი თავისი სამშობლოს დედაქალაქს სამას წელიწადს დაშორებული იყო, როცა ფრიდონ ხალვაში თბილისში ჩავიდა, იგი თავისთავს სტუმრად არ თვლიდა, იგი ეუბნება: „თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,

სიყვარულივით ვიდექ მდუმარი, მე უნდა ვიყო შენი პოეტი მე არ ვიქნები შენი სტუმარი. მე მარადისში დამრჩა მარჯვენა, ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული და შენი სიტყვის გადასარჩენად ილენებოდა ჩემი სხეული, გამომივლია ჭირი ყოველი ლიმილიც ვიცი,, დარდის მოთმენაც მე ჭოროხს გაღმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა.“

როცა ფრიდონ ხალვაში თურქეთში ჩავიდა, იქ მცხოვრები ქართველები ეუბნებოდნენ „ჩვენ საქართველოდან ჩამოსულ მთავრობის ხალხს ვეხვეოდით, რადგან მათ საქართველოს სუნი ასდიოდათ, ახლა კი ქართველს ვეხვევითო.“ ეხვეოდნენ, სუნავდნენ და ეკითხებოდნენ:

„მითხარ, როგორ არის მემლექეთი, ჩემი საყვარელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონეთ გული დაკოდილი გავამთელო.“

იგი თურქეთიდან დაბრუნებას ასე აღწერს:

„და იმ ადგილას პალმის ხე იდგა, მოხრილი, როგორც მამიდაჩემი“.

**ფრიდონ ხალვაში**

საქართველოს მტრის არაერთი შემოსევა მოუგერებია შაჰ-აბასის, არაბების, თურქების.

„კინტრიში თურმე შეღებილა თურქების სისხლით,

ბევრი ქართველი დაცემულა სიცოცხლის ღირსი,

ნათაბიარი გადაუნვაკს დანთებულ ხანძარს.

ხინოს მთებს ტანზე გადაუცვამთ ღრუბლების ძაძა

და ათი წელი ხეობაში ნადირის გარდა

ჩაკვდა ხალხი და მზეც არსით ჩანდა.

ლამით მდინარეს აბოდებდა იმ ომის შიშით

და კისრისტეხით აწყდებოდა კლდეს, როგორც გიჟი.“

**ჯემალ ქათამაძე.**

„აჭარაში ქვა რომ გადაგორდება, იქ, კლარჯეთში კანკალებენ ტაძრები.“

**მამია ვარშანიძე.**

საქართველოს სიყვარულით იტანჯებიან უცხოეთში მყოფი ქართველები.

„მენატრები ჩემო ხულო, ჩემო მიწავ ჭირნახულო, თეთრ სიზმარში დანახულო, იქნებ ველარც გინახულო; ვეფერები სხალთას, თაგოს; მანდ დარჩენა მიქადაგოს, მშობელ მიწამ წამლად მარგოს, უცხოეთში არ დამკარგოს. ფიქრის მთებით გადავსერავ ნიგაზეულს, სარიჩაირს, ვკოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს მრავალნაირს. სტანბულს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი ბინდი აკრავს, გულით როდი მელირსება ამდენი ხნით ნაღველ ნაკრალს...“

სამოცდაათს მივალნიე,  
შენთან ყოფნა გულით მნადის,  
შენს ნატვრაში გავათიე  
შვიდჯერ ათი წელიწადი...  
რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის  
სანთლად ჩამომღვენტო,  
ხულოს ზეცა გადამხურო,  
ხულოს მინა წამახურო,  
რომ მშობლიურ აჭარაში ჩემი  
სული სანთლად ენთოს...  
დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის  
კალთაზე დახატულო,  
ჩემთვის ტაძრად შენახულო,  
მენატრები ჩემო ხულო,  
თეთრ სიზმრებში დანახულო, ჩემი  
სულის გაზაფხულო“

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“**

2001 წელი №25 22-28-ივნი-  
სი, გვერდი 14-15, დუდი ხანუმი.  
კინოფილმი: „ჯარისკაცის  
მამა“, „ბაში-აჩუკი“, „ფესვები“.

საფრანგეთში მცხოვრები ბა-  
ბუა შვილიშვილს სიკვდილის  
წინ ეუბნება:“ ხის სიმაღლე ფეს-  
ვებიდან იწყება შვილო, შენი  
ფესვები საქართველოშია და ამ  
ფესვებს გაფრთხილება უნდა.“  
– ამას სამშობლოს სიყვარული  
ალაპარაკებდა. სელიმ ხიმშიაშ-  
ვილს თავი მოჰკვეთეს სამშობ-  
ლოს სიყვარულის გამო.

„აქ ალყას გლეჯდა სელიმი,  
მაგრამ ლალატმა გაყიდა  
და სასიკვდილოდ მიმავალს  
არ უთქვამს, ყოფნა არ ღირდა.  
სოფელში ბაკი-ბაკოში  
თავი მოჰკვეთეს გაკოჭილს.“

სამშობლოს სიყვარულით გუ-  
ლანთებულები პატრიოტი ეუბ-  
ნება:“ მე თავს მჭრით, მაგრამ  
აჭარა სამუდამოდ ოსმალს არ  
შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს  
შვილებს დავუტოვებ.“

**სელიმ ხიმშიაშვილი.**

არანაკლები ბრძოლა გაუნე-  
ვია ჟიული შარტავას, მერაბ კო-  
სტავას, ზაზა დამენიას, ზვიად  
გამსახურდიას, ემზარ ჭელიძეს,  
ექიმი, რომელმაც სამშობლოსა  
და ხალხის გამო დასდო თავი  
2008 წლის აგვისტოს.

ჩემთვის სამშობლო დედის  
იავნანიდან იწყება, თუ სამ-  
შობლოსთვის სიკვდილი მიწე-  
რია, ვისურვებდი მოვმკდარი-  
ყავი ისე, როგორც მოკვდნენ  
გმირები, რათა ჩემი სიკვდილით  
მოვუნოდო სამშობლოსათვის,  
ბროლისათვის.

„თუ მტერმა დამცეს ხმალ-  
გაბასრულმა,  
დარდს ნუ მოიხვევთ ზღაპ-  
რულ გუნდებად,

რა ვუყოთ. ომში ბევრი წასულან,  
მაგრამ ყველა ხომ არ დაბ-  
რუნდება.“

ჩემთვის სამშობლო არამატო  
მშობლიური მხარეა, არამედ,  
ჩემი გულია, ჩემი ზრუნვაა,  
დაბადებიდანვე ჩემს ძარღვებ-  
ში როგორც სისხლი მოედინ-  
ება, ისე მოედინება საქართვე-  
ლოს სიყვარული. ლახვარივით  
მესობა, რომ ვიგებ, საქართვე-  
ლოს უჭირს, საქართველოც ხომ  
ცოცხალია, სამშობლოსაც, რო-  
გორც ადამიანს, მოფერება  
სჭირდება;

„შენ ჩემო ერთადერთო  
შენ ჩემო სანატრელო  
სადაც არ უნდა ვიყო  
შენთან ვარ საქართველო“

სამშობლოვ, ჩემო – ტკივილო  
ჩემო... ტკივილი, მეთქი – ვამ-  
ბობ, რადგან სამშობლო მტკი-  
ვა, სულით ხორცამდე, ო, გული  
მტკივა, მძრავს და მარყევს, მთ-  
ლად მაზანზარებს, ვითარ მშო-  
ბელი, ვითარ დედა მარადიული.



სამშობლო ჩემი ტკივილია უზარმაზარი, გაჯერებული სევდით, დარდით, შემოღამებით, სხივჩამდგარიც – ზეციური გამოათებით.

სამშობლო ჩემი მიწა-წყალია, ჭირნახული, დანთქმული და მკვდრეთით აღმდგარი...

ვინ დაივინყებს იმ გმირებს, ვინც პირველად შემოიტანა ქართული დამწერლობა აჭარაში, პირველი ქართული სკოლის დირექტორი იყო გრიგოლ ვოლსკი.

ილიაჭავჭავაძემ და მემედ აბაშიძემ 1871წელს გახსნეს აჭარაში ქართული სკოლები. სხალთაში წერა-კითხვას ას-

წავლიდა დუდი ხანუმი. 1978 წელს კრემლში მიიღეს გადაწყვეტილება, გაეუქმებინათ ქართული ენა, მაგრამ სტუდენტთა ტალღა გამოვიდა დედაენის დასაცავად არამარტო საქართველოში, არამედ, რუსეთშიც მყოფი ქართველი სტუდენტობაც, რითაც შეინარჩუნეს ქართული ენა. „აქ ზეობს ენა, ენა ქართული, სამშობლოვ ჩემო, განცდავ ჩემო... ო!“ როგორ, როგორ მტკივა სისხლიანი აპრილი ჩვენი.

**ეთერი აბულაძე**

**ქ. ხულო, ტუნაძეების  
საჯარო სკოლის პედაგოგი**

„სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვაღინოთ.“

**ილია ჭავჭავაძე**

# ილია ჭავჭავაძის განდევნის სწავლეა (შემაჯავებელი გაკვეთილი)

ერის უგვირგვინო მეფის, ერის მოძღვართმოდვრის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი უკვდავი შემოქმედება, მხატვრული ქმნილებები საუკეთესო საშუალებაა მამულის, მოყვა-სისა და უფლის სიყვარულით გამსჭვალული, გულმხურვალე პატრიოტების აღზრდისათვის. მოვუსმინოთ დიდ იაკობს: „იქნება არც ერთა მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის.“ „ყველა მის უკვდავ ქმნილებაში, – განაგრძობს იაკობი, – გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა მადლისა, სიყვარულისა, და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვა-კაზმულობით.“ სწორედ, აღნიშნულის გათვალისწინებით წარიმართა ილია ჭავჭავაძის „განდევნის“ შემაჯავებელი გაკვეთილი მე-11 კლასში.

საკლასო ოთახში გამოფენილია ილიასა და ილიასადმი მიძღვნილი წიგნები, კრებულები, მისი მხატვრული ქმნილებები, მოსწავლეთა მიერ მომზადებული ალბომი თემაზე: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. დაფაზე წერია ილიას გამონათქვამები, რომლებიც ეფექტური, მიზანმიმართულია და შეესაბამება გაკვეთილის თემას: „იცოდე ჟამი, რას ითხოვს და აკეთო ის, რისი შემძლებელიც ხარ“, „ყველა კაცმა რომ იგი საქმე ქმნას, რისი შემძლებელიც არის, ქვეყანაზე უბედურნი აღარ იქნებიან“, „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი.“ „სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის.“ „ქვეყანა ტაძარი კი არაა, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა მუშაობდეს და ირჯებოდეს“

**ილია ჭავჭავაძე**

ილიას სამყაროში შესასვლელად, ამ სამყაროში მოსწავლეთა მოგზაურობისმიზნით, ერთ-ერთი მოსწავლე გაკვეთილის მიმდინარეობის პარალელურად პროექტორით აჩვენებს მოსწავლეებთან ერთად შექმნილ სლაიდს თემაზე „ილია ჭავჭავაძის „განდევნილი“, სადაც მოცემულია ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები.

მოსწავლეებელი აცნობს გაკვეთილის მიზანს – განუვითაროს მოსწავლეს შემოქმედებითი, ანალიტიკური აზროვნება, თანამშრომლობის, აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების, დასკვნების გაკეთების უნარები და მიმართავს კლასს:

„ჩვენ დღეს ვისაუბრებთ საყოველთაო პრობლემაზე სულისა და ხორცის ჭიდილის შესახებ ადამიანში ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მიხედვით, ვიმსჯელებთ ადამიანის დანიშნულებაზე საზოგადოებაში, შევუპირისპირებთ ერთმანეთს ორ თვალსაზრისს: საქვეყნო საქმისათვის მოქმედებასა და ქვეყნისაგან განდგომას, შევაფასებთ პერსონაჟთა ქცევებს, წარმოვადგენთ არგუმენტირებულ მსჯელობას ამ საკითხის შესახებ, გავაკეთებთ დასკვნებს, გავავლებთ ლიტერატურულ პარალელს ემილ ზოლასა და ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებთან, აგრეთვე, გეორგ ებერსის ილიასეულ თარგმანთან „რამეთუ კაცი ვარ“. აგრეთვე, ამოვიცნობთ ტექსტში იმ მხატვრულ საშუალებებს, რომლებსაც იყენებს მწერალი თხრობისას.

თქვენი პასუხი შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად კარგად იცით და გააზრებული გაქვთ ტექსტი, რამდენად დამაჯერებელი იქნება თქვენი არგუმენტები მსჯელობისას და რამდენად მოახერხებთ მხატვრული საშუალებების არა მარტო მოძებნას ტექსტში, არამედ იმის ახსნასაც, რა დანიშნულებით იყენებს მათ ავტორი.

შემდეგ, გახსენების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც მათი მონაწილეობითაა შედგენილი.

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით გაიხსენებენ ილიას ბიოგრაფიული ცნობებს.

- რა იცით ილიას ბიოგრაფიიდან?
- რომელ ჟანრს მიეკუთვნება ილია ჭავჭავაძის განდეგილი?
- რა არის პოემა?

მოსწავლეები პასუხობენ, რომ პოემა ლექსად დაწერილი, მრავალი თავისაგან შემდგარი ეპიკური, ან ლირიკული ხასიათის ნაწარმოებია.

- რა იცით ნაწარმოების შექმნისა და სათაურის შესახებ?

მოსწავლეები ასახელებენ გრ. ყიფშიძის სტატიას „მოგონებანი“, სადაც საუბარია „განდეგილის“ სათაურის ცვლილების შესახებ (მეუდაბნოე – ბეთლემი – განდეგილი).

- რას მიიჩნევენ პოემის შექმნის პირველწყაროდ?

მოსწავლეებმა დაასახელეს გ. ყიფშიძისა და ს. ხუნდაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ განდეგილის ლიტერატურულ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ გერმანელი ეგვიპტოლოგისა და რომანისტის გეორგ ებერსის ნაწარმოები „HOMO SUM“, რომლის გავლენითაც შეიქმნა ილიასეული თარგმანი „რამეთუ კაცი ვარ“. ამ ნაწარმოებებს საერთო აქვთ არა მხოლოდ ენა, არამედ ძირითადი იდეა და საერთოა ამ ნაწარმოებთა გმირების ფსიქოლოგიური პორტრეტები.

შემდეგ, გეგმის მიხედვით, რამდენიმე მოსწავლე გადმოსცემს „განდეგილის“ მოკლე შინაარსს.

- გთავაზობთ მოსწავლეების მიერ შედგენილ პოემის გეგმას.

გეგმა:

1. ბეთლემის მონასტერი (I-II)
2. მეუდაბნოე (III – IV)
3. „არ იყო ხნიერ“ (V-VI)
4. მწირის ვედრება ხატისადმი (VII-VIII)
5. „თუ ხარ ძე კაცის, ცოდვას გარეთ დაგტოვო ამ დროს“ (IX-X).
6. სტუმარი (XI)
7. მწყემსი ქალის პორტრეტი (XII-XIII)
8. „მოდით გულს უთხარ, კარგ სანახავზე ნუ ხარო ხარბი“ (XIV-XV)
9. „დავლუბე ცხვარი, მე მამის ურჩმა“ (XVI-XVII)
10. „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“ (XVIII-XIX)
11. „ხსნა ყველგან არის“... (XX-XXI)
12. სულისა და ხორცის ბრძოლა (XXII-XXIII-XXIV-XXV)
13. შიში, სიკვდილი (XXVI,XXVII,XXVIII)

კითხვა-პასუხის მეთოდით ვახდენთ ტექსტის ანალიზს.

– ვის მიუძღვნა ილიამ განდეგილი?

– სად მდებარეობს ბეთლემის მონასტერი პოემის მიხედვით? (მყინვარზე).

– რა მოხდა ოდესღაც იერუსალიმის მახლობლად? (ქრისტე იშვა).

– გაიხსენეთ რა მხატვრული ფუნქციით გვხვდება მყინვარი ილიას შემოქმედებაში?

– რატომ აირჩია მყინვარი მოქმედების ადგილად მწერალმა ამ ნაწარმოებში? რაიმე სიმბოლური დატვირთვა ხომ არ აქვს ამას?

– რას გეუბნებათ სახარებისეული ტოპონიმი „ბეთლემი“?

ყურადღება გამახვილდება ბეთლემის სიმბოლურ მნიშვნელობაზე. გაიმართება „დაცარიელებული ბეთლემის“ შესახებ მსჯელობა.

– რატომ წავიდა მეუდაბნოე ტაძარში?

– რატომ მიაჩნია განდეგილს სააქაო ცოდვის სადგურად?

მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გაცემასთან ერთად ტექსტიდან მოაქვთ შემდეგი არგუმენტები:

1. მზაკვრობა, ფლიდობა, ცდუნებაა გამეფებული „განუდევნია გულიდამ ყველა...“

2. „სულით განწმენდილ და განბანილი“ უნდა წავიდეს იმ ქვეყნად. „დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უნამებია“.

– თქვენი აზრით, რა ასაკისაა განდეგილი? მომიძებნეთ ტექსტში დამადასტურებელი ადგილი („არ იყო ხნიერ...“).

– დააკვირდით, როგორ ხატავს ილია განდეგილის პორტრეტს? რა დეტალებია მთავარი და რა არსებითი ნიშანი იკვეთება მწირის გარეგნობაში?

– განსაკუთრებით რომელი დეტალებია მასში ხაზგასმული?

„არ იყო ხნიერ“, მაგრამ „ლოცვით და მარხვით ხორცუძღურქმნილი, ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს.“

– რა მოუვლინა უფალმა მწირს ნიშნად მადლისა?

(სენაკში სარკმლიდან სვეტად ჩაეშვებოდა მზის სხივი, რომელზეც მწირი ლოცვანს დააყრდნობდა).

– რას ადარებს პოეტი საშინელ ავდარს?

„და მყინვარიდამ, ვითა ვეშაპი,  
შავი ღრუბელი დაიდრა მძიმეთ“

– რატომ შეშინდა განდევილი, როცა გაიგო სტუმარი ქალი იყო?

– რამ მიიყვანა ქალი უდაბნოში ?

– რა უთხრა ქალს მამამ ? რატომ ფიქრობს რომ ის მამის ურჩია?

– მწერალი რას ამბობს იმაზე, ვინც მამას ეურჩება?

(„მამის ურჩსაო, გამიგონია, გზა თურმე არსად არ წარემართა“)

– რას გვასწავლის ეს ფრაზა?

აქ შეიძლება ჩატარდეს მინი ლექცია. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ მამის, უფროსის, მშობლის დარიგება უნდა გვახსოვდეს და ვასრულებდეთ.

– დააკვირდით მწყემსი ქალის თავგადასავალს. ხომ არ გაგონებთ იგი ბიბლიურ იგავს მამის ურჩი ძის შესახებ? კერძოდ რით? (ერთ მოსწავლეს მოვათხრობინებთ იგავს).

– როგორი დიალოგი გაიმართა მწყემს ქალსა და განდევილს შორის? („ან შენ როგორ სძლებ უნუთისოფლოდ, მერე იცი კი, რარიგ ტკბილია?“ – ეკითხება ქალი )

– განდევილი მწყემს ქალს პასუხობს: „ეგეთი არის, სჩანს ნება ღვთისა.“

– რას ეუბნება მწყემსი ქალი განდევილს? („როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“).

– როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება, რომ ამ ადგილიდან დიალოგი, ფაქტობრივად, მონოლოგში გადაიზარდა ?

– რატომ დუმს განდევილი, რატომ უჭირს მას მწყემსი ქალის კითხვაზე „მაშ რისთვის მორთო ასე ლამაზად ნუთისოფელი?“ პასუხის გაცემა ?

– როგორ აღწერს მწყემსი ქალის გარეგნობას ავტორი? – რომელ დეტალებს გამოკვეთს იგი ქალის პორტრეტში? – რა ეპითეტებს იყენებს ? – რის ხორცშესხმულ ხატად სახავს ილია მშვენიერ ქალს? (ტრფობის მაღლი ხორცშესხმული)

– რა ზემოქმედება მოახდინა განდევილზე ქალის მშვენიერებამ?

– როგორ წარმოუდგენია „გზა ხსნისა“ განდევილს? რას ეუბნება განდევილი ბოლოს მწყემს ქალს სულის ხსნის თაობაზე ?

(ხსნა ყველგან არის“...)

– რა სიტყვა წამოსცდება მას უნებურად ?

– რა მოხდა ,როცა მწირმა თავისი „უნებლიე შეცდომა“ გააცნობიერა ?

– საიდან ჩანს, რომ განდევილს საბოლოოდ აებნა თავგზა, რა ჩაიდინა მან უნებურად ?

– რით გამოიხატა სულიერი წონასწორობის რღვევა: რა ჩაესმის მწირს, ვინ ელანდება მას ღვთისმშობლის სახეში ?

– როგორია პოემის დასასრული ?

შემდეგ იხსენებენ „განდეგილის“ ლიტერატურულ პარალელებს მსოფლიო ლიტერატურიდან.

ტარდება ინდივიდუალური მუშაობა ნაწარმოებში მხატვრული ხერხების მოძებნასა და ამონერაზე.

შემდეგ წყვილები მუშაობენ ასოციაციური რუკის შედგენაზე.

ტექსტზე ჩატარებული ასეთი სამუშაოს შემდეგ კლასი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად და ტარდება ჯგუფური მუშაობა. მოსწავლეებს ეძლევათ ასეთი დავალება:

განდეგილის პოზიციას ემხრობით თუ მწყემსი ქალის? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოდგენენ თავიანთ თვალსაზრისს. იმართება დისკუსია ჯგუფებს შორის.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჯგუფური მუშაობის შემდეგ წარმოდგენილ ნამუშევრებში მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ამართლებს განდეგილს, ხოლო მცირე ნაწილი ემხრობა მწყემს ქალს.

უკუკავშირის მიცემის დროს მასწავლებელმა საკუთარი აზრი არ უნდა მოახვიოს კლასს, ორივე მოსაზრება უნდა მოუწონოს მოსწავლეებს, თუ არგუმენტებითაა ის გამყარებული, მაგრამ შეიძლება შეახსენოს ილიას მოსაზრება ადამიანის დანიშნულებაზე საზოგადოებაში, მისი შეხედულება ბრძოლის, მოქმედების შესახებ.

შემაჯამებელ გაკვეთილს შეიძლება დაეთმოს დაწყვილებული გაკვეთილი (90 წუთი), მართალია, აქტივობებისათვის დრო სწორად უნდა გვექონდეს განაწილებული, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამიტომ შეგვიძლია მზად გვექონდეს გაკვეთილისათვის საჭირო სარეზერვო მასალაც. მაგ: შეიძლება რომელიმე მოსწავლეს მხატვრულად წავაკითხოთ ილიასადმი მიძღვნილი ლექსები სურვილისამებრ. (მაგ: ალექსანდრე ბეგაშვილის „ილია ჭავჭავაძე“, ოთარ შალამბერიძის „წინამურის ბალადა“ და სხვა).

**მერი სიმონაშვილი,**  
**ქ. ბათუმი, XI საჯარო სკოლის**  
**უფროსი მასწავლებელი**



# სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მასში მონაწილეობა. იგი საშუალებას იძლევა საკუთარი გამოცდილება გავუზიაროთ სხვებს, არა მარტო გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება, არამედ გავამდიდროთ ახალი მიდგომებით. ამასთან, შეხვედრის მონაწილე მასწავლებელი შეხვედრებზე განხილულ რეკომენდაციებს განვითარებს, ქმნის პროდუქტს, რომელშიც შეზავებულია, როგორც კოლეგის გამოცდილება, ასევე მისეული ორიგინალური ხედვა. ამ აქტივობამ ჩვენს სკოლაში მხარდაჭერა მოიპოვა.

თავდაპირველად მონაწილეობას ვლბულობდი სხვა კოლეგების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, როგორც მონაწილე. მიღებულმა გამოცდილებამ საშუალება მომცა, თავადაც დამეგეგმა კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები.

თავდაპირველად შევიმუშავე სამუშაო შეხვედრების გეგმა მიზნის და თემატიკის მითითებით და გავავრცელე ინფორმაცია სამუშაო შეხვედრების ორგანიზების შესახებ. მსურველი აღმოჩნდა 6 მასწავლებელი, მათ შორის იყვნენ ჩემზე გამოცდილებიც, რაც ჩემთვის მისაღები აღმოჩნდა, რადგან მათი უკუკავშირი სარგებელს მოუტანდა შეხვედრებს.

უპირველესად პრობლემის შესახებ აღვნიშნავ, რომ დანყებით კლასებში ქულებით შეფასება არ არის, განმავითარებელი შეფასება კი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწოდებს მათ ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება. იგი იძლევა საშუალებას, ვასწავლოთ მოსწავლეებს სწავლის შედეგით სიხარულის განცდა.

როგორ განვახორციელებ ეს სამუშაო შეხვედრა?

შეხვედრის მონაწილეებს შევხვდი წინასწარ, გვექონდა დიალოგი, რის შესწავლას ვარაუდობდნენ, იმედოვნებდნენ, რით უნდოდათ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესება. თითოეული სურვილი და წინადადება განვიხილე ყურადღებით, შესაბამისად, შევიტანე ცვლილებები შეხვედრის დაგეგმვაში, რათა იგი უფრო მეტად მორგებული ყოფილიყო მასწავლებლების საჭიროებებზე.

I შეხვედრა – რა არის სწავლის სწავლა?

II შეხვედრა – ძირითადი აქტივობები, მეთოდები მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების განვითარებისთვის.

III შეხვედრა – მოსწავლეთა სწავლის შედეგების დემონსტრირება.

მიზანი: მიღწეული შედეგებით სიხარულის განცდა

ჩატარების დრო და ადგილი:

\* 30 მაისი

\* საინტერესო შეხვედრების დარბაზში;

შეხვედრა მიმდინარეობდა ღია წესით, ესწრებოდნენ მოსწავლეთა მშობლები, მე-5 კლასის მომავალი მასწავლებლები, I-VI კლასის მოსწავლეები და სხვა მსურველები.

შეხვედრის პროგრამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი. საინტერესო შეხვედრების დარბაზი მოწყობილი იყო ფერადი ყვავილებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და გამართული ელექტრონული საშუალებებით.

მაისი დავგეგმეთ იმისათვის, რომ გაზიარების საშუალება მისცემოდათ მასწავლებლებს და მათი უკუკავშირი გამეზიარებინა სასწავლო წლის ბოლომდე.

მოსწავლეთა მიერ შედეგების დემონსტრირება ისე უნდა მომხდარიყო, რომ მოკლე დროში მოეხერხებინათ თავიანთი სწავლის შედეგების წარმოჩენა ყველა საგანში, რომელსაც სწავლობდნენ, ამიტომ აქტივობები ამის შესაბამისად დავგეგმე.

თავდაპირველად მომზადდა მოსაწვევი, რომლითაც მოსწავლეები ეპატიჟებოდნენ მშობლებს, მასწავლებლებს, მეგობრებს თავიანთი ცოდნის ზეიმზე.

მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შევადგინეთ პროგრამა, რომელიც მოიცავდა მისაღწევ შედეგებსა და შედეგების მიღწევისათვის განხორციელებულ აქტივობებს, სასწავლო მასალის შინაარსს, ფორმატს, მაგრამ არ იცოდნენ კონკრეტულად რა საკითხები შეხვდებოდათ. უნდა აღვნიშნო, ამგვარმა მიდგომამ განაპირობა, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ, რაც მათ ცნო-

ბისმოყვარეებს ხდიდა და მეტად მოტივირებულნი იყვნენ.

საგნების მიხედვით შევიმუშავე აქტივობები. თითოეულ საგანს დავუთმე მაქსიმუმ 2 აქტივობა და შევეცადე მასში გამეერთიანებინა სასწავლო წლის განმავლობაში შესწავლილი მასალა.

მონიტორზე ჩანდა მისაღწევი სტანდარტი. მე ამ სტანდარტს მოსწავლეებს მთელი წლის მანძილზე ვაცნობ, რომ კარგად გაიაზრონ რა შედეგზე უნდა გავიდნენ.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოვიყენე იმიტირებული „რა? სად? როდის?“. კითხვებში თავი მოვუყარე მოსწავლეების მიერ მთელი წლის განმავლობაში შესწავლილ მასალას. თამაშს მოსწავლეებმა თავი შესანიშნავად გაართვეს. მეორე აქტივობად გამოვიყენე „ცხელი სკამი“. თითოეული მოსწავლე შემთხვევითობის პრინციპით ირგებდა როლს რომელიმე შესწავლილი ნაწარმოებიდან და პასუხობდა თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს.

მათემატიკაში სწავლის შედეგების გამოვლენისთვის შევარჩიე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით, აქტივობა „აირჩიე და უპასუხე“. მე-4 კლასში მათემატიკაში შესწავლილი საკითხები დავყავი 4 სექციად და თითოეულში გავაერთიანე 5 კითხვა მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეები ირჩევდნენ თითოეული სექციიდან რომელიმე კითხვას და



იქვე პასუხობდნენ. ასე წარმოაჩინეს თავიანთი მიღწეული შედეგი მათემატიკაში თითოეული საკითხის გათვალისწინებით.

ბუნებაში მოსწავლეთა სწავლის შედეგების დემონსტრირებისთვის გამოვიყენე აქტივობა „რა დამაქვს ზურგით?“. მოსწავლეს ზურგზე ვაკრავდი ბუნებაში შესწავლილი საკითხებიდან რაიმეს აღმნიშვნელ ცნებას, საგანს, მოვლენას, ობიექტს და ა. შ. თანაკლასელის მიერ გაცემული განმარტებებითა და მინიშნებებით უნდა გამოეცნო, რა დაჰქონდა ზურგით. მეორე აქტივობად გამოვიყენე როლური თამაში პანტომიმით. მოსწავლეებს ბუნებისმეტყველებაში შესწავლილი მასალებიდან კონკრეტული ცნება, საგანი, ობიექტი, მოვლენა და ა. შ. უნდა აეხსნათ სხეულის ენით ისე, რომ თავის თანაკლასელებს გამოეცნოთ.

ხელოვნებაში მოსწავლეთა სწავლის შედეგების დემონსტრირებისთვის შევარჩიე [learningapps.org](http://learningapps.org)-ზე შექმნილი რესურსი „დოლი“. მოსწავლეები ეთამაშებოდნენ კომპიუტერს, გაიმარჯვებდა ის მხარე, რომელსაც კითხვებზე მეტი სწორი პასუხი ექნებოდა. მოსწავლეებმა ღირსეულად დაამარცხეს კომპიუტერი.

მუსიკაში ძირითადი აქცენტი შესწავლილ მუსიკალურ საკრავებსა და ნაწარმოებებზე გავაკეთე. მოსწავლეებმა მოსმენით გამოიცნეს ცნობილი ქართული და უცხოური მუსიკალური ინსტრუმენტები, ასევე კინო მუსიკის მოსმენით

გამოიცნეს ცნობილი ქართული ფილმები.

ინგლისურის მასწავლებელმა თავისი საგნის აქტივობები შესთავაზა მოსწავლეებს, რომელსაც თავი არაჩვეულებრივად გაართვეს.

მოსწავლეების მიერ სწავლის შედეგების დემონსტრირება დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა და ამ დროში მოსწავლეებმა მოახერხეს ყველა საგანში წარმოეჩინათ თავიანთი ცოდნა. შედეგებით თავადაც გაკვირვებულნი იყვნენ და მიღწეული შედეგებით გამონვეულ სიხარულს ვერ მალავდნენ. მათი გაოცებისა და სიხარულის თანაზიარი იყვნენ მოსწავლეთა მშობლებიც.

რამდენიმე მშობელმა აღნიშნა, რომ სულ სხვა რაკურსით დაინახეს თავიანთი შვილები, არ ეგონათ, რომ ამდენი რამ იცოდნენ. გაოცებულნი დარჩნენ თავიანთი შვილების აქტიურობითა და გამოვლენილი ცოდნით.

გაზიარება: სამუშაო შეხვედრების მესამე ეტაპის პრაქტიკულმა ჩვენებამ საშუალება მისცა მონაწილეებს გამოცდილება გაეზიარებინათ, რაც განხორციელდა რამდენიმე მიმართულებით. 6-დან ოთხმა (I, II, III, VI კლასები) მოამზადა და ჩაატარა მსგავსი ფორმა. ორმა ჩაატარა თავის საგანში ანუ უჩვენა მისაღწევი სტანდარტი, რომელსაც ესწრებოდა კლასის დამრიგებელი და მშობელი.

შეხვედრებში მონაწილე მასწავლებელთა რეფლექსიებმა დაა-

დასტურა შეხვედრების ეფექტიანობა. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ შეხვედრამ საშუალება მისცა აქცენტი გადაეტანათ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტებისა და განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესაბამისობაზე.

რაც განსაკუთრებით აღინიშნა, ეს იყო შედეგებისათვის მომზადების პროცესი, რადგან გამოცდა არ ერქვა ამ მომზადებას, არ ახლდა არავითარი სტრესი, ბავშვები ემზადებოდნენ მონდომებით, რათა თავი მოეწონებინათ მშობლებისა და სხვა თანატოლებისათვის, რაც გამოიხატა იმაში, თუ რა იციან, რის უნარი აქვთ და რის დემონსტრირება შეუძლიათ. შრომა

ბევრი დასჭირდა, მაგრამ ეს იყო ხალისიანი შრომა და შედეგიც სიხარულის განცდის გამომწვევი გამოდგა.

ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ განმავითარებელი შეფასება საშუალებას იძლევა პროგრესისათვის.

მე, როგორც შეხვედრების ორგანიზატორი, ვემზადები ახალი შეხვედრების დასაგეგმად და ვფიქრობ, რომ საზაფხულო სკოლა ახალკრეატიულ იდეებს გახსნის ჩემ წინაშე და სამომავლოდ მიღებული გამოცდილების საფუძველზე უკეთესად დავგეგმავ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს.

**ნონა ბოლქვაძე**

**ქ. შუახვეი,**

**საჯარო სკოლის პედაგოგი**

„სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება“.

**ილია ჭავჭავაძე**

**ავტორთან საყურადღებოდ!**

**ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისათვის“ განკუთვნილი მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის ქაღალდის 12-15 გვერდს. მასალები აკრეფილი უნდა იყოს „Microsoft Word“-ში და გადმოგზავნილი ელ. ფოსტაზე: [chafidzegari@yahoo.com](mailto:chafidzegari@yahoo.com) მინიშნებით „სკოლა და ცხოვრება“.**

**წერილებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორების შესახებ: გვარი, სახელი (სრულად), მისი პროფესია – საქმიანობა, წოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილი არ განიხილება.**



9772587455009